



675-9 / 2  
382

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის

# მაცნე

(2)

ფილოსოფიისა და  
ფსიქოლოგიის  
სერია

3.1982







საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე

ИЗВЕСТИЯ АКАДЕМИИ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

ფილოსოფიისა და  
ფსიქოლოგიის  
სერია

СЕРИЯ  
ФИЛОСОФИИ И  
ПСИХОЛОГИИ

ჟურნალი დაარსებულია 1980 წელს  
Журнал основан в 1980 году  
გამოდის 3 თვეში ერთხელ  
Выходит раз в 3 месяца



3.1982

გამომცემლობა „მეცნიერება“  
ИЗДАТЕЛЬСТВО «МЕЦНИЕРЕБА»

● თბილისი  
ТБИЛИСИ

**ს ა რ ე ლ ა ქ ც ი ო კ ო ლ ე გ ი ა :**

ა. ბოჭორიშვილი, | თ. ბუაჩიძე, ვ. გრიგოლავა (რედაქტორის მოადგილე), გ. თევზაძე,  
ვ. კეშელავა, ზ. მიქელაძე, რ. ნათაძე, შ. ნადირაშვილი, ა. ფრანგიშვილი,  
ნ. ჭავჭავაძე (რედაქტორი), ო. ჯიოევი (რედაქტორის მოადგილე).

პასუხისმგებელი მდივანი ც. შალამბერიძე

**РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ:**

ზოციриშვილი ა. თ. | Буачидзе Т. А., Григолава В. В. (зам. редактора), Джоев О. И.  
(зам. редактора), Кешелова В. В., Микеладзе З. Н., Натадзе Р. Г., Надирашви-  
ли Ш. А., Прангишвили А. С., Тевзадзе Г. Б., Чавчавадзе Н. З. (редактор),

Ответственный секретарь Ц. А. Шаламберидзе

© „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე“,  
ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის სერია, 1982.

---

რედაქციის მისამართი: თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19

Адрес редакции: Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

ტელეფონი 37-95-46 телефон

---

გადაცემა წარმოებას 20.5.82; ხელმოწერილია დასაბეჭდად 20.8.82; შუკვ. № 1930;  
ანაწეობის ზომა 7×11<sup>1</sup>/<sub>2</sub>; ქაღალდის ზომა 7×108<sup>1</sup>/<sub>16</sub>; მაღალი ბეჭედი; ნაბეჭდი  
თაბახი 10,5; საალრიცხო-საგამომცემლო თაბახი 8,2; უე 05673; ტირაჟი 700;  
ფასი 85 კაპ.

\*

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19  
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

\*

საქ. სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19  
Типография АН Груз. ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

შინაარსი

ფილოსოფია

ბ. დიპანოიქმი, მუშათა კლასის ცნების გაგებისათვის მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის პერიოდში . . . . .	5
მ. აუშივიში (ალმა-ათა), ენკილიადა . . . . .	18
დ. ბრძილიძე, რვა დაშვების პრობლემა დიალოგ „პარმენიდეში“ . . . . .	33

ფსიქოლოგია

მ. ბაღალიაშვილი, განწყობისა და საქმიანობის თეორიათა მიმართების შესახებ . . . . .	47
რ. ჯვარციანიშვილი, თარგმნის პროცესში მთარგმნელის პიროვნების ზოგიერთი ფაქტორის საკითხისათვის . . . . .	60
ვ. აუშვინი, ლ. ყანჩაშვილი, ფიქსირებული განწყობისა და ობიექტივაციის ურთიერთდამოკიდებულება აზროვნების პროცესის დროს . . . . .	67
ქ. გოგოლაძე, აკუსტიკური და ოპტიკური შეგრძნების ინტერმოდალური ერთიანობის საკითხისათვის . . . . .	76
ი. ზირსამია, შემსრულებლის მუსიკალური და პიროვნული ტემპისა და რითმის ურთიერთშეგავლენისა და ურთიერთგანპირობებულობის პრობლემისათვის . . . . .	82

ასალი თარგმანები

რ. დიპარტი, მსჯელობა მეთოდის შესახებ (ფრანგულიდან თარგმნა დ. ლაბუჩიძემ) . . . . .	95
---	----

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

ი. ჯიომივი, ზნეობრივი ღირებულების თავისებურების სერიოზული გამოკვლევა . . . . .	110
ანგია ბოჭორიშვილი (ნეკროლოგი) . . . . .	117
სოსლან გაბარაევი (ნეკროლოგი) . . . . .	119

## СОДЕРЖАНИЕ

### ФИЛОСОФИЯ

Б. З. ДЕКАНОИДЗЕ, К понятию рабочего класса в условиях научно-технической революции . . . . .	5
М. М. АУЭЗОВ (Алма-Ата), Эпикдаида . . . . .	18
Д. В. ГРДЗЕЛИДЗЕ, Проблема восьми полаганий в диалоге «Парменид» . . . . .	33

### ПСИХОЛОГИЯ

М. С. БАЛИАШВИЛИ, О взаимоотношении теорий установки и деятельности	47
Р. Г. ДЖВАРИШЕНИШВИЛИ, К вопросу о некоторых личностных факторах переводчика в процессе перевода . . . . .	60
В. Н. ПУШКИН, Л. Г. КАНЧАВЕЛИ, Взаимоотношения фиксированной установки и объективации в процессах мышления . . . . .	67
К. А. ГОГОЛАДЗЕ, К вопросу интермодального родства между акустическими и оптическими ощущениями . . . . .	76
И. Е. ГЕРСАМИЯ, К проблеме взаимовлияния и взаимообусловленности музыкального и личного темпо-ритма исполнителя . . . . .	82

### НОВЫЕ ПЕРЕВОДЫ

Р. ДЕКАРТ, Рассуждение о методе (перевод с французского Д. Лабучидзе) . . . . .	95
---	----

### КРИТИКА И БИБЛИОГРАФИЯ

О. И. ДЖИОЕВ, Серьезное исследование своеобразия нравственной ценности	110
Авгია Бочоришвили (некролог) . . . . .	117
Сослан Габараев (некролог) . . . . .	119

### ფილოსოფია

#### ზულუ დეანოძე

#### მუშათა კლასის ცნების გაგებისათვის მეცნიერულ-ტიპნიკური რევილუციის პერიოდის

17.342

მეცნიერულ-ტიპნიკური რევილუცია, რომელიც საზოგადოების თითქმის ყველა სფეროში შეიჭრა, დიდ ზეგავლენას ახდენს საზოგადოების სოციალურ-კლასობრივ სტრუქტურაზე, მის ელემენტებზე და იწვევს მასში ცვლილებებს. მეცნიერულ-ტიპნიკური რევილუციის პირობებში საზოგადოების სტრუქტურის ყველა ელემენტი განიცდის ცვალებადობას. ეს ცვალებადობა ხდება მუშათა კლასშიც, რომელიც ყველაზე მეტად და უმუშაოდ არის დაკავშირებული მატერიალური წარმოების სფეროსთან.

მეცნიერულ-ტიპნიკური რევილუციის შედეგად, განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებში სულ უფრო მეტი და მეტი მოსახლეობა ექცევა დაქირავებულ მუშათა რიგებში, რამაც გაართულა ამ საზოგადოების სოციალურ-კლასობრივი სტრუქტურა. დაქირავებულ მუშაკთა უზარმაზარ მასაში წარმოიშვა სხვადასხვა სოციალურ-კლასობრივი ჯგუფები, რომელთაც ახასიათებთ გრადაციის მრავალმხრივი თავისებურებანი, რითაც ერთგვარად იჩქმალება ზღვარი მუშათა კლასსა და არამუშურ ფენებს შორის.

ამიტომ ბუნებრივად დაისვა საკითხი იმის შესახებ, თუ რა ხასიათის და თავისებურებების არის ეს ცვლილებანი, რომელი სოციალური ჯგუფები შეიქცეანოთ მუშათა კლასის შემადგენლობაში და როგორ დაეადგინოთ მისი საზღვრები. ეს პრობლემა უკანასკნელ პერიოდში მარქსიზმის მიმდევართა დიდ ინტერესს იწვევს, მასზე დავობენ აგრეთვე თანამედროვე ბურჟუაზიული სოციოლოგები და ისტორიკოსები.

თანამედროვე ბურჟუაზიული სოციოლოგები არსებული საზოგადოების სოციალურ-კლასობრივ სტრუქტურაში მომხდარი ცვლილებების ანალიზის დროს იმ დასკვნამდე მიდიან, თითქოს ბურჟუაზიულ საზოგადოებაში ნაცვლად კლასების პოლარიზაციისა ადგილი ჰქონდეს კლასთა ინტეგრაციას, ხოლო კლასობრივი წინააღმდეგობების ნაცვლად — კლასობრივ ჰარმონიას და ერთი „სტრატედიან“ მეორეში გადასვლას.

მარქსიზმ-ლენინიზმის იდეური მოწინააღმდეგეები თანამედროვე მეცნიერულ-ტიპნიკური რევილუციის შედეგად, მუშათა კლასის შინაგან სტრუქტურაში მიმდინარე ცვლილებების ანალიზზე დამყარებით, უარყოფენ მარქსიზმის უმნიშვნელოვანეს დებულებას მუშათა კლასის ისტორიული როლისა და მნიშვნელობის შესახებ თანამედროვე კაპიტალისტური საზოგადოების გარდაქმნის საქმეში.

მარქსიზმის მოძღვრების ამ ძირითადი დებულებების უარყოფის მიზნით, ბურჟუაზიულ სოციოლოგიაში ფართო გავრცელება ჰპოვა მუშათა კლასის „დებროლეტარიზაციის“ თეორია. ამ თეორიის მთავარი პრინციპი იმაში მდგომარეობს, რომ მისი მომხრენი პროლეტარიატად მიიჩნევენ და თვლიან მხოლოდ

პ. მარქსიზმის სახ. ს. სსრ

სამრეწველო დარგის მუშებს ანდა სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში დასაქმებულ ფიზიკური შრომის პირებს.

ბურჟუაზიული სოციალიზმი ხელოვნურად ფარგლავენ პროლეტარიატის ცნების საზღვრებს და ასევე იან, რომ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის პირობებში მუშათა კლასი განიცდის მუდმივ, განუწყვეტელ „ეროზიას“, რაც იმაში მდგომარეობს, რომ, ერთი მხრივ, საზოგადოებრივი წარმოების ტექნიკური პროგრესის შედეგად თანდათანობით მცირდება წარმოებაში ფიზიკური შრომის მუშაკთა რიცხვი, ე. ი. მცირდება მოთხოვნილება, ე. წ. „ლურჯსაყელიან მუშებზე“, ხოლო მეორე მხრივ კი, იზრდება ინჟინერ-ტექნიკოსთა და მომსახურეთა რიცხვი. „სოციალური მობილობის“ შედეგად მუშათა კლასი გადადის ერთი მდგომარეობიდან მეორეში და შეერწყმის ე. წ. „საშუალო კლასს“ — ინჟინრების, ტექნიკოსების და არაწარმოებით სფეროში დასაქმებულ მომსახურეთა სხვადასხვა კატეგორიის მასებს.

ამ ცვლილებების ინტერპრეტაციაზე დამყარებით, ბურჟუაზიული სოციოლოგები ცდილობენ დაასაბუთონ კაპიტალიზმის განვითარების კვალობაზე მუშათა აბსოლუტური და შეფარდებითი ზრდის შესახებ მარქსისტული შეხედულების მცდარობა. თანაც, რაც შემთხვევაში, ისინი მარქსს მიაწერენ ყალბ შეხედულებას, თითქოს ის ერთმანეთთან აიგივებდეს პროლეტარიატს და ფიზიკურ შრომაში დასაქმებული დაქირავებული მუშაკის ცნებებს. სინამდვილეში მარქსი და მარქსიზმის კლასიკოსები არსად და არასოდეს არ იძლევიან პროლეტარიატის ასეთ ვიწრო და შეზღუდულ გაგებას [4, 87].

როდესაც მარქსიზმის კლასიკოსები ბურჟუაზიული საზოგადოების ორ ძირითად ანტაგონისტურ კლასად დაყოფის შესახებ ლაპარაკობენ, ასეთი დაყოფის მთავარ საფუძვლად მათ მიაჩნიათ წარმოების საშუალებებისადმი მათი დამოკიდებულება. პროლეტარიატი, როგორც კლასი, დაქირავებული მუშებია, რომლებიც იძულებული არიან გაყიდონ თავიანთი სამუშაო ძალა და მოკლებული არიან წარმოების საშუალებებზე საკუთრების უფლებას. ამიტომ მეტსაკლებად ეს ნიშანი მიეწერება კაპიტალისტურ საზოგადოებაში არა მარტო სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო დარგის მუშებს, არამედ ინტელიგენციის და სხვა სოციალური ჯგუფის წარმომადგენლებსაც.

„პროლეტარიატის“ ცნება ასახავს მუშათა კლასის სოციალურ მდგომარეობას და არა მის ფუნქციას შრომის პროცესში, თუნდაც მარტო ამიტომ არ შეიძლება პროლეტარიატის და ფიზიკური შრომის მუშაკის ცნებების გაიგივება. ამერიკელი სოციოლოგები დ. ბრეილი და ჯ. ჰელბრაიტი პროლეტარიატს აიგივებენ დაბალი კვალიფიკაციის მუშებთან, ე. წ. „ლურჯსაყელიან მუშებთან“ და აღნიშნავენ, რომ უახლოეს მომავალში ისინი თავის სოციალურ მნიშვნელობას სავსებით დაკარგავენ, რადგან მათი რაოდენობა დასაქმებულ მოსახლეობაში იმდენად უმნიშვნელო იქნება, რომ თვით ტერმინი თავის სოციალურ შინაარსს დაკარგავს. ამასთან ისინი მუშებში თავის ავტორიტეტს და პოპულარობას კარგავენ [11, 283-284].

წარმოების ავტომატიზაციის კვალობაზე ფიზიკურ შრომაში დასაქმებულ მუშათა რიცხვის შემცირება აუცილებელი ტენდენციაა როგორც კაპიტალიზმის, ისე სოციალიზმის პირობებში, მაგრამ იგი არ მოასწავებს არც ფიზიკური შრომის მუშათა სრულ ლიკვიდაციას და არც, მით უმეტეს, მუშათა კლასის გაქრობას კაპიტალისტური საზოგადოების პირობებში. მართალია, ფიზიკური შრომის მუშათა პროცენტული რიცხვი მცირდება მოსახლეობის საერთო რაოდენ-



ნობაში, მაგრამ მათი აბსოლუტური რიცხვი, ჯერ-ჯერობით მაინც მატულობს. აშშ-ში 1959 წელს დასაქმებული მოსახლეობის საერთო რაოდენობაში ფიზიკური შრომის მუშაკები 39%-ს შეადგენდნენ, 1960 წელს 36%, 1972 წელს — 35%-ს, 1975 წელს — 32%-ს. მაგრამ თუ 1900 წლისათვის აშშ-ში ფიზიკურ შრომაში დასაქმებული იყო 10,4 მილიონი კაცი, 1972 წლისათვის მისმა რიცხვმა მიაღწია 29 მილიონს, ხოლო 1985 წლისთვის ვარაუდობენ 33 მილიონამდე [13,33—34].

საერთოდ კი თუ XX საუკუნის დამდეგს აშშ-სა და ევროპის მთავარ კაპიტალისტურ სახელმწიფოებში 30 მილიონამდე სამრეწველო მუშა იყო, ამავე საუკუნის შუახანებში მათმა რიცხვმა 58 მილიონს მიაღწია.

ბურჟუაზიული იდეოლოგიების მტკიცება, რომ მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის დროს პროლეტარიატი თითქოს ქრება, შემდეგ არგუმენტს ემყარება: პროლეტარიატი, ამბობენ ისინი, ესაა არაფრის მქონებელი კლასი, ლატაყი ადამიანები. „ინდუსტრიული საზოგადოების“ პირობებში კი მუშებს შესაძლებლობა აქვთ, შეიძინონ ხანგრძლივი მოხმარების ისეთი საგნები, როგორცაა ტელევიზორი, ავეჯი, მაცივარი, ავტომობილი და სხვა. ამ საგნების მფლობელი არ შეიძლება არაფრის მქონებლად იწოდოს. დღევანდელ „ინდუსტრიულ საზოგადოებაში“ პროლეტარიატი მარქსისტული გაგებით აღარ არსებობს.

ამრიგად, „დეპროლეტარიზაციის“ თეორიის მიმდევრები, ცდილობენ კლასობრივი დიფერენციაციის პრობლემის გადაჭრას შემოსავლის დონის მიხედვით, ამასთან ისინი სიღარიბეს წარმოგვიდგენენ როგორც მუდმივ კატეგორიას, რომელიც ცვალებადობას არ განიცდის. სინამდვილეში ეს კატეგორია განხილულ უნდა იქნეს განსაზღვრული ქვეყნების კონკრეტული პირობების მიხედვით.

თანამედროვე ბურჟუაზიული სოციოლოგები უარყოფენ პროლეტარიზაციის ფაქტს და მას ცვლიან „საშუალო კლასის“ თეორიით, რომლის თანახმადაც კაპიტალისტურ საზოგადოებაში პროლეტარიატის გამდიდრების ფაქტი მისი უფრო მაღალ სოციალურ ჯგუფებში, ე. წ. „საშუალო კლასში“ გადასვლას ნიშნავს.

„საშუალო კლასის“ ცნება, როგორც ეს ბურჟუაზიულ ოფიციალურ სტატისტიკაში მოიხმარება, წმინდა ფორმალური კატეგორიაა, რომელშიც აერთიანებენ სხვადასხვა სოციალურ-კლასობრივი ჯგუფის ადამიანებს მათი შემოსავლის დონის მიხედვით; ამასთან, არავითარი მნიშვნელობა არ ენიჭება იმას, ეს შემოსავალი საკუთარი წარმოებიდან არის მიღებული თუ საკუთარი შრომის გაქირავების ანაზღაურებას წარმოადგენს.

თანამედროვე კაპიტალისტური საზოგადოება, „საშუალო კლასის“ თეორიის მიხედვით, არის „საშუალო და გარდამავალი კლასების“ საზოგადოება. საშუალო კლასი იერთებს საზოგადოების ყველა დანარჩენ კლასებს — ძირითადად და არაძირითადად, რის შედეგადაც საზოგადოებაში მცირდება როგორც მუშების, ისე კაპიტალისტების ზვედრითი წილი, რაოდენობრივი და თვისებრივი თვალსაზრისით [5, 76-77]. დასავლეთელი სოციოლოგების აზრით, „საშუალო კლასის“ არნახული ზრდა კაპიტალისტურ სახელმწიფოთა საზოგადოების სოციალურ განვითარებაში ჩვენი საუკუნის მეორე ნახევრის მნიშვნელოვანი მოვლენაა, რის წყალობითაც დასავლეთის საზოგადოება უზარმაზარ „საშუალო კლასად“ გარდაიქმნება.

რასაკვირველია, თავისი ეკონომიკური მდგომარეობით თანამედროვე მუშა გაცილებით მაღლა დგას მის წინამორბედებთან შედარებით. დღეს მუშას

შეუძლია პირად საკუთრებაში იქონიოს ხანგრძლივი მომხმარებლის საოჯახო საგნები, მაგრამ როგორი ღირებულებისა და ხანგრძლივობისაც არ უნდა იყოს ეს ნივთები, ისინი მხოლოდ პიროვნების პირად საკუთრებას წარმოადგენს და ამით არ იცვლება ის მდგომარეობა, რომ თანამედროვე კაპიტალისტურ საზოგადოებაში მუშათა კლასი წარმოების საშუალებებზე საკუთრებას მოკლებულია. კაპიტალიზმის პირობებში მუშა იძულებულია მივიდოს თავისი სამუშაო ძალა წარმოების საშუალებათა მფლობელს. ეს გარემოება კაპიტალისტს შესაძლებლობას აძლევს ექსპლუატაცია გაუწიოს მუშებს და მიითვისოს მათი აუნაზღაურებელი შრომის საფასური. კაპიტალისტურ საზოგადოებაში მუშათა კლასის გარეშე არსებული გაბატონებული წარმოების წესი ვერ იარსებებდა. რა რაოდენობის პირად ქონებასაც არ უნდა ფლობდეს მუშა, მისი საკუთრება არ არის არც წარმოების საშუალებანი და არც წარმოებული პროდუქტი. იგი ჩამოშორებულია წარმოების პროცესის მართვას, არ ძალუძს მთლიანად გამოავლინოს მთელი თავისი შესაძლებლობანი და შემოქმედებითი უნარი შრომითი საქმიანობის პროცესში. ერთი სიტყვით, რა პირადი საკუთრების საოჯახო ნივთებსაც არ უნდა ფლობდეს მუშა, ამით მისი მდგომარეობა არსებითად არ იცვლება ბურჟუაზიულ საზოგადოებაში, რადგან მისი მდგომარეობა ამ საზოგადოებაში, უპირველეს ყოვლისა, განსაზღვრულია მისი ადგილით და როლით მოცემული წარმოების სისტემაში, წარმოებითი ურთიერთობათა თავისებურებებით. ასე რომ ხელფასის სიდიდე და სიმცირე არ ცვლის არსებული ეკონომიკური წყობის არსს და მით არ შეიძლება განისაზღვროს ამა თუ იმ კლასისადმი აღამიანთა მიკუთვნება.

„ინდუსტრიული საზოგადოების“, „პოსტინდუსტრიული საზოგადოების“ და სხვა მოდური თეორიები, რომლებიც ცდილობენ დაასაბუთონ კაპიტალისტურ საზოგადოებაში მუშათა კლასის ვითომცდა შემცირების და გაჭრობის ფაქტი. გვერდს უვლიან კაპიტალისტური საზოგადოების სოციალ-კლასობრივი სირთულის ძირითად მიზეზებს და ნაკლებ მნიშვნელოვან წინააღმდეგობებზე ამახვილებენ ყურადღებას.

„პოსტინდუსტრიული საზოგადოების“ თეორიის მიმდევრები თვლიან, რომ კერძო კაპიტალისტური საზოგადოების ეტაპი განვლილი საფეხურია; მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის შედეგად ინდუსტრიული საზოგადოება გარდაიქმნება ახალ, აქამდე არანახულ საყოველთაო კეთილდღეობის საზოგადოებად, რომლის განსახორციელებლად არაა საჭირო არც კლასობრივი ბრძოლა და არც რევოლუცია, არამედ საკმარისია მხოლოდ უმნიშვნელო რეფორმების გატარება.

ეს თეორია ყველაზე სრულყოფილად დამუშავებული აქვს სოციოლოგ დ. ბელს, რომლის მიხედვით, „პოსტინდუსტრიულ საზოგადოებაში“ კლასობრივი განსხვავება ეწყარება არა სიმდიდრეს, არამედ ცოდნას, ამიტომ ამ საზოგადოების ძირითად კლასს წარმოადგენს „განათლებულთა კლასი“ — სპეციალისტები.

ბელი აღნიშნავს, რომ კაპიტალისტური საზოგადოების კლასობრივ სტრუქტურაში ამჟამად ხორციელდება რევოლუცია, ამ რევოლუციის არსი იმაში მდგომარეობს, რომ „თეთრსაყელიანი მუშები“, ინჟინრები და ტექნიკოსები ცვლიან მრეწველობაში მუშებს, ამასთან ერთად იცვლება საზოგადოებრივი წარმოების სტრუქტურა და ეკონომიკური სიმძიმის ცენტრი სამრეწველო საწარმოებიდან მომსახურებაზე გადადის; თუ წინათ კაპიტალიზმის განვითარე-



ბის პირველ სტადიაზე მრეწველობა ითვისებს სამუშაო ძალის ძირითად მასას, „პოსტინდუსტრიულ საზოგადოებაში“ წამყვანი როლი განეკუთვნება მომსახურების სფეროს, სადაც თავს იყრის დასაქმებული მოსახლეობის ძირითადი მასა.

რა თქმა უნდა, წარმოების ავტომატიზაციას, ტექნოლოგიური პროცესების სრულყოფას გარდაუვლად მიყვავიან უწყუალოდ მატერიალური წარმოების სფეროში დასაქმებულ მუშახელის შემცირებასთან, მაგრამ წარმოების სფეროში დასაქმებულ მუშათა და მოსამსახურეთა რიცხვი, არსებითად, ნაკლებად მცირდება. სამაგიეროდ სწრაფად იზრდება მომსახურების სფეროში დასაქმებულ პირთა რიცხვი.

დასავლეთ გერმანელი სოციოლოგი რ. დარენდორფი არ უარყოფს საზოგადოებაში კლასების არსებობას, მაგრამ მიაჩნია, რომ საჭიროა შეიცვალოს კლასთა წარმოშობის კრიტერიუმები, რადგან საკუთრებამ, როგორც კლასების წარმოების კრიტერიუმმა, დაკარგა თავისი მნიშვნელობა. კლასების მთავარ ნიშნად „ინდუსტრიულ საზოგადოებაში“ დარენდორფს მიაჩნია ბატონობისა და მორჩილების ურთიერთობანი. მისი აზრით, ინდუსტრიულ საზოგადოებაში ავტორიტეტული სტრუქტურა რჩება, ხოლო კლასობრივი კუთვნილება შემთხვევითი ფაქტორია. ამიტომ არც კლასებს და არც კლასობრივ კონფლიქტს არა აქვს ადგილი. ასეთი უკლასო საზოგადოება დაფუძნებულია თაობათა შიდა მობილობაზე, რაც „რეალური მნიშვნელობის სოციალური კატეგორიაა“. ამიტომ აქ კლასები იქცევა ღია ჯგუფებად, რომელთა შორის მოძრაობა იოლია [7, 77].

დარენდორფი ცდილობს დაასაბუთოს, რომ „ინდუსტრიულ საზოგადოებაში“ არ არსებობს ერთიანი და ერთგვაროვანი მუშათა კლასი; ის, რასაც ამ ცნებაში ვგულისხმობთ, არის სხვადასხვა პროფესიულ-კვალიფიციური ჯგუფები, ანუ „სტრატეგები“, რომელთაც ახასიათებთ სხვადასხვა სოციალური სტატუსები და საპირისპირო ინტერესები [14, 48-51]. აქ აშკარად ჩანს, რომ სოციალურ-კლასობრივი სტრუქტურა პროფესიულ-კვალიფიციური სტრუქტურით არის შეცვლილი. მართალია, გარკვეული პროფესიის ადამიანები მხოლოდ ერთ რომელიმე კლასს მიეკუთვნებიან, მაგრამ კლასის შიგნით მომხდარი პროფესიულ-კვალიფიციური გადაადგილებანი არ ცვლის ამ კლასის შინაარსს და განსაზღვრულობას.

უკანასკნელ პერიოდში, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ზეგავლენის შედეგად, მოხდა მნიშვნელოვანი ცვლილებანი მუშათა კლასის პროფესიულ-კვალიფიციურ შემადგენლობაში. ეს იმაზე მიუთითებს, რომ ტექნიკური პროგრესის პირობებში საგრძნობლად მცირდება დაბალი კვალიფიკაციის მუშათა ხვედრითი წილი, ხოლო დასაქმებულ მოსახლეობაში იზრდება მაღალი კვალიფიკაციის მუშათა წილი. ამასთან, თანდათანობით მიმდინარეობს ამ სხვადასხვა კვალიფიკაციის მუშათა შორის არსებული განსხვავების წაშლა მათი სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის მიხედვით (ზოგადსაგანმანათლებლო დონის ამაღლება, შემოსავლის დონის დაქვეითების ტენდენცია და ა. შ.), რაც მათ ერთმანეთისადმი დაპირისპირებულ უცხო ფენებად კი არ აქცევს, როგორც ეს რ. დარენდორფს ჰგონია, არამედ მათ კლასობრივ იგივეობასა და ერთიანობაზე მიუთითებს.

დასავლეთში გავრცელებულ სხვადასხვა სოციოლოგიურ მიმართულებათა შორის, რომლებიც მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის პირობებში საზოგადოების სოციალურ-კლასობრივი სტრუქტურის თავისებურებებს არკვევენ,

ერთ-ერთ საყურადღებო მიმართულებას წარმოადგენს „ახალი მუშათა კლასის“ თეორია. ამ თეორიის ძირითადი არსი და მიზანი თანამედროვე პირობებში რევოლუციურ მოძრაობაში, კაპიტალისტური საზოგადოების რევოლუციურ გარდაქმნაში მუშათა კლასის ავანგარდული როლის უარყოფაა.

ამ მიმდინარეობის მომხრეთა აზრით (ე. მანდელი, რ. გაროდი, ე. ფიშერი, ს. მალლე, პ. მარკუზე), დღევანდელ პირობებში ინტელიგენციისა და პროლეტარიატის რევოლუციური კავშირის შესახებ მსჯელობა უსაფუძვლო და არასწორია, რადგან ინტელიგენცია თვითონ გადაიქცა მუშათა კლასის შემადგენელ ნაწილად. უფრო მეტიც, ინტელიგენცია თავის განათლების და მეცნიერულ-ტექნიკური კომპეტენტურობის გამო, წარმოადგენს თანამედროვე პროლეტარიატის მოწინავე რაზმს. აქ აშკარად ერთმანეთთან გაიგივებულია ინტელიგენცია და მუშათა კლასი, რის დასასაბუთებლადაც „ახალი მუშათა კლასის“ თეორიაა წამოყენებული.

„ახალი მუშათა კლასის“ თეორიის წარმომადგენლების აღნიშნული დებულება მარტივად ასე შეიძლება ჩამოგაყალიბოთ: რამდენადაც ინტელიგენცია ცხოვრობს მხოლოდ ზელფასის მეშვეობით, რაც მას მისი შრომის ანაზღაურების საფასურად ეძლევა, ამიტომ და ამდენად იგი თანამედროვე მუშათა კლასის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს [17, 23].

სოციოლოგი და რევიზიონისტი პ. მარკუზე, ვითომცდა მარქსის შეხედულებაზე დაყრდნობით, ცდილობს გაარკვიოს მუშათა კლასის თავისებურება და ხასიათი მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის პირობებში. მარკუზესათვის მუშები რევოლუციონერები იყვნენ მონოპოლიზმამდელ კაპიტალისტურ საზოგადოებაში, რადგანაც ისინი მოკლებულნი იყვნენ ბურჟუაზიული საზოგადოების ყოველგვარ ფასეულობას. „თავისუფალი“ კაპიტალიზმის პირობებში ეკონომიკური კანონების ურთიერთმოქმედება ავლენდა ამ საზოგადოების შინაგან წინააღმდეგობებს, რომლის მთავარ მსხვერპლს და მასთან გაცნობიერებულ რევოლუციურ აგენტს პროლეტარიატი წარმოადგენდა, მაგრამ მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის პირობებში განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებში კაპიტალიზმის შინაგანი წინააღმდეგობანი ორგანიზაციის მზარდ როლს დაექვემდებარა, რის შედეგადაც გაქრა ბურჟუაზიული სისტემის უარყოფელი პროლეტარიატის ძალა. ვიდრე მუშა ფიზიკურ შრომას ეწეოდა, მისი ცნობიერება თავისუფალი იყო, ხოლო ავტომატიზირებული წარმოების პროცესში მას აღარ სჭირდება ფიზიკური ენერჯის ხარჯვა, მაგრამ სამაგიეროდ მისი ცნობიერება აღმოჩნდა დამონებულ მდგომარეობაში. ადრე მანქანა, როგორც წარმოების ინდივიდუალური შრომის იარაღი, ადამიანის ფიზიკური სამუშაო ძალის მითვისების შესაძლებლობას იძლეოდა და ამიტომ მუშა იყო ზედმეტი პროდუქციის წარმოების ძირითადი წყარო. წარმოების ავტომატიზირებული სისტემა არსებითად ცვლის ადამიანსა და მანქანას შორის დამოკიდებულებას. მარქსის ზედმეტი ღირებულების თეორია ამ შემთხვევაში ძალას კარგავს, რადგან ავტომატიზირებულ სისტემაში ზედმეტი ღირებულებას ქმნის ძირითადად მანქანა და არაკოცხალი სამუშაო ძალა. მუშა ავტომატური მანქანების დანამატია და მისი კმაყოფილება. მარკუზე თვლის, რომ თანამედროვე წარმოების პროცესში სულ უფრო და უფრო გადამწყვეტი როლი ეკისრება საწარმოო ინტელიგენციას, რომელიც თავის მდგომარეობის გამო შეიძლება გახდეს ის „ახალი მუშათა კლასი“, რომელმაც გადატრიალება უნდა მოახდინოს წარმოების საშუალებებსა და წარმოებით ურთიერთობათა წესში [16, 77].

ფაქტიურად, იმავე აზრს ავითარებს მარკუზეს თეორიის გამგრძელებელი რ. გაროდი. მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის ეპოქაში საწარმოო ძალთა განვითარების კვალობაზე, წარმოების ტექნიკური სრულყოფის დროს ინტელიგენცია, მოსამსახურეები და სხვა სოციალური ჯგუფები რ. გაროდში მუშათა კლასთან გაიგივება და „ერთობლივი მუშაის“ ცნებით წარმოგვიდგინა, როგორც აღამიანთა „ახალი“ სოციალური ერთობლობა [15, 346]. რ. გაროდის, „ერთობლივი მუშაის“ ცნება აღებული აქვს კ. მარქსის შრომიდან და ამ ცნებას იგი იმ მიზნით იყენებს, რომ მისი ანალიზის საფუძველზე ისეთი შედეგი მიიღოს, რომელიც მის გარკვეულ პოლიტიკურ თვალსაზრისს შეესაბამება.

უწინარეს ყოვლისა, მარქსი ერთობლივი მუშაის და მუშათა კლასის ცნებას ერთმანეთთან არ აიგივებს. როცა მარქსი საწარმოო მუშაის ცნების ანალიზს ახდენს, ერთ შემთხვევაში „ერთობლივი მუშაი“ ესმის როგორც საწარმოო პერსონალი, მეორე შემთხვევაში კი, როცა ის შრომასა და კაპიტალს შორის კლასობრივი დამოკიდებულების დახასიათებას იძლევა, გულისხმობს მუშათა კლასს. საბოლოოდ მარქსს ერთობლივი მუშაის ცნება გაგებული აქვს, როგორც საწარმოს მთელი პერსონალის სოციალურად არაერთგვაროვანი შემადგენლობა [1, 230; 6, 17].

ინტელიგენციისა და მუშათა კლასის ინტეგრაცია მათი დაახლოებისა და გათანაბრების პროცესი, უძველესი, მთელი თავისებურებებით მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის დროს გამოვლინდება, მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს მათ შორის ზღვარის წაშლას და არ გვაძლევს საფუძველს ერთმანეთთან გაუიგივოთ მუშათა კლასი და ინტელიგენცია, ამის დასაბუთება მიმდინარე ეტაპზე თეორიულადაც და პრაქტიკულადაც არარეალური და მცდარი იქნება. ამასთან, ასეთ შემთხვევაში ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, თუ ვინ იგულისხმება მუშათა კლასის ცნებაში და რა სოციალურ ჯგუფებს მივაკუთნებთ ამ კლასს.

თანამედროვე ბურჟუაზიულ სოციოლოგიაში, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის პირობების დროს მუშათა კლასის სოციალური სტრუქტურისა და საზოგადოების განვითარებაში მისი როლის განსაზღვრისას, შეიძლება ერთმანეთისაგან განსხვავებული თვალსაზრისები გამოვყოთ: ერთნი მუშათა კლასის ცნებაში მხოლოდ ფიზიკური შრომის მუშაკებს აერთიანებენ და ამით ხელოვნურად ავიწროებენ მის საზღვრებს. ამ თვალსაზრისის წარმომადგენელთა მტკიცებით, მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის პირობებში ფიზიკური შრომის მუშათა რიცხვს შემცირების ტენდენცია ახასიათებს. მუშათა კლასი რაოდენობრივად მცირდება და ამასთან ეცემა მისი როგორც საზოგადოების მთავარი რევოლუციური ძალის გავლენა. მეორენი ცდილობენ დასაბუთონ, რომ თანამედროვე საზოგადოებაში მუშათა კლასი ძველი ტრადიციული გაგებით აღარ არსებობს. ისინი მუშათა კლასს წარმოგვიდგენენ როგორც გარკვეულ სოციალურ „სტრატას“, რომელიც ისე როგორც საზოგადოების სხვა სოციალური ფენები, „სოციალური მობილობის“ კანონზომიერებას ექვემდებარება.

სხვები მიიჩნევენ, რომ მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის პროგრესის პირობებში მიმდინარეობს მუშათა კლასისა და ინტელიგენციის ინტეგრაცია, რის შედეგადაც, მათი აზრით, ჩამოყალიბდება ახალი სოციალური ერთობა „ახალი მუშათა კლასის“ სახელწოდებით, ეს უკანასკნელი თვალსაზრისი ხელოვნურად აფართოებს მუშათა კლასის საზღვრებს და მუშათა კლასთან ერთად მასში შეჰყავს ინტელიგენციის დიდი ნაწილი.

მიუხედავად განსხვავებული თვალსაზრისებისა, ყველა მათგანისათვის საერ-

თრ დამახასიათებელი ნიშანი ის არის, რომ საზოგადოების კლასებად დაყოფის კრიტერიუმად სხვადასხვა საფუძველს მიიჩნევენ. ამასთან, ისინი უარყოფენ პროლეტარიზაციის ფაქტს და ესაბუთებენ, თითქოს კაპიტალისტურ საზოგადოებაში მიმდინარეობდეს „პროლეტარიატის გამდიდრება“ და მისი უფრო მაღალი რანგის სოციალურ ჯგუფად გარდაქმნა. აქედან კი ის დასკვნა კეთდება, რომ თანამედროვე ინდუსტრიულ საზოგადოებაში მუშათა კლასი აღარაა იმ ისტორიული მისიისა და როლის შემსრულებელი, რომელსაც მარქსი მიაწერდა მას XIX საუკუნეში. ნამდვილად კი საზოგადოების კლასებად დაყოფას თავისი საფუძველი საზოგადოების ეკონომიურ წყობაში აქვს, რაც მის პოლიტიკურ და სოციალურ ცხოვრებაში აისახება. თანამედროვე ავტომატიზებული წარმოება ათასობით სხვადასხვა პროფესიის მუშებსა და ინჟინერ-ტექნიკურ პერსონალს მოითხოვს. განათლებული და მაღალკვალიფიციური მუშა, რომლის შრომაშიც ერთმანეთს ერწყმის ფიზიკური და გონებრივი შრომის ელემენტები, თანამედროვე წარმოების მოთხოვნილებაა და არა „კაპიტალის ჰუმანიზაციის“ შედეგი.

ამა თუ იმ სოციალური ჯგუფების განსაზღვრული კლასებისადმი მიკუთვნებას შენოსავლისა და განათლების დონე კი არ განსაზღვრავს (თუმცა ამ ფაქტორებსაც გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება), არამედ ის, თუ როგორ დამოკიდებულებაში არიან ადამიანთა ჯგუფები წარმოების საშუალებებისადმი, ამასთან, რა ადგილი უჭირავთ მათ საზოგადოებრივი წარმოების ისტორიულად განსაზღვრულ სისტემაში, როგორია, მათი როლი შრომის საზოგადოებრივ ორგანიზაციაში და საზოგადოებრივი სიმდიდრიდან მათი წილის მიღების წესი და სიდიდე.

კლასების ეს ლენინური განსაზღვრება დღესაც ინარჩუნებს მნიშვნელობას. ამასთან, ვ. ი. ლენინი იმასაც აღნიშნავს, რომ „კლასები ეს ადამიანთა ისეთი ჯგუფებია, რომელთაგან ერთს შეუძლია მიითვისოს მეორის შრომა, საზოგადოებრივი მეურნეობის განსაზღვრულ წყობილებაში მათი ადგილის განსხვავების მეოხებით“ [2,491]. კლასების განსაზღვრების ეს უკანასკნელი ნიშანიც აუცილებელია და იგი ანტაგონისტურ საზოგადოებაში არსებული კლასების რეალური მდგომარეობის მაჩვენებელია.

განვითარებული სოციალიზმის პირობებში საბჭოთა მუშათა კლასის სტრუქტურის საკითხებზე ბევრი საყურადღებო მონოგრაფია, გამოკვლევა და სტატია გამოქვეყნდა. მათში მოცემული თვალსაზრისები საბჭოთა მუშათა კლასის განვითარების ძირითად ტენდენციების შესახებ არსებითად ერთმანეთს ეთანხმება. მიუხედავად ამისა, მუშათა კლასის საზღვრებისა და მის შიგნით არსებული სოციალური ფენების კრიტერიუმის განსაზღვრისას ჩვენ სამეცნიერო ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობა მაინც არსებობს.

მეკვლევართა ერთი ნაწილის აზრით, სოციალისტური საზოგადოების განვითარების კანონზომიერებანი, მეცნიერულ-ტექნიკურ რევოლუციასთან ერთად, არა მარტო აჩქარებს კლასების დაახლოებისა და შერწყმის პროცესს, არამედ უკვე განვითარებული სოციალიზმის პირობებში, არსებითად, ჩამოყალიბებულად თვლის ერთგვაროვან სოციალისტურ საზოგადოებას, სადაც კლასობრივი ურთიერთობის და კლასების არსებობის ნაცვლად უნდა ვილაპარაკოთ სოციალურ ფენებსა და მათ ურთიერთობაზე. ამ თვალსაზრისის დამცველნი პრინციპში უარყოფენ სახელმწიფო და საკოლმეურნეო საკუთრებას შორის არსებულ განსხვავებას, თვლიან, რომ მხოლოდ მიღებული პროდუქციის ჰარბი ნა-



წილი წარმოადგენს კოლმეურნე გლეხობისათვის ჯგუფური საკუთრების ფორმას. ხოლო ყოველივე დანარჩენი (შენობები, ტექნიკა, პირუტყვი და ა. შ.) ფორმალურადაა კოლმეურნეობის საკუთრება და განუყოფელ ფონდს წარმოადგენს. მაგალითად, რ. ვართანოვის აზრით, სახელმწიფო საერთო-სახალხო და საკოლმეურნეო-კოოპერაციულ საკუთრებას შორის არ არსებობს რეალური, არსებითი განსხვავება. კოლმეურნეობის ძირითადი საწარმოო საშუალება — მიწა, საერთო-სახალხო საკუთრებაა. შრომის მექანიზებული საშუალებანი, ჯოგი, ბაღები, საწარმოო, ადმინისტრაციული, კულტურული და საყოფაცხოვრებო დანიშნულების შენობები მხოლოდ ფორმალურად ითვლება კოლმეურნეობის საკუთრებად, რადგან ყოველივე ეს განუყოფელ ფონდს წარმოადგენს. ამგვარი მსჯელობით ავტორი იმ დასკვნამდე მიდის, რომ მუშათა და გლეხთა კლასს შორის განსხვავება არ არსებობს. სოციალისტური საზოგადოება, მისი აზრით, ესაა უკლასო საზოგადოება [12, 117-119].

სოციალისტური საზოგადოების კლასობრივი სტრუქტურის განვითარების ტენდენცია კლასობრივი განსხვავების წაშლასა და უკლასო, ერთგვაროვან საზოგადოებაზე თანდათანობით გადასვლის პროცესს წარმოადგენს. ეს ტენდენცია სულ უფრო შესამჩნევი ხდება განვითარებული სოციალიზმის დროს. მაგრამ დღევანდელ ეტაპზე კლასობრივ განსხვავებათა გაქრობის მტკიცება ნიშნავს, რომ უკლასო საზოგადოება უკვე აშენებულია.

სოციალიზმის დროს არსებული საკუთრების ორ ფორმას შორის განსხვავება ფორმალურ ხასიათს არ ატარებს. იგი გამოხატავს სოციალისტური საზოგადოების წევრების სხვადასხვაგვარ დაკავშირებას წარმოების საშუალებებისადმი, რაც ამ საზოგადოებაში კლასების არსებობას განაპირობებს. კოლმეურნეობების კუთვნილი ტექნიკა, ჯოგი თუ შენობები ადამიანთა განსაზღვრული ჯგუფის საკუთრებას წარმოადგენს და არა მთელი ხალხის კუთვნილებას. მართალია, დღეს საკოლმეურნეო საკუთრება გარდაიქმნება და თავისი განსაზღვრებით საერთო-სახალხო საკუთრების ფორმას უახლოვდება, მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ საკოლმეურნეო საკუთრებამ თავის სრულყოფის დონეს მიაღწია.

მკვლევართა მეორე ჯგუფი, სოციალისტური საზოგადოების შემადგენლობაში გონებრივი დარგის მუშაკთა (ინტელიგენციისა და მოსამსახურეთა) რიცხვის ზრდასა და მუშათა კლასს შიგნით მომხდარი ცვლილებების ანალიზზე დაყრდნობით მიიჩნევს, რომ მუშათა კლასის შემადგენლობაში შედის ინტელიგენციისა და მოსამსახურეთა განსაზღვრული ნაწილი. ისინი გულისხმობენ ყველა იმ პირებს რომლებიც მატერიალური წარმოების სფეროში არიან ჩაბმული. ავრეთვე იმ პირებს, რომლებიც შრომით საქმიანობას ეწევიან საკონსტრუქტორო ბიუროებში, ლაბორატორიებსა და სამეცნიერო დაწესებულებებში.

ამ თვალსაზრისს იცავენ ს. სტრუმლინი, ს. კუგელი, ა. არზუმიანი, თ. შკარატანი, მ. რუბინშტეინი, ტ. ბატალინა, ი. შირიაევი და სხვ.

ფაქტიურად, ამავე თვალსაზრისზე დგანან ლ. ბლიახმანი და თ. შკარატანი 1973 წელს გამოცემულ მონოგრაფიაში — „მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია, მუშათა კლასი, ინტელიგენცია“.

ფაქტობრივი მასალების ანალიზზე დაყრდნობით, მონოგრაფიის ავტორები იმ დასკვნამდე მიდიან, რომ ინტელიგენციის ნაწილი, რომელიც საწარმოების წარმოებით პროცესებში მონაწილეობენ უშუალოდ, შეიძლება განხილული

იქნეს როგორც მუშათა კლასის მაღალ-განათლებული ფენა. საკითხი ეხება ტექნიკოსებს, ინჟინრებს, ინჟინერ-ლაბორანტებს და ა. შ., რომლებიც ემსახურებიან რთულ აგრეგატებს და კიბერნეტიკულ მოწყობილობას. მუშათა კლასის შემადგენლობაში შედიან აგრეთვე კავშირგაბმულობის, საყოფაცხოვრებო მომსახურების, საკანტრო-სავეჯრო მუშაკების დიდი ნაწილი... [9, 163].

რასაკვირველია, თანამედროვე კვალიფიკაციური მუშის შრომაში ფიზიკურთან ერთად თავს იჩენს გონებრივი შრომის აუცილებლობა, ამიტომ მუშის შრომის ინტელექტუალიზაციას თანდათანობით მივყავართ, უპირველეს ყოვლისა, მატერიალური წარმოების სფეროში დასაქმებულ მუშათა კლასსა და ინტელიგენციას შორის არსებული სოციალური საზღვრის წაშლისაკენ. მაგრამ მუშათა კლასის შემადგენლობაში მთელი ტექნიკური ინტელიგენციის შეყვანის უფლებას ეს გარემოება ჯერ კიდევ არ იძლევა, რადგან ასეთ შემთხვევაში მათ შორის საზღვარი უკვე წალშლილი აღმოჩნდება. მუშათა კლასის საზღვრების ამგვარი გაფართოება, არსებითად, იმას ემყარება, რომ წარმოების საშუალებათა წარმოებისადმი დამოკიდებულება კლასობრივი განსხვავების ერთადერთ ნიშნად იყოს მიჩნეული [8, 52]. ნამდვილად კი, როგორც აღინიშნა, სოციალური ჯგუფები სხვა ნიშნებითაც განსხვავდებიან, მაგალითად იმით, თუ რა ადგილი უჭირავს ამ ჯგუფებს საზოგადოებრივი წარმოების ისტორიულად განსაზღვრულ სისტემაში, მათი როლი შრომის საზოგადოებრივ ორგანიზაციაში, საზოგადოებრივი სიმდიდრის მიღების წესითა და სიდიდით, მათი განათლების, კულტურულ-ტექნიკური ცოდნის დონით, ოჯახური ყოფისა და სხვა თავისებურებებით. ცხადია, რომ ეს განსხვავებანი ჯერაც არსებობს მუშათა კლასსა და ინტელიგენციას შორის, მაგრამ ისინი თანდათანობით იშლება და „ეს რომ მოხდეს საჭიროა უდიდესი ნაბიჯის წინ გადადგმა მწარმოებელ ძალთა განვითარებაში“.. „კლასების სრული მოსპობისათვის საჭიროა, არა მარტო დაეამხონთ ექსპლოატატორები, მემამულეები და კაპიტალისტები, არა მარტო გავაუქმონთ მათი საკუთრება, საჭიროა გავაუქმონთ აგრეთვე წარმოების საშუალებათა ყოველგვარი კერძო საკუთრება, საჭიროა, მოვსპოთ განსხვავება როგორც ქალაქსა და სოფელს შორის, ისე განსხვავება ფიზიკური შრომის ადამიანსა და გონებრივი შრომის ადამიანებს შორისაც“ [2, 491].

მუშათა კლასის საზღვრების გაფართოების მომხრეთა არც ის არგუმენტია სწორი, რომლის მიხედვითაც მუშათა კლასის შემადგენლობაში შეჰყავთ მატერიალურ წარმოებაში დასაქმებული ყველა ინტელიგენტი, მოსამსახურე და მათ „ერთობლივი მუშაკის“ ტერმინით აღნიშნავენ. როგორც ითქვა, მარქსის მიხედვით, „ერთობლივი მუშაკის“ ცნება საწარმოო პერსონალის შინაგან სოციალურ არაერთგვაროვნებაზე მიუთითებს და არაა იგი მუშათა კლასის ცნების დიდებული [8, 53].

ჩვენ სამეცნიერო ლიტერატურაში ზოგჯერ გვხვდება ისეთი თვალსაზრისი, რომლის მიხედვით მუშათა კლასს მიაკუთვნებენ მხოლოდ ფიზიკური შრომის მუშაკებს. მართალია, ამ თვალსაზრისს მკვლევართა უმნიშვნელო ნაწილი იზიარებს და ამიტომ არ შეიძლება გავრცელებულ თვალსაზრისად მივიჩნიოთ. მათ საწინააღმდეგოდ უნდა შევნიშნოთ, რომ მუშათა კლასის ცნების ასეთი ტრივიალური გაგება თუნდაც იმიტომ არის მიუღებელი, რომ ამ თვალსაზრისის მიხედვით გამოდის, თითქოს მუშათა კლასს მხოლოდ დაბალი განათლების პირ-

ები განეკუთვნებიან, რომელთა შრომითი საქმიანობიდან ინტელექტუალური შრომა გამორიცხულია.

რასაკვირველია, საზოგადოების ძირითადი მატერიალური ფასეულობის უემქმნელია მუშათა კლასი, რომელსაც მოძრაობაში მოჰყავს შრომის იარაღი და უშუალოდ მოქმედებს შრომის საგანზე. მართებული არაა ის თვალსაზრისი, რომელსაც მუშათა კლასსა და ინტელიგენციას შორის განსხვავების არსებით საფუძვლად ის მიაჩნია, რომ პირველი ფიზიკურს, მეორე კი გონებრივ შრომით საქმიანობას ეწევიან. მუშათა კლასი ინტელიგენციისაგან, უპირველეს ყოვლისა, თავისი შრომის შინაარსითა და დანიშნულებით განსხვავდება. მუშის ფიზიკური და ინტელექტუალური შრომა დაკავშირებულია უშუალოდ შრომის საგანთან, მატერიალური დოვლათის წარმოებასთან, ამიტომ მუშათა კლასს უნდა მიეკუთვნოთ არა მხოლოდ ფიზიკურად მომღვავე პირები, არამედ ისინიც, რომელთა შრომით საქმიანობაში ჰარბობს გონებრივი შრომა, თუ კი ეს შრომა უშუალოდ მატერიალური დოვლათის წარმოებას ხმარდება.

მკვლევართა უმრავლესობა არ იზიარებს ზემოთ მოყვანილ თვალსაზრისებს. ისინი თვლიან, რომ პირველ შემთხვევაში საქმე გვაქვს სოციალისტური საზოგადოების კლასობრივი სტრუქტურის არასწორ გაგებასთან. მეორე შემთხვევაში კი — მუშათა კლასის ცნების ხელოვნურ გაფართოებასთან, სხვა შემთხვევაში კი — მის ხელოვნურ შევიწროებასთან.

მკვლევართა ამ ჯგუფის აზრით, მუშათა კლასს მიეკუთვნებიან უპირატესად ფიზიკურ შრომაში დასაქმებული პირები, რომელთა შრომაც სისტემატურად მიდრდობს ინტელექტუალური შრომის ელემენტებზე, ე. ი. მათ საქმიანობაში ფიზიკური შრომის პროცესი არ გამოირჩევა გონებრივსა და პირიქით. ამიტომ, მათი აზრით, მუშათა კლასის შემადგენლობაში უნდა შევიყვანოთ არა ყველა ინჟინერ-ტექნიკოსი, არამედ მათი ის ნაწილი, რომლის გონებრივი საქმიანობა ინტელექტთან ერთად გარკვეული ზომით მოითხოვს კუნთოვანი სისტემის ენერჯის დახარჯვასაც.

აღნიშნული თვალსაზრისი, რომელსაც იზიარებენ და ემხრობიან მ. რუტკევიჩი, ვ. სემიონოვი, გ. გლუზერმანი, პ. ფეოდოსეევი, ა. სმირონოვი, ა. ამეროსოვი და სხვები, ჩვენი აზრითაც, ყველაზე მისაღები და სწორი უნდა იყოს.

უემქველია, რომ მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესს გარკვეული ცვლილებები შეაქვს შრომის შინაარსსა და ხასიათში, რაც, თავის მხრივ, ცვლილებებს იწვევს წარმოების მუშაკთა სტრუქტურაში. წარმოების ტექნიკური და ტექნოლოგიური სრულყოფა წარმოების სფეროში უშუალოდ დასაქმებულ პირთა შრომას ინტელექტუალურს ხდის, რაც მუშათა კლასს შიგნით ახალ პროფესიულ-კვალიფიცირებულ ფენებს წარმოშობს და მისი საზღვრების გაფართოებას იწვევს. თანამედროვე ავტომატიზირებული წარმოების მუშა რამდენადმე სრულყოფილ ტექნიკურ განათლებას უნდა ფლობდეს, რადგან ასეთ წარმოებაში იგი ავტომატებისადმი კონტროლს ახორციელებს, მართავს რთულ მანქანადანაღარებს და ახდენს მათ გამართვას და შეკეთებას. ასეთი მუშის შრომაში რთული ინტელექტუალური შრომა შეერწყმის მაღალკვალიფიციურ ფიზიკურ შრომას, ასეთ სამუშაოებს, უმეტეს შემთხვევაში, საშუალო სპეციალური და რიგ შემთხვევაში უმაღლესი განათლების მქონე პირები ასრულებენ. ამ კატეგორიის მუშებს მეცნიერულ ლიტერატურაში მუშა-ინტელიგენციას უწოდებენ, რომელთა რიცხვიც განუზრვლად იზრდება.

სოციოლოგიური გამოკვლევები გვიჩვენებენ, რომ ჩვენი ქვეყნის მსხვილ საწარმოებში ე. წ. „მუშა-ინტელიგენცია“ ამ საწარმოთა მთელი მუშათა რაოდენობის 7,9-დან 14,1-მდე პროცენტს შეადგენს. ხოლო ცალკეულ საამქროებში 84 % -საც აღწევს [10,120].

ეს ახალი სოციალური ჯგუფები მათი შრომის ხასიათისა და შინაარსის თავისებურებებზე მუშათა კლასს მიეკუთვნება. ამავე დროს, სხვა სოციალური ჯგუფებისაგან განსხვავებით, მათ ახასიათებთ უფრო მაღალი კვალიფიციური და ზოგადსაგანმანათლებლო დონე, საზოგადოებრივი აქტივობა და შრომისადმი შეგნებული დამოკიდებულება.

მუშათა კლასისა და ტექნიკური ინტელიგენციის დაახლოების პროცესი არაა ცალმხრივი, ე. ი. მათი დაახლოება არ ნიშნავს არც მუშების გაინტელიგენტებას და არც ინტელიგენციის მუშად ქცევას. ინტელიგენციისა და მუშათა კლასის ინტეგრაციის პროცესი ორმხრივი ხასიათისაა. ამ პროცესის შედეგად ხდება ახალი სოციალური ჯგუფების და შრომითი კოლექტივების ფორმირება. ეს ჯგუფები ყველა იმ საუკეთესო თვისებების, ტრადიციებისა და ნიშნების მატარებელია, რომლითაც ხასიათდება მუშათა კლასი და ინტელიგენცია.

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის პირობებში სოციალისტური მუშათა კლასი რაოდენობრივად იზრდება მისი საზღვრების გაფართოებასთან ერთად. რაც უფრო მიმდინარეობს სხვადასხვა კლასებისა და სოციალური ჯგუფების ერთმანეთთან დაახლოების და შერწყმის პროცესი, მით უფრო რთული ხდება იმ საზღვრებისა და ჩარჩოების შემომიჭვნა, რომელშიც უნდა მოექცეს ესა თუ ის კლასი. ეს სოციალისტური საზოგადოების სოციალურ-კლასობრივი სტრუქტურის განვითარებაში იმ პროგრესულ ტენდენციას მოასწავებს, რასაც ერთგვაროვანი სოციალისტური საზოგადოების ჩამოყალიბებისაკენ მივყავართ.

განვითარებულ სოციალისტურ საზოგადოებას განვითარებული მუშათა კლასი ესაჭიროება. მუშათა კლასს შიგნით ახალი სოციალური ჯგუფების წარმოშობა მისი სტრუქტურის დინამიურობის და საზღვრების გაფართოების მიხედნებელია. განვითარებული სოციალისტური საზოგადოების მუშათა კლასს მიეკუთვნებიან ის პირები, რომლებიც დაკავშირებული არიან სოციალისტური საკუთრების სახელმწიფო ფორმასთან. ქმნიან საზოგადოების ძირითად მატერიალურ ფასეულობას და უშუალოდ ზემოქმედებენ შრომის საგანზე შრომის იარაღებით, იქნება ეს მარტივი შრომის იარაღი თუ რთული თანამედროვე ავტომატიზირებული მანქანა-დანადგარი. განვითარებული სოციალიზმის პირობებში მუშათა კლასი კვლავ ინარჩუნებს თავის ხელმძღვანელ როლს სოციალისტური საზოგადოების სხვა კლასებისა და სოციალური ჯგუფების მიმართ, საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა უბანზე. ეს გარემოება ხელს კი არ უშლის ერთგვაროვანი საზოგადოების ჩამოყალიბების დადებით ტენდენციას, არამედ პირიქით, იგი ხელს უწყობს და აჩქარებს მის დამკვიდრებას. როგორც აშხ. ლ. ი. ბრეჟნევიმა აღნიშნა სკკპ XXVI ყრილობაზე „საზოგადოების უკლასო სტრუქტურის ჩამოყალიბება უმთავრესად და ძირითადად მომწიფებული სოციალიზმის ისტორიულ ფარგლებში მოხდება.

ამ პროცესის წამყვან ძალად, მის, როგორც მარქსმა თქვა, „სოციალურ გონებად და სოციალურ ძალად“, კვლავინდებურად რჩება თანამედროვე მუშათა კლასი“ [3,82].



Б. З. ДЕКАНОИДЗЕ

К ПОНЯТИЮ РАБОЧЕГО КЛАССА В УСЛОВИЯХ НАУЧНО-ТЕХНИЧЕСКОЙ РЕВОЛЮЦИИ

Резюме

НТР вызвала существенные изменения в социальной структуре общества. Возникли новые социальные группы, которые характеризуются многосторонними особенностями градации, в результате чего стираются грани между классами и социальными группами. Этим и объясняется то обстоятельство, что возникли разные взгляды на понятие рабочего класса и его границы.

Совершенствование техники и технологии производства делает труд людей, занятых в производстве, интеллектуальным, что внутри рабочего класса создает новые профессионально-квалифицированные кадры.

ლიტერატურა

17.348

1. მარქსი კ. კაპიტალი, ტ. 1, თბ., 1945.
2. ლენინი ვ. ი. დიდი თაოსნობა, თხზ., ტ. 29.
3. სკვპ XXVI ყრილობის მასალები, 1981.
4. ასათიანი გ. საზოგადოების სოციალური სტრუქტურა, თბ., 1969.
5. ასათიანი გ. თანამედროვე ბურჟუაზიული სოციოლოგია, თბ., 1976.
6. ვევენტაძე შ. მუშათა კლასის განვითარების ზოგიერთი საკითხი, თბ., 1977.
7. კოდუა ე. კლასების ლენინური განსაზღვრების მნიშვნელობა თანამედროვე ბურჟუაზიული სოციოლოგიის კრიტიკისათვის, თბ., 1980.
8. ჯიჯეიშვილი მ. მუშათა კლასი საბჭოთა საზოგადოების წამყვანი ძალა, თბ., 1973.
9. Бляхман Л. С., Шкаратан О. И. НТР, рабочий класс, интеллигенция. М., 1973.
10. Гельюта А., Староверов В. Социальный облик рабочего интеллигента. М., 1977.
11. Гелбрейт Дж. Новое индустриальное общество. М., 1969.
12. Проблемы изменения социальной структуры советского общества. Сб. Вартанов Р. Г. Классы или основные слои? М., 1968.
13. Современный капитализм и рабочий класс, критика антимарксистских концепции. 1976.
14. Dahrendorf R. Class and Class Conflict in Industrial Society. London 1959.
15. Garaudy R. Pour un modele français du socialisme. Gallimard. P. 1968.
16. Marcuse H. Vers la Libération. Paris, 1969.
17. Fischer E. Die Revolution ist anders. Hamburg. 1971.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტმა

ქ. მარტოშვილი სსრ

МУРАТ АУЭЗОВ

(Алма-Ата)

## ЭНКИДИАДА

### (К проблеме единства миров кочевья и оседлости)

...Разве навеки мы строим дома  
Разве навеки мы ставим печати  
Разве навеки делятся братья  
Разве навеки ненависть в людях...

Эти слова взяты из монолога Утнапишти, аккадского Ноя, на долю которого выпало выжить во времена потопа. Изъятые из контекста, слова не потускнели. В них ясно слышен страстный призыв отбросить старые «печати», возродить единство братьев, искоренить ненависть в сердцах. Подобно самому Утнапишти, принятому в «собрание» богов, когда яростные воды потопа стирали прежний контекст жизни на земле, извлеченные, освобожденные слова обретают новое звучание, величественное и актуальное. В родной стихии, в эпосе о Гильгамеше, точнее — в монологе Утнапишти, роль их скромнее и звучат они элегично. Монолог начинается с обобщения «Ярая смерть не щадит человека» и завершается рассуждениями о том, что не люди, а боги определяют судьбу и что смерть всему кладет предел — и злу, и добру, и их противоборству. Все не «навек», ибо ничто не вечно — таков смысл избранных для эпиграфа слов из монолога Утнапишти.

Перед нами — книга. Самая старая из всех существующих — «Эпос о Гильгамеше» («О все видавшем») [1]. Различные версии этой древней поэмы дошли до современности из глубины тысячелетий. В основе нашего текста — «нивийская» версия (VII—VI вв. до н. э.), одна из последних. Обратим внимание на то обстоятельство, что в старых текстах, в таких, например, поэмах, как «Гильгамеш и Гора живых», «Гильгамеш и небесный бык», «Гильгамеш и ива», герой Энкиду — «в степи рожденный», выступает в роли раба Гильгамеша — царя «огражденного Урука», тогда как «нивийская» версия именует его другом и братом Все-видавшего.

Столетиями народы вчитывались в глиняные таблицы древнейшей поэмы и находили в них то, что искали. Эпос щедр, потому что высокохудожествен. Оттого и глубины его безмерны. Самые смелые предложения, претендующие на объяснение «главного» в нем, теряются здесь как одинокий путник в вечерней степи. Мудрый, как жизненный опыт, эпос логичен. Но в жилах старого мастера разлит

огонь творчества. Он неистощим в нахождении художественных средств, взрывающих трезвую, логичную последовательность сюжета. Гильгамеша, восставшего против воли богов, эпос проводит по кругу испытаний и возвращает в Урук смирившимся. Но не капитуляции героя («Да отступлю я!») посвящает он самые поэтические, вдохновенные строки, а горестному плачу его об умершем друге:

Как отец и мать в его дальних кочевьях,  
 Я об Энкиду буду плакать.  
 Внимайте же вы, мужи, внимайте,  
 Внимайте, старейшины огражденного Урука!  
 Я об Энкиду, моем друге, плачу,  
 Словно плакальщица, горько рыдаю:  
 Мощный топор мой, сильный оплот мой,  
 Верный кинжал мой, надежный шит мой,  
 Праздничный плащ мой, пышный убор мой,—  
 Демон злой у меня его отнял!

Боги Урука, боги Гильгамеша осудили Энкиду. Гильгамеш это знает, это знает эпос, и тем не менее — «Демон злой у меня его отнял!» Взметнувшийся вопль скорби разрушает и логику, и форму скупого на развернутые метафоры эпоса, возносится к небесам последующих времен, оставляя богов и «философские» вопросы Гильгамеша о жизни и смерти на стеллажах аккадской старины.

Все зависит от того, что именно «высвобождаем» мы из содержания эпоса. Переводчик и один из крупнейших исследователей поэмы о Гильгамеше И. М. Дьяконов считает, что в центре ее стоит «проблема тщетности человеческой жизни и неизбежной несправедливости человеческих страданий и смерти, которая уравнивает всех» [1, 127].

Нетрудно заметить, что на исследователя большое впечатление произвел монолог Утнапишти, сентенции которого действительно дают основание придти к выводу, будто главным в эпосе является драматическое восприятие мира. Но не отмечено ли в эпосе гораздо большей силой художественности иное — мощный и скорбный плач по случаю распада состоявшегося было братства двух стихий — кочевья и оседлости, персонифицированных в образах главных героев — Энкиду и Гильгамеша? И разве не эта трагическая коллизия является основной в «нивенной» версии эпоса? Трагическая коллизия, как известно, предлагает борьбу за утверждение высоких идеалов и поэтому может лечь в основу подлинного произведения искусства, значительная сущность которого — жизнеутверждение. Драматическое восприятие мира сковано противоположной идеей — мыслью о бренности жизни и тщетности усилий человека. Оно также может стать предметом искусства, но самим же искусством должно быть преодолено. В противном случае мы будем иметь перед собой дидактику, назидание, философию скептицизма — все, что угодно, но не искусство.

Эпос прекрасно справляется с пессимизмом Утнапишти. В этом нетрудно убедиться. Стоит только внимательно прислушаться к дыханию слов, довериться не эпосу-мудрецу, а эпосу-художнику.

Энкиду... Образ его представляется наиболее интересным. Возможно, потому, что Энкиду «в степи рожден» и его «взрастили горы». Человека, знакомого с тюркской литературной традицией, сочетание «степь и горы» не может оставить равнодушным. В фольклоре, в поэзии тюркских кочевых племен степь — образ земного, реального бытия, а горы давно уже стали символом величия, мудрости, высоты духа. Разумеется, в эпосе о Гильгамеше, созданном, во всяком случае, не кочевниками, образы гор и степи могут иметь совсем другое значение, скажем, пустынных мест, в которых обитают звери и дикие люди, каким поначалу эпос воспринимает Энкиду. Впрочем, аккадскому мироощущению не чуждо уважительное отношение к горе. Так, накануне схватки с чудовищем Хумбабой, Гильгамеш, желая узнать, что ждет их с Энкиду, устремляет взор свой в мир горный: «Гора, принеси виденье ночью!» И подобно Коркуту тюркских преданий, обезавшему все стороны света в поисках бессмертия и отступившему, услышав, как «даже мощные горы поведали ему об ожидавшем их разрушении» [2,228], Гильгамеш отступает в страхе, когда гора в его видениях вдруг повалилась и рассыпалась «в пепел».

Прозвучало когда-то «рожден в степи»... и одно лаконичное упоминание побуждает внимательно отнестись к судьбе того, о ком это было сказано.

3) რიცხვები არ შეიძლება იდეები იყვნენ, რადგან ისინი ვერ იარსებებენ იდეათა სამყაროში. რიცხვები რომ არ შეიძლება იდეები იყვნენ, ამის თაობაზე არისტოტელე წერს: ერთიანები, რომლებიც შედიან პირველ ორიანში, ბადებენ იმ ოთხ ერთიანს, რომლებიც შედიან ოთხიანში, ასე რომ ყველა ერთიანები იქნებიან იდეები, ხოლო იდეა იქნება შედგენილი იდეებისაგან. ამიტომ ნათელია, რომ ის, რის იდეებადაც მათ მოუწევთ ყოფნა, იქნება შედგენილი [4,337]. ამიტომ თუ დავეუშვებთ, რომ იდეები არიან რიცხვები, მაშინ მივლებთ, რომ იდეები სხვა იდეებისაგან იქნებიან შედგენილნი. მაგრამ შეუძლებელია, რომ ერთი იდეა მეორე იდეისაგან იყოს შედგენილი, რადგან პლატონისათვის იდეები დამოუკიდებელნი და მუდმივნი არიან. ყოველივე ეს პლატონს შეუძლებელია არ ჰქონოდა გათვალისწინებული.

ამ მოსაზრების დასამტკიცებლად განვიხილოთ აგრეთვე იდეის რაობა, თუ როგორი უნდა იყოს იდეა. პლატონთან, ისევე როგორც არისტოტელესთან, ნებისმიერი გრძნობადი საგანი შედგება კონკრეტული ფორმისაგან და მატერიის კონკრეტული რაოდენობისაგან (ოთხი ელემენტის კონკრეტული პროპორციისაგან). როგორც ვიცით, მატერიას საგანი იღებს განუსაზღვრელი ორიდან, ხოლო ფორმა მან უნდა მიიღოს იდეასთან ზიარებით. რას წარმოადგენს ეს ზიარება? იდეები მართალია საგნებს აძლევენ კონკრეტულ ფორმებს, მაგრამ თვითონ არ შეიძლება იყვნენ რაიმე ფორმის მქონენი. რადგან თუ წარმოვიდგენთ ადამიანობის იდეას ადამიანის ფორმის სახით, მაშინ ჩვენ დავკვირდება იმდენი იდეა, რამდენი ადამიანიც არსებობს, რადგან ყველა ადამიანს თავისი სპეციფიკური ფორმა აქვს (ზოგი მალალია, ზოგი დაბალი და ა. შ.) იდეა არ შეიძლება რაიმე რიცხვი იყოს, რადგან სადაც არის რიცხვი, იქ ყოველთვის საქმე გვაქვს კონკრეტულთან (ნებისმიერი რიცხვების რაიმე კომბინაცია, ყოველთვის რაიმე კონკრეტულ ფორმას მოგვცემს). მაშ რას წარმოადგენენ იდეები და როგორ აძლევენ ისინი საგნებს კონკრეტულ ფორმებს? იდეა არის ზოგადი კანონზომიერება, რომელიც არის რაიმე ფორმის არსებობის კანონი და ეს ფორმა კონკრეტულ განზომილებებს იძენს მაშინ, როდესაც მასში ჩავსვამთ კონკრეტულ რიცხვთა პროპორციას. ცხადია, რამდენადაც იდეები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან, ამდენად ისინი, გარკვეული აზრით, კონკრეტულნი არიან, მაგრამ აქ ლაპარაკია არა იმ კონკრეტულობაზე, რითაც იდეები შეგვიძლია განვასხვავოთ, არამედ იმ კონკრეტულობაზე, რომელსაც იქნენ ერთსახელა საგნები იდეასთან ზიარებით. იგი კონკრეტული კანონზომიერებაა, მაგრამ ის არ არის კონკრეტული ფორმა. აი, რას ნიშნავს „რიცხვის მეშვეობით“.

როგორც ვხედავთ, გეომეტრიული ფიგურები და რიცხვები არ შეიძლება იდეათა სამყაროში არსებობდნენ, რადგან ისინი მათში ყოველთვის კონკრეტულობას შეიტანდნენ. მაშინ რატომ წერს არისტოტელე, რომ პლატონისთვის ადამიანის იდეა რაიმე რიცხვს წარმოადგენდა? ამ კითხვას რომ გავცეთ პასუხი, საჭიროა ვუპასუხოთ შემდეგ კითხვას: როგორც ზემოთ აღნიშნულიდან ვიცით, სამყაროს (კოსმოსის) წარმოქმნამდე, პლატონისა და მთელი ძველი ბერძნული აზროვნების მიხედვით, მატერია ქაოსს წარმოადგენდა. ჩვენ ვიცით აგრეთვე, რომ ქაოსურ მატერიას არ შეიძლება რაიმე ფორმა ჰქონდეს; გამოდის, რომ გეომეტრიული ფიგურები და რიცხვები, როგორც იდეის სტრუქტურად ქცევა, სამყაროს წარმოშობამდე არც იდეათა სამყაროში არსებობდნენ და არც ქაოსურ მატერიაში. პლატონისათვის, როგორც ვიცით, მესამე რამ არ არსებობდა. ე. ი. თუ რიცხვები და გეომეტრიული ფიგურები არსად არ არსებობდა.

ბობდა, მაშინ ის უნდა წარმოშობილიყო. მაშ, როდის და როგორ წარმოიქმნა რიცხვები და გეომეტრიული ფიგურები? რიცხვების წარმოშობის აუცილებლობა დემიურგის წინაშე დადგა მას შემდეგ, როდესაც გადაწყდა სამყაროს წარმოშობა. საჭირო იყო ზოგადი მათემატიკური კანონზომიერებანი გარდაქმნილიყო კონკრეტულ ფორმებად და ეს მოხდა იდეების მატერიასთან შეერთებით. მაგრამ იდეები ვერ შეუერთდებოდნენ მატერიას უშუალოდ, რადგან ისინი დამოუკიდებლად არსებობენ. ამიტომ საჭირო იყო შუალედური რგოლი, რომელიც მათ დააკავშირებდა. ეს კი, პლატონის აზრით, იყო მათემატიკური ფიგურები და რიცხვები.

განვიხილოთ, თუ როგორ მოხდა საკუთრივ რიცხვების წარმოშობა. პლატონი დიალოგ „ფედონში“ წერს: „მე ეგ მოცეხს: როცა ორივე ცალ-ცალკე ეგო, თვითელი მათგანი ერთი იყო და ორი ერთი არ იყო ორი, ხოლო როცა ერთმანეთს მიუახლოვდნენ, სწორედ ეს მიახლოვება და მიახლება გახდა მათი ორად ქცევის მიზეზი. არც ის შემძლია ვირწმუნო, რომ როცა ერთს ორად ჰყოფენ, ეგ გაყოფა, თავის მხრივ, მიზეზი ხდება ორად ქცევისა, რადგან ორი ამ შემთხვევაში სრულიად საპირისპირო გზით მიიღება“ [2,84]. ამ წინააღმდეგობის გამო პლატონს გამოაქვს შემდეგი დასკვნა: „რაც ორი უნდა გახდეს, ორებას უნდა ეზიაროს უთუოდ, ხოლო ის, რაც ერთი უნდა გახდეს — ერთებას“ [2,92]. როგორც ვხედავთ, პლატონისათვის შეუძლებელია სხვაგვარი წარმოშობა, თუ არა რაიმეს ერთსახელა იდეასთან ზიარებით. მაგრამ ჩვენ ზემოთ დავამტკიცეთ, რომ იდეალურ სამყაროში შეუძლებელია რიცხვების და გეომეტრიული ფიგურების არსებობა. სამყაროს წარმოშობამდე ისინი არ არსებობდნენ არც იქ და არც ქაოსურ მატერიაში. როდესაც დადგა საკითხი სამყაროს წარმოშობის შესახებ, საჭირო გახდა კონკრეტული რიცხვები და ფორმები, რომლებიც ქაოსურ მატერიას, იდეალური მათემატიკური კანონზომიერებების საშუალებით, გადააქცევდნენ რეალობად. ამიტომ საჭირო იყო იდეის მსგავსი რიცხვების წარმოშობა, რომელიც თავის მხრივ წარმოშობდა რეალურ რიცხვებსა და გეომეტრიულ ფიგურებს. ასეთი „იდეალური რიცხვები“ წარმოიშვა ერთისაგან და განუსაზღვრელი ორისაგან. არისტოტელე „მეტაფიზიკაში“ წერს: საწყისი როგორც მატერია — ესაა დიდი და მცირე, ხოლო როგორც არსება — ერთი, რადგან ეიდოსები, როგორც რიცხვები მიიღება დიდის და მცირესაგან ერთთან ზიარების შედეგად. როგორც ვხედავთ, რიცხვი — ეიდოსი წარმოიშვა ერთის და განუსაზღვრელი ორის მეშვეობით. კონკრეტულად ეს შემდეგნაირად მოხდა: ერთიანები, რომლებიც შედიან პირველ ორიანში, წარმოიქმნებიან ერთად უტოლობიდან, როგორც ამას თელის ის (პლატონი), რომელმაც პირველმა გამოთქვა ეს (რადგან ისინი წარმოიქმნენ უტოლობის გატოლებით) [4,334]. სამიანი წარმოიქმნა ამ ორიანისა და ერთის მიმატებით, და შემდეგ დანარჩენი რიცხვები 10-მდე. ეს ათი რიცხვი არის რიცხვი — იდეა, სიდანაც დასაბამი მიიღეს კონკრეტულმა რიცხვებმა. რა განსხვავებაა პლატონისთვის რიცხვ-იდეებსა და კონკრეტულ რიცხვებს შორის, ძნელი სათქმელია. ძნელია მათ შორის რაიმე განსხვავების მოძებნა, რაც არისტოტელეს კრიტიკის საგნად იქცა.

როგორც ვხედავთ, ჩვეულებრივ იდეებსა და იდეა-რიცხვებს შორის დიდი განსხვავებაა. ჩვეულებრივი იდეები არ წარმოიშობიან, ხოლო იდეა რიცხვი წარმოიშვა, თუმცა ღვთაების (დემიურგის) მიერ, მაგრამ მაინც სამყაროს წარ-

მოქმნის წინ და იქცა დამაკავშირებელ რგოლად იდეებსა და ქაოსურ მატერიას შორის. ჩვეულებრივი იდეები განსხვავდებიან რეალური საგნებისაგან იმით, რომ მათ არა აქვთ რაიმე კონკრეტული ფორმა და რაოდენობა, არამედ ფორმების ზოგად მათემატიკურ მოდელებს წარმოადგენენ, როცა ამ დროს ძნელია რაიმე განსხვავების პოვნა იდეა-რიცხვებსა და კონკრეტულ რიცხვებს შორის. იგივე შეიძლება ითქვას გეომეტრიული ფორმების შესახებ. ე. ი. რიცხვები და გეომეტრიული ფიგურები არ არიან იდეები, არამედ ისინი წარმოადგენენ საშუალოს იდეებსა და ცვალებად საგნებს შორის. მათი საშუალებით გადაიქცევა კონკრეტულ ფიგურებად ქაოსური მატერია.

მაშინ რატომ წერს არისტოტელე, რომ რაღაც რიცხვი არის ადამიანი, ხოლო სხვა ცხოველი? „მეტაფიზიკაში“ ვკითხულობთ: იდეები არ შეიძლება დავაყენოთ არც რიცხვებზე ადრე და არც გვიან [4,334]. რას ნიშნავს ეს? თუ რიცხვები და გეომეტრიული ფიგურები წარმოიქმნენ ერთისა და განუსაზღვრელი ორისაგან, ხოლო იდეები წარმოუშობადნი და უქცდავნი არიან, მაშინ გამოდის, რომ რიცხვი იდეის შემდეგ უნდა ყოფილიყო. მაშინ რატომ წერს არისტოტელე, რომ არ შეიძლება მათი დროში განცალკავება? ამის ვასარკვევად საჭიროა განვიხილოთ ორი მომენტი:

1) პლატონი დიდივ „ტიმაიოსში“ წერს: არ იყო არც დღე, არც ღამე, არც თვეები, არც წლები, სანამ არ წარმოიქმნა ცა, მაგრამ მან (ღმერთმა) მოაზნა და მათი წარმოშობა მაშინ, როცა ცა უკვე აგებული იყო. ყველა ესენი დროის ნაწილებია, ხოლო „იყო“ და „იქნება“ არის წარმოშობილი დროის სახეთა არსი, ხოლო ჩვენ გადავკაქვს რა ისინი უკვდავ საგნებზე, ჩვენდა უნებურად ვუშვებთ შეცდომას. ჩვენ ხომ ვამბობთ უკვდავ არსებებზე, რომ ისინი „იყვნენ“, „არაიან“ და „იქნებიან“, მაგრამ თუ ვიმსჯელებთ სწორად, მას შესაბამება მხოლოდ „არის“, ხოლო „იყო“ და „იქნება“ მიეკუთვნება მხოლოდ წარმოშობას, რომელიც ხდება დროში, რადგან ერთიც და მეორეც არის მოძრაობის არსი [9,477]. როგორც ვხედავთ, სამყაროს წარმოშობამდე დრო არ არსებობდა, ხოლო რიცხვები წარმოიშვნენ სამყაროზე ადრე. ასე, რომ რადგან არ არსებობდა „იყო“ და „იქნება“, ამდენად ჩვენ არ შეგვიძლია იმის თქმა, რიცხვები იდეებზე ადრე იყვნენ თუ გვიან.

2) ხმარობს რა ტერმინს „რიცხვი“, არისტოტელე ხშირად გულისხმობს მასში როგორც გეომეტრიულ ფორმებს [4,342], ასევე მათემატიკურ კანონზომიერებებს [4,365]. და რადგან პლატონისთვის იდეები ზოგად მათემატიკურ კანონზომიერებებს წარმოადგენდა, არისტოტელე ხშირად აიგივებს რიცხვებსა და იდეებს [4,333]. ჩამს მან არ ჩათვალა საჭიროდ ყურადღება მიექცია პლატონთან ნახმარ ტერმინ „რიცხვის“ ზუსტი აზრისათვის, მაგრამ ეს მისი ბრალი კი არ არის, არამედ პლატონის, რადგან პლატონი ხშირად ხმარობდა ტერმინებს „რიცხვი“ და „ფორმა“ ზოგადმათემატიკური კანონზომიერებების გამოსახატავად. ამის მავალით მოყვანილია ზემოთ, როდესაც პლატონი წერს, რომ სამყარო შეიქმნა რიცხვებისა და ფორმების საშუალებით, ამ შემთხვევაში იგი „ფორმაში“ გულისხმობს იდეებს, რომლებიც ფორმები კი არ არიან, არამედ ამა თუ იმ ფორმის არსებობის ზოგადი კანონი, საიდანაც კონკრეტული ფორმები წარმოიშვება კონკრეტული რიცხვების ჩასმისას. ასევე დიდივ „კანონთმომდებნოში“ ვკითხულობთ: ჩვენ, უდავოა რთულ გამოკვლევას ვეკიდებით, რადგანაც ჩვენ გვინდა ვიპოვოთ ზემოხსენებულ ცოდნათა შორის ისეთი, რომელიც სინაპტიკურად და საკმარისი საფუძვლებით იქნება სიბრძნე, ცოდნა.

რომლის მფლობელი იქნება არა ბრიყვი ხელოსანი, არამედ ბრძენი და კეთილი მოქალაქე [8,485]. რას წარმოადგენს ეს სიბრძნე? იმავე დილოგში ვკითხულობთ: მართლაც, როგორ არ ჩავთვალთ ამ ცოდნის მიზეზად ის, რამაც მოგვცა უდიდესი სათნოებათა შორის — გონიერება, ის, ვინც არის მიზეზი ყველა ადამიანური სათნოებისა? ჩვენ ყველანი შევთანხმდებოდით იმაში, რომ ზეცა გახდა ჩვენთვის მიზეზი ყოველგვარი სათნოებისა, ჩვენ მართლაც ვამტკიცებთ, რომ მან მოგვცა წარმოდგენა რიცხვებზე და მომავალშიც მოგვცემს მას [8,485—486]. როგორც ვხედავთ, პლატონი განასხვავებს რიცხვების შესახებ მოძღვრებას ხელოსნის საქმისაგან. ეს შედარება შემთხვევითი კი არაა, არამედ იმ მიზეზითაა მოყვანილი, რომ გამოიკვეთოს „რიცხვების“ ზოგადი ბუნება. როგორც ვიცით, ხელოსანს საქმე აქვს ყოველთვის კონკრეტულთან, ხოლო პლატონისთვის, ისევე როგორც არისტოტელესთვის, სიბრძნე წარმოადგენს უზოგადეს ცოდნას სამყაროზე, ე. ი. ზემოთ მოყვანილი ციტატიდან ჩანს, რომ ასეთ უზოგადეს ცოდნას ვეძებდეთ ზეცა „რიცხვების“ სახით. რატომ წერს პლატონი, რომ ზეცაა ყოველგვარი ადამიანური სათნოების მიზეზი? სამყაროზე დაკვირვების შედეგად ადამიანი გამოიკვლევს მასში არსებულ კანონზომიერებებს (ბუნების კანონებს) და იყენებს მას ადამიანთა საკეთილდღეოდ. მათემატიკური კანონზომიერებანი ხომ ყველაზე უკეთ ციკორ სხეულებში ჩანს. სწორედ ამას გულისხმობს პლატონი, როდესაც წერს, რომ ზეცა აძლევს ადამიანს რიცხვებს და კვლავც მისცემსო მას. ე. ი. აქ პლატონს ტერმინი „რიცხვი“ გამოყენებული აქვს როგორც კანონზომიერება და ბუნების კანონი. სწორედ ბუნების კანონები გვეძლევა მასზე დაკვირვების შედეგად და კვლავც მოგვცემს მას ბუნება. ეს ჩანს არ არის გათვალისწინებული „მეტაფიზიკის“ იმ ადგილას, სადაც ვკითხულობთ: რადგან თავისთავადი „ერთი“ პირველია, შემდეგ მოდის რაღაც პირველი „ერთი“ სხვებთან შედარებით, ხოლო მეორე თავისთავად „ერთთან“ შედარებით და შემდეგ რაღაც მესამე „ერთი“, რომელიც არის მეორე „ერთთან“ შედარებით, ხოლო მესამე თავისთავად „ერთთან“ შედარებით, ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ ერთიანები რიცხვებზე აღრე არიან [4,334].

როგორც ვხედავთ, არისტოტელეს აზრით, პლატონისთვის არსებობს სამნაირი რიცხვი: ერთი იდეა, მეორე იდეასა და კონკრეტულ რიცხვებს შორის, ხოლო მესამე კონკრეტული რიცხვი, მაგარამ სინამდვილეში პლატონი მხოლოდ ორ რიცხვს აღიარებდა. ეს იყო კონკრეტული რიცხვი და ის იდეა-რიცხვი, რომელიც ერთსაგან და განუსაზღვრელი ორისაგან წარმოიშვა და არ წარმოადგენს ჩვეულებრივი გაგებით იდეას, ხოლო ის პირველი რიცხვი, რომელიც არისტოტელე რიცხვს ეძახის, ეს არის, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ფორმათა ზოგადი არსებობის წესი და კანონზომიერება, ე. ი. იდეა.

საყურადღებოა, რომ პლატონის ამგვარი გაგება ვეხვდება. შუა საუკუნეების მრავალ მოაზროვნესთან. ჯერ კიდევ ორივენი წერდა, რომ ლოგოსი არის უმაღლესი ჭეშმარიტება, პირველსახე გონიერი არსებებისა, საწყისი ყოვლი საგნის მიზეზისა, ყოველი ძალის წყარო. ნიმუში, რომლის მიხედვითაც შექმნილია სამყარო. მასშია სამყაროს გეგმა და ყოველივე შექმნილის იდეა [6, 95]. მაიორივი წერს: „ორივენი ხსნის ლოგოსს ორი მეთოდით: ნეოპლატონურით, მიაკუთვნებს რა მას იგივე თვისებებს, როგორსაც პლოტინი ანიჭებს ნოსს (დამახვევა პლოტინთან გასაოცარია) და სტოიკურით“ [6,94]. შუა საუკუნეების ფილოსოფიაში ლოგოსის გაგებაში არსებითი ცვლილებები არ ვეხვდება.



ანელი არაა პლატონის „იდეებს“, პლატონის „ნუსსა“ და შუა საუკუნის ფილოსოფოსთა „ლოგოს“ შორის მსგავსების პოვნა. განსხვავებაა მხოლოდ ის, რომ პლატონის დემიურგი და იდეათა სამყარო ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად არსებობენ, ხოლო ლოგოსი წარმოიშვება მამა ღმერთისაგან და მასთან განუყრელ კავშირში იმყოფება, ისევე როგორც სინათლე ცეცხლთან. მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ ლოგოსი ისეთივე უსასრულობაა როგორც მამა ღმერთი და გავითვალისწინებთ მათ თანასწორუფლებიანობას, მაშინ ფაქტიურად მათ შორის ისეთივე დამოკიდებულებას მივიღებთ, როგორც დემიურგსა და იდეათა სამყაროს შორის. როგორც დემიურგი ქმნის სამყაროს იდეების მიხედვით, ასევე ქმნის სამყაროს მამა ღმერთი სიტყვის, ანუ ლოგოსის საშუალებით.

ნეოპლატონიკოსები და შუა საუკუნის ფილოსოფოსები იდეას სამი ტერმინით გამოხატავენ. ესაა თვითონ ტერმინი „იდეა“, „სახე“ ანუ ფორმა და „ლოგოსი“. როგორც ვხედავთ ტერმინები „იდეა“ და „ფორმა“ უცვლელად შემორჩა პლატონის ფილოსოფიიდან, მაგრამ ტერმინი „ფორმა“ მთლიანად ვერ გამოხატავდა ძღვის რაობას, რადგან, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შეუძლებელია იდეა ფიზიკური ფორმა ყოფილიყო, რადგან მაშინ იმდენი იდეა დაგვიჭირდებოდა, რამდენი ფორმის მქონე საგანიცაა სამყაროში, რაც უაზროს ხდის იდეის არსებობას. ჩვენი აზრით, ყოველივე ეს გაითვალისწინეს შემდგომმა მოაზროვნეებმა და დააზუსტეს იდეის გამომხატველი ტერმინი. ეს ტერმინია „ლოგოსი“ ანუ კანონზომიერება. რომელიც არის რაიმე ფორმის არსებობის კანონი და წარმოადგენს პოტენციურ ფორმას. იგი რეალური ფორმების ერთობლიობა კი არაა, არამედ ყველა შესაძლებელი ფორმის არსებობის კანონზომიერებათა ერთობლიობა.

ჩვენი აზრით, სწორედ ასე უნდა გავიგოთ პლატონის რიცხვებთან დამოკიდებულების პრობლემა. რიცხვები, პლატონთან, მართლაც წარმოადგენენ შუალედურ რგოლს იდეებსა და ცვალებად საგნებს შორის. მათი საშუალებით შეგვიძლია შევქმნათ ნებისმიერი კონკრეტული საგნის კონკრეტული მათემატიკური მოდელი. რიცხვები მართლაც განსხვავდებიან იდეებისაგან იმით, რომ იდეა ერთია, როგორც ერთია ამა თუ იმ ფორმის არსებობის კანონი, ხოლო ერთსახელია რეალური ფორმები კი უამრავია. იგი მართლაც განსხვავდება ცვალებადი საგნებისაგან იმით, რომ ცვალებადი საგნები ყოველთვის იცვლებიან, ხოლო გეომეტრიული ფიგურა არ იცვლება, თუკი არ შეიცვლება ამ კონკრეტული ფორმის შემადგენლობაში შემავალი მათემატიკური რიცხვების პროპორცია.

ყოველივე ზემოთქმულიდან უნდა გამოვიტანოთ დასკვნა, რომ დიალოგ „პარმენიდეს“ სტრუქტურა არ უნდა აისხნას პლატონის პატივისცემით რიცხვი 8-ის მისტიკური ძალისადმი და, საერთოდ, პითაგორელების გავლენა ამ დიალოგში არ ჩანს. ეს რვა დაშვება გამომდინარეობს მსჯელობის სტრუქტურის ლოგიკური ანალიზიდან.

ჩვენი აზრით, ნებისმიერი ორი დაპირისპირებული რეალობის, ან იმის, რაც ასეთად ითვლება, ურთიერთდამოკიდებულების გამოსაკვლევად მაქსიმალურ დაშვებათა რაოდენობა არის რვა. პლატონი კი როგორც ვიცით, ზუსტად ერთისა და სიმრავლის ურთიერთდამოკიდებულებას იხილავდა. ამის დასამტკიცებლად მოვიყვანოთ ზოგადი ცხრილი:



- |                        |                        |
|------------------------|------------------------|
| 1) a-ს მოქმედება a-ზე; | 5) ხ-ს მოქმედება ხ-ზე, |
| 2) a-ს მოქმედება ხ-ზე; | 6) ხ-ს მოქმედება a-ზე; |
| 3) ა-ს მოქმედება a-ზე; | 7) ნ-ს მოქმედება ხ-ზე; |
| 4) ა-ს მოქმედება ხ-ზე; | 8) ნ-ს მოქმედება a-ზე; |

როგორც ვხედავთ. აქ a-სა და ხ-ს ურთიერთქმედების გარკვევისათვის დაშვებათა ყველა შესაძლო ვარიანტი ამოწურულია.

ახლა გამოვიყენოთ ეს ცხრილი პლატონისეული რვა დაშვების ასახსნელად. ამისათვის ჯერ განვმარტოთ, თუ რა იგულისხმება a-ს, ა-ს, ხ-სა და „მოქმედების“ ქვეშ დიალოგ „პარმენიდში“.

a ეს არის აბსოლუტური ერთი, ხოლო ხ არის სიმრავლე, ანუ სხვა. იმისათვის, რომ გავარკვიოთ, თუ რა იგულისხმება „მოქმედების“ ქვეშ, განვიხილოთ თითოეული დაშვება ცალ-ცალკე.

რას ნიშნავს „a-ს მოქმედება a-ზე“. ეს ნიშნავს: რა შედეგებს მივიღებთ აბსოლუტური ერთისათვის, თუკი დაეშვებთ მის არსებობას. შეიძლება თუ არა ერთი მოაზრებულ იქნეს ყველაფრისგან დამოუკიდებლად, ანუ ცვალებად საგნებთან კავშირის გარეშე.

მეორე დაშვება იხილავს სიმრავლის, ანუ ცვალებადი საგნების არსებობის შესაძლებლობას ერთისაგან დამოუკიდებლად. რა შედეგებს მივიღებთ სხვისთვის (ცვალებადი საგნებისათვის) თუკი დაეშვებთ აბსოლუტური ერთის არსებობას.

ახლა განვიხილოთ მესამე და მეოთხე დაშვებები. ჯერ გავარკვიოთ, თუ რას ნიშნავს „ა“, „ა“ არის a-ს არა ისეთი უარყოფა, რომელშიც ყველაფერი იგულისხმება a-ს გარდა, არამედ აქ გვაქვს a-ს არსებობის უარყოფა. მეოთხე დაშვება უნდა გავიგოთ შემდეგნაირად: შეიძლება თუ არა არსებობდეს ცვალებადი საგნები, როდესაც არ არსებობს აბსოლუტური ერთი. ხოლო მესამე დაშვებაში იგულისხმება: რა შედეგებს მივიღებთ აბსოლუტური ერთისათვის, თუ უარყოფთ მის არსებობას. შეიძლება თუ არა არ არსებობდეს აბსოლუტური ერთი, როდესაც არსებობს ცვალებადი საგნები.

უკანასკნელი ოთხი დაშვება გულისხმობს სიმრავლის დაშვებას და უარყოფას შედეგებით თავისი თავისა და ერთისათვის. მაგრამ სიმრავლე რომ დავუშვათ, ამისათვის, უნდა დავუშვათ ერთიც. სიმრავლის გარკვევისას საჭირო იქნებოდა ერთის გარკვევაც. ამის გამო მსჯელობა დაიწყებოდა თავიდან და იგი იქნებოდა პირველი ოთხი დაშვების გამეორება. ამიტომ პლატონი ამ ოთხ დაშვებას თავის დიალოგში არ განიხილავს. ამის გამო დიალოგი „პარმენიდე“ უნდა დამთავრებულიყო პირველი ოთხი დაშვებით, მაგრამ ამ დაშვების შედეგებმა აიძულეს პლატონი შემოეღო შეფარდებითი ერთის ცნება და მსჯელობა დაეწყო თავიდან. რა იყო ამის მიზეზი? ამის გასარკვევად განვიხილოთ პირველი და მეოთხე დაშვებათა შედეგები.

პირველ დაშვებას პლატონი ამთავრებს დასკვნით: ის (ლაპარაკია აბსოლუტურ ერთზე) არც ერთ დროში არ არის. იგი არ იყო, არ არის და არ იქნება. ამიტომ მას არ შეიძლება მიეწეროს არსებობა. ერთი არ არსებობდა, არ არსებობს და არ იარსებებს [7,428].

მეოთხე დაშვების განხილვას პლატონი ასე ასრულებს: მაშინ უნდა ითქვას, რომ თუ ერთი არ არსებობს, მაშინ არაფერი არ არსებობს [7,477].

ამრიგად პლატონი თავის თავთან წინააღმდეგობაში ჩავარდა. მან ლოგიკუ-

რად მიიღო, რომ თუ ერთი არ არსებობს, მაშინ არაფერი არ არსებობს. მაგრამ ცვალებადი საგნები რომ არსებობენ და მეც რაღაცნაირად ვარსებობ, ეს ხომ ფაქტია. ამიტომ დასკვნა — „არაფერი არ არსებობს“ მიუღებელია ლოგიკური აზროვნებისათვის (თუ არსებობაში იგულისხმება ყოველი სახე არსებობისა — ობიექტური, სუბიექტური, თავისთავადი არსი თუ მოვლენა).

მეორეც, როდესაც პლატონმა დაუშვა აბსოლუტური ერთი, ეს ერთი გამოვიდა რაღაც მოუაზრებელი და აჩარსებული. მაგრამ პლატონს სულაც არ აწყობდა ასეთი შედეგები. პირიქით, დიאלოგი „პარმენიდე“ წარმოადგენს სიკეთის იდეის არსებობის დასაბუთების ცდას. ამიტომ პლატონი იძულებული იყო შემოეღო ისეთი ერთი, რომელიც კავშირში იქნებოდა ცვალებად საგნებთან და არ მოიხარებოდა მათ გარეშე. ამის თაობაზე ლოსევი წერს: „იდეა არ არის საგანი და საგანი არ არის იდეა. მაგრამ პლატონი ყოველთვის უარყოფდა იმ დუალიზმს, რომელშიც ვარდებოდა სოკრატეს ზოგიერთი მოწაფე, რომლებსაც ჩვეულებრივებ მეტად იტაცებდა იდეის ცნება და ისინი წყვეტდნენ საგნის იდეას თვით საგნისაგან, აუცილებელი იყო იმის დამტკიცება, რომ მიუხედავად საგნის იდეისა და თვით საგანს შორის არსებული განსხვავებისა, მაინც მათი ერთმანეთისაგან მოწყვეტა იყო უაზრობა. აუცილებელი იყო იმის დამტკიცება, რომ მოძღვრება იდეებზე არა თუ არ ეწინააღმდეგება მოძღვრებას საგნებზე, არამედ პირიქით, პირველი ხდის შესაძლებელს ამ უკანასკნელს [7,8]. ასეთ იდეას, ზუსტად ასეთ ერთს, წარმოადგენდა შეფარდებითი ერთი.

როგორც აღნიშნული იყო, დაუშვა რა როგორც ლოგიკურად აუცილებელი შეფარდებითი ერთის ცნება, პლატონმა მსჯილობა თავიდან დაიწყო. დაშვებათა ფორმა აქ იგივეა, როგორც წინა შემთხვევაში, მხოლოდ შეიცვალა a-ს, ა-ს და „მოქმედების“ მნიშვნელობები. ხ-ს მნიშვნელობა იგივე დარჩა. a-ში იგულისხმება უკვე არსებული ერთი, ხ-შიც იგულისხმება არსებული სიმრავლე.

განვიხილოთ რა მნიშვნელობები ექნება პირველ ოთხ დაშვებას. პირველი დაშვება იქნება: როგორ არსებობს ერთი, თუკი დაშვებულია მისი და სიმრავლის არსებობა.

მეორე დაშვება იქნება: როგორ იარსებებს სიმრავლე, თუკი დავუშვებთ ერთისა და სიმრავლის არსებობას.

მესამე და მეოთხე დაშვებები იქნება: რა შედეგებს მივიღებთ ერთისა და სიმრავლისათვის, თუკი უარვყოფთ ერთის არსებობას.

ბოლო ოთხი დაშვება მოიხსნება იმავე მიზეზით, რა მიზეზითაც მოიხსნას წინა შემთხვევაში.

ამრიგად, ამ რვა დაშვებით ამოწურულია ყველა ის შესაძლო ვარიანტი, რომლის დაშვება შეგვეძლო ერთისა და სიმრავლის ურთიერთქმედების გასარკვევად.

შეიძლება დაისვას კითხვა: რატომ ვიხილავთ მხოლოდ ერთისა და სხვის ურთიერთქმედებას, რატომ არ შეიძლება განვიხილოთ ერთი და სხვა რაიმე მესამესთან ურთიერთქმედებაში? როგორც ცნობილია, პლატონისათვის სამყაროში, კონკრეტული, გაფორმებული სახით, არსებობდა მხოლოდ ორი რამ — სიკეთის იდეა და სხვა, თანახმად საერთოდ ღოაზრებულის კონტრადიქტორული დაყოფისა a-დ და ა-დ. ამიტომ იგი ვერ შემოიტანდა ვერაფერ მესამეს, რომელთან ურთიერთქმედებაშიც განიხილავდა წინა ორს.

როგორც ვხედავთ, დიალოგ „პარმენიდეში“ პლატონისეული რვა დაშვება წარმოადგენს ამ რიცხვისადმი არა პლატონის რაიმე მისტიკური, არათეორიული დამოკიდებულების შედეგს, არამედ ის მიღებულია მსჯელობის აუცილებლობით.

როგორც ყოველი ნაშრომი, დიალოგი „პარმენიდეც“ წარმოადგენს გარკვეულ კითხვაზე პასუხის გაცემის ცდას. დიალოგის კონსტრუქცია, ანუ რვა დაშვება, არის ერთისა და სიმრავლის ურთიერთდამოკიდებულების ყველა შესაძლებლობა. პლატონმა განიხილა რა ამ დამოკიდებულების ყველა შესაძლო ვარიანტი, ცხადია, გამოიტანა აქედან დასკვნა, შედეგი. მაგრამ რა მოხდებოდა პლატონს მხოლოდ ის დაშვება რომ დაეტკვებინა, რომელიც მისთვის სასურველ შედეგს იძლეოდა, ხოლო დანარჩენი არ განიხილა? იგი იძულებული იყო გაერჩია ყველა შესაძლო დამოკიდებულება ერთსა და სიმრავლეს შორის. წინააღმდეგ შემთხვევაში პლატონი ვერ გააკეთებდა ვერავითარ დასკვნას, რომელიც დასაბუთებული იქნებოდა, ვერ მივიდოდა ვერავითარ შედეგამდე, და თუ მივიდოდა, მაშინ ამ შედეგში არ გამოიხნებოდა იმ დასკვნის ჭეშმარიტება, რომელიც პლატონს მიაჩნდა საჭიროდ. ვერც მკითხველი მიხვდებოდა, თუ რატომ მიიჩნია პლატონმა ესა თუ ის შედეგი ჭეშმარიტად. ამიტომ დიალოგ „პარმენიდეში“ რვავე დაშვება აუცილებელია და საჭირო ერთისა და სიმრავლის ურთიერთდამოკიდებულების პრობლემის გადასაწყვეტად.

ამრიგად, თუ პლატონთან ერთად მივიღებთ იმას, რომ — „არაფერი არ არსებობს“ წინააღმდეგობრივი დებულებაა, მაშინ მის მიერ გაანალიზებული ასპექტები, რომლებიც რვა მსჯელობის სახით იქნა წარმოდგენილი, საწყისის და სამყაროს, ერთისა და სიმრავლის უზოგადესი ფილოსოფიური პრობლემების კვლევის აუცილებელ ასპექტებად წარმოგვიდგება.

Д. В. ГРДЗЕЛИДЗЕ

## ПРОБЛЕМА ВОСЬМИ ПОЛАГАНИЙ В ДИАЛОГЕ «ПАРМЕНИД»

Резюме

Как известно, сюжетная структура диалога определяется восьмью полаганиями:

- 1) Абсолютное полагание единого с выводами для единого;
- 2) Относительное полагание единого с выводами для единого;
- 3) Абсолютное полагание единого с выводами для иного;
- 4) Относительное полагание единого с выводами для иного;
- 5) Абсолютное отрицание единого с выводами для единого;
- 6) Относительное отрицание единого с выводами для единого;
- 7) Абсолютное отрицание единого с выводами для иного;
- 8) Относительное отрицание единого с выводами для иного.

Возникает вопрос: выражает ли количество (восемь) полаганий определенную необходимость или же оно имеет своим основанием какой-либо мистический источник?

По нашему мнению, для исследования взаимоотношения любых двух противоположных реальностей максимальное количество полага-

ний суть восемь. Поэтому, если мы соглашаемся с Платоном, что положение «ничего не существует» — противоречивое, тогда предлагаемые им в качестве восьми суждений полагания являются необходимыми сторонами исследования наиболее общей философской проблемы — единого и множества.

#### ლიტერატურა

1. კ ა ნ ტ ი ი. წმინდა გონების კრიტიკა, თბილისი, 1979.
2. პ ლ ა ტ ო ნ ი, ფედონი, თბილისი, 1966.
3. წ ე რ ე თ ე ლ ი ს. ნარკვევები ფილოსოფიის ისტორიაში, თბილისი, 1973.
4. Аристотель, Сочинения. I, М., 1976.
5. Гегель, Сочинения. Т. 10, М., 1932.
6. Майоров Г. Г. Формирование средневековой философии. М., 1979.
7. Платон, Сочинения. Т. 2, М., 1970.
8. Платон, Сочинения. Т. 3 (2), М., 1972.
9. Платон, Сочинения. Т. 3 (1), М., 1971.
10. Целлер Э. Очерки истории греческой философии, СПб, 1913.
11. Guthrie K. C. A History of Greek Philosophy. v. 1. Cambridge, 1962.
12. His Divine Grace A. C. Braktwedanta' Swami Probhupāda, Teaching of Queen Kunti, Bombay, 1978.

წარმოდგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის  
 ფილოსოფიის ინსტიტუტმა



### მარინე პალიაშვილი

#### განწყობისა და საქმიანობის თეორიათა მიმართების შესახებ

შეცდომაა თეორიების დაპირისპირება, რომლებიც ზუსტად ერთი და იმავე საკითხის პასუხს არ წარმოადგენენ. ალტერნატიული შეიძლება იყოს ორი თეორია, რომელიც განსხვავებულად პასუხობს ერთსა და იმავე საკითხს და არა თეორიები, რომლებიც განსხვავებულ საკითხებს აყენებენ. ჩვენ ამოცანას შეადგენდა გარკვევა აქვს თუ არა საფუძველი განწყობისა და საქმიანობის თეორიების დაპირისპირებულ თეორიებად განხილვას.

ორივე თეორია ფსიქოლოგიურ მეცნიერებაში ფსიქოფიზიკური დუალიზმის ერთი შედეგის — „უშუალობის პოსტულატის“ დაძლევის ისახავს მიზნად და, ამდენად, სავსებით შესაძლებელია მათი მიმართება ალტერნატიული იყოს. ანუ ამ ორი ზოგადფსიქოლოგიური თეორიიდან მხოლოდ ერთი იყოს მართებული.

პირველყოვლისა განვიხილოთ როგორ არის ჩამოყალიბებული თეორიებში თვითონ საკითხი, „უზნაძისეული ამოცანა“ [10], უშუალობის პოსტულატის რაობა.

უშუალობის პოსტულატზე დაყრდნობა, ა. ლეონტიევის მიხედვით, გულისხმობს ფსიქიკის დეტერმინაციის შესახებ თვალსაზრისის გაზიარებას, რომ ცნობიერება განსაზღვრულია გარემომცველი საგნებით, მოვლენებით, ხოლო ამ პოსტულატის დაძლევა იქნება თვალსაზრისის გატარება, რომ ცნობიერება გაუშუალებულია არა საგნებით, არამედ ადამიანთა საზოგადოებრივი ყოფიერებით, მათი ცხოვრების რეალური პროცესით, საქმიანობით. თვალსაზრისით, როგორც ხორციელდება ლეონტიევის ფსიქოლოგიურ სისტემაში ეს მარქსისტული დებულება, რა სიახლე და თავისებურება შეაქვს ლეონტიევს „ფსიქოლოგიისათვის ამ საბედისწერო პოსტულატის“ [13,80] შინაარსის ჩამოყალიბებაში.

ანალიზის ორწევრა სქემის ამოსავალ სქემად მიღებას ლეონტიევი მსოფლიო ფსიქოლოგიის მეთოდოლოგიური კრიზისის მიზეზად თვლის. ეს არის სქემა  $S \rightarrow R$ , გარეზემოქმედება — სუბიექტის მდგომარეობის შეცვლა. მასში კვლევის სფეროდან ამოღებულია ის შინაარსეული პროცესი, რომელიც ახორციელებს სუბიექტის რეალურ კავშირებს საგნობრივ სინამდვილესთან. სხვა სიტყვებით, ეს სქემა კვლევის ველის გარეთ ტოვებს საგნობრივ მოქმედებას, საქმიანობას.

სწორედ იქმნება შთაბეჭდილება თითქოს ლეონტიევი ასე მხვდებოდა: საკმარისია მოყვანილი სქემა შეაწევროთ (საქმიანობით — D) შეივსოს და მოხდეს კავშირების კვლევა, რომ უშუალობის პოსტულატი დაძლეული იქნება. მაგრამ ეს მხოლოდ შთაბეჭდილებაა. ამ სქემაში D-ს ჩასმა ტავტოლოგიურ მსჯელობას მოგვცემდა. ამავე დროს S, სტიმულიც მიუღებელია ლეონტიევისათვის. მის თეორიაში სტიმულს ცნება პრინციპულად არ გამოიყენება. იგი ყველგან ლაპარაკობს სავანზე და არსად — სტიმულზე. არსებითად, ლეონტიევის ამოცანაა ჩვენება, თუ როგორ



იქმნება საგნიდან პაროვნული საზრისი საქმიანობის მეშვეობით. რაც შეეხება R-ს, რეაქციას, მასზე იგი საერთოდ არ მსჯელობს თავის თეორიაში, რაც შესაძლოა მისი ნაკლიც არის, რადგან კონკრეტული ქცევის წინასწარმეტყველება ექსპერიმენტული ფსიქოლოგიის საკვებით კანონიერი ამოცანაა.

ფაქტურად ლეონტიევის სქემა ასეთია: O—D—C, სადაც O არის რეალური საგანი, D—საგნისა და სუბიექტის გარკვეული ერთიანობა, საგნობრივი საქმიანობა, ასახვით გაშუალებული სიცოცხლის ერთეული, ხოლო C არის ცნობიერება.

ცნობიერების პრობლემა ლეონტიევისათვის, ამდენად, უმნიშვნელოვანესია. ლეონტიევი ეყრდნობა ცნობიერების მარქსისტულ განსაზღვრებას როგორც ფსიქიკის თვისებრივად განსხვავებულ, უმაღლეს ფორმას და აყალიბებს ფსიქოლოგიის ამოცანას — მეცნიერულად ახსნას ცნობიერების ქმედითი როლი. ამისათვის საჭიროა ძირეულად აშეცვალოს პრობლემისადმი მიდგომა, უარი ითქვას ანთროპოლოგისტურ თვალსაზრისზე, რომელსაც ცნობიერება ესმის როგორც გარეზემოქმედების პასუხად ადამიანის გონებაში მიმდინარე პროცესები. ცნობიერების ახსნა უნდა ვეძიოთ საქმიანობის საზოგადოებრივ ვითარებებში და საშუალებებში ანუ შრომაში, რომელმაც წარმოიშვა ცნობიერების აუცილებლობა.

დ. უზნაძემ „უშუალობის პოსტულატი“ თავის დროზე უწოდა დოგმატიურ წინამძღვარს, რომელიც საფუძვლად ედო ფსიქიკის მიზნობრივ ახსნას. ამ თვალსაზრისის თანახმად, ფსიქიკური სამყარო ცალკე სამყაროს წარმოადგენს (მსგავსად ფიზიკური სამყაროსი), რომლის ფარგლებშიც მიმდინარე ცვლილებები უწყვეტ კავშირში იმყოფებიან ურთიერთთან და ერთობიორებს კაუზალურად განსაზღვრავენ. ან კიდევ, სინამდვილე, ფიზიკური იქნება ის თუ ფსიქიკური, პირდაპირ, ყოველგვარი შუაწევრის მონაწილეობის გარეშე მოქმედებს ფსიქიკაზე. „სინამდვილესთან ურთიერთობას თვითონ ფსიქიკა აწარმოებს: იგი მოქმედებს უშუალოდ სინამდვილეზე და ლეზულობს უშუალო ზემოქმედებას მისგან“ [4,52]. აქტიურ სუბიექტს, პაროვნებას აქ აღვილი არ რჩება და ფსიქოლოგიას მასთან არავითარი საქმე არა აქვს. იქ, სადაც სუბიექტი ან ფსიქიკასთან არის გათანაბრებული (პეგელი, ვუნდტი) ან იქ, სადაც თუმცა კი აღიარებულია აქტიური პერსონი, მაგრამ მიტოვებულია მიზნობრიობის პრინციპი (შტერნი) ლაბარაკი უშუალობის პოსტულატის დაძლევაზე შეუძლებელია.

დ. უზნაძე ამოდის იქიდან, რომ რეალური ურთიერთობა არსებობს სინამდვილესა და მთლიანობით სუბიექტს შორის და „შეუძლებელია ფსიქიკურის მიზნულად ვცნოდ ფსიქიკური და ფიზიკური უშუალოდ ისე, როგორც ეს ფიზიკაში მიღებული და ფსიქოლოგიის მიმართ გაუვრცელებიან უშუალობის თეორიებს“. ეს შეუძლებელია იმიტომ, რომ ფსიქიკური არ არის თავისთავადი სინამდვილე, იგი პიროვნების „ორგანოა“. ეს ურთიერთობა გაშუალებულია განწყობით, რომელიც წარმოადგენს სუბიექტის მოდუსს მისი მოქმედების ყოველ მოცემულ მომენტში, სუბიექტის მთლიან მდგომარეობას, რომელიც პრინციპულად განსხვავდება მისი ყველა დიფერენცირებული ფსიქიკური ძალებისა და უნარებისაგან [6,273].

ამ ცნობილ ღებულებებზე შეჩერება იმისათვის დაგვიჭირდა, რომ გავამახვილოთ ყურადღება ფსიქიკურ პროცესთა შუალობითი ხასიათის განსხვავებულ გაგებაზე უზნაძისა და ლეონტიევის მიერ. უზნაძისათვის გაშუალებას ით-

ხოვს სინამდვილისა და ფსიქიკის მიმართება, დ. უზნაძეს ანტერესებს ფსიქიკური კაულალობის პრობლემა, ა. ლეონტიევი კი თვლის, რომ უშუალობის თვალსაზრისი დაძლეულ უნდა იქნეს სინამდვილესა და ცნობიერებას შორის. ამასთანავე, მასთან ცნობიერება არა ცნობიერების შინაარსების, ფაქტების მნიშვნელობით გაიგება, არამედ როგორც „გარდაქმნილი ფორმა იმ საზოგადოებრივი ურთიერთობის გამოვლინებისა, რომლებიც ახორციელებენ ადამიანის საქმიანობას საგნობრივ სამყაროში“ [13,128], რომელიც არის „საზრისთა სისტემა“, ფსიქიკის თვისებრივად ახალი ფორმა. ამრიგად, უზნაძისათვის უშუალობის თვალსაზრისის დაძლევა აუცილებელია სუბიექტის პრობლემის მართებულად დასმისათვის, რაც მისთვის ფსიქოლოგიის ძირითად პრობლემას წარმოადგენს. ამისათვის დასაძლევა უშუალობა ფიზიკურსა და ფსიქიკურს, ფსიქიკურსა და ფსიქიკურს შორის. ამასთანავე საკუთრივ ქცევაც განწყობით, სუბიექტით არის გაშუალებული. სუბიექტის ცნება უზნაძის კონცეფციაში ზოგად-მეთოდოლოგიურ ხასიათს ატარებს [9].

განსხვავებით დ. უზნაძისაგან, ლეონტიევისათვის უშუალობის პოსტულატის გადალახვა მოითხოვს ფსიქოლოგიაში ცნობიერების პრობლემის მართებულად დაყენებამ. ამ გზაზე აუცილებლად უნდა გადაილახოს უშუალობა საგანსა და ცნობიერებას შორის. ცნობიერებიდან ქცევაზე, საქმიანობაზე გადასასვლელი რაიმე კავშირის საჭიროებაზე იგი არ ჩერდება, თითქოს ცნობიერების სტრუქტურის ცოდნა ქცევის სტრუქტურის ცოდნის საკმარისი პირობა იყოს. სინამდვილეში ცოდნასა (ცნობიერებასა) და მოქმედებას შორის უფესკრული ქცევის შესახებ თეორიებში დღესაც ამოუცხვებელი რჩება [16]. ამრიგად, უშუალობის თვალსაზრისის გადალახვას ლეონტიევი აწარმოებს საგანსა და ცნობიერებას შორის, საქმიანობის მეშვეობით, კონკრეტულად შემდეგნაირად:

აღნიშვნა, რომ საგნობრიობა საქმიანობას გამორჩევითად ახასიათებს. საქმიანობისა და ფსიქიკური ასახვის წარმოშობისთანავე თავს იჩენს მათი საგნობრივი ბუნება. საგანი ბიოტურ და აბიოტურ თვისებებს ატარებს. ბიოტური თვისებები აბიოტური თვისებებით არის დაფარული: ხშირად, ამიტომ, ბიოტურთან მისასვლელად ცოცხალი არსებისთვის აბიოტურის გავლაა საჭირო. სწორედ ეს არის ფსიქიკის წარმოშობის პირობა. ცხვეალთა ქცევისა და ფსიქიკის განვითარება არის საქმიანობის საგნობრივი შინაარსის ისტორია [14]. საგნობრიობა ნიშნავს იმას, რომ საქმიანობას თავდაპირველად წარმართავს თვით საგანი და მეორადია მისი ხატი, როგორც საქმიანობის სუბიექტური პრობლემტი, რომელიც აფიქსირებს საქმიანობის საგნობრივ შინაარსს, მისი სტაბილიზატორი და შინაარსის მატარებელია. მოყვანილიდან ჩანს, რომ თუმცა ლეონტიევი ხელმძღვანელობს დებულებით საქმიანობისა და ფსიქიკის ერთიანობის შესახებ, ფსიქიკური ხატი დასახელებულია საგნის გვერდით ისე, რომ არაფერია ნათქვამი მათ შორის კავშირის ფორმაზე, საშუალებაზე. ეს შეიძლება ნიშნავდეს აქ რაიმე პრობლემის არსებობის უარყოფას — რაც პირდაპირ თუ არ არის უშუალობის პოსტულატის მიღება, ყოველ შემთხვევაში შეიძლება ამ თვალსაზრისის გატარებას უწყობდეს ხელს. საერთოდ, არაერთხელ ყოფილა აღნიშნული საბჭოთა ფსიქოლოგების მიერ, რომ მოძღვრება სუბიექტისა და ობიექტის ერთიანობის შესახებ, საგნობრივ სამყაროსთან ადამიანის კავშირების საზოგადოებრივ-ისტორიული ბუნების შესახებ ფსიქოლოგიურ დაკონკრეტებას ითხოვს. ეს შენიშვნა სავსებით სამართლიანია ლეონტიევის მიმართაც.

მსგავსადღე, როდესაც ჩერდება მოთხოვნილების პრობლემაზე ფსიქოლოგი-  
 აში ლეონტიევი თუმცა ამბობს, რომ მოთხოვნილების გადასვლა საკუთრივ  
 ფსიქოლოგიურ დონეზე არის მოთხოვნილების საგანთან შეხვედრის საგანგე-  
 ზო მნიშვნელობის მქონე აქტი, მოთხოვნილების გასაგნება, მაგრამ აქ დაწყე-  
 რებული მიმართებების რეალურ დახასიათებას იგი საერთოდ არ იძლევა. რა არის  
 მოთხოვნილების გადასვლა ფსიქოლოგიურ დონეზე, მისი გასაგნება—ნიშნავს  
 ეს იმას, რომ მოთხოვნილება და საგანი თავიდანვე სხვადასხვა რიგის მოვლე-  
 ნებია თუ უნდა გავიგოთ ისე, რომ საგნისა და მოთხოვნილების დაკავშირება  
 ზდება არა ფსიქიკის მეშვეობით, არამედ ისინი მოცემული არიან თავდაპირ-  
 ველ კავშირში და როდესაც მათ შორის მიმართება რთულდება, ფსიქიკა მაშინ  
 წარმოიშვება, ეს მნიშვნელოვანი საკითხები უპასუხოდ რჩებიან.

ამგვარსავე გაუგებრობას თუ უზუსტობას ეაწყდებით ფსიქო-ფიზიკურ  
 პრობლემაში, რომლის გადაჭრისათვის შემოთავაზებულია „უარი ვთქვათ ფსი-  
 ქოლოგიისა და ფიზიოლოგიის დაპირისპირებაზე და მივმართოთ საქმიანობის  
 ანალიზს, გავავრცელოთ იგი ფიზიოლოგიურ დონეზეც. ამისათვის კი საჭიროა  
 უკუეაგლოთ ფსიქოლოგიისა და ფიზიოლოგიის ჩვეული დაპირისპირება როგ-  
 ორც მეცნიერებების, რომლებიც სხვადასხვა „საგნებს“ შეისწავლიან“ [13,  
 113]. საქმე იმაშია, რომ ახლა, ალბათ, იშვიათად თუ ვინმე აშკარად დააპი-  
 რისპირებს ფიზიკურსა და ფსიქიკურს, მაგრამ როდესაც საქმე ეხება ფიზიკ-  
 ურსა და ფსიქიკურს როგორც ფსიქოფიზიკური ერთიანობის კომპონენტებს,  
 ჩვეულებრივ, მათი დახასიათება ისევ ურთიერთზემოქმედების კატეგორიით  
 ხდება. ლეონტიევის თვალსაზრისი, მართალია, ხაზს უსვამს ფსიქიკურისა და  
 საქმიანობის ერთიანობას. მაგრამ, ჩვენი აზრით, არ არის გამოთქმული როგ-  
 ორ სორციელდება ეს ერთიანობა.

უშუალობის პოსტულატის დაძლევის მხრივ სრულიად აშკარა სიმწე-  
 ეებს ვხვდებით ინტერიორიზაციის პრობლემის დაყენებისას, სადაც საქმიანობის  
 კატეგორიის შემოყვანით მთავარმა დაყოფამ, რომელიც საფუძვლად ედო  
 კლასიკურ, დეკარტ-ლოკისეულ ფსიქოლოგიას, ადგილი უნდა დაუთოს სხვა  
 სახის დაყოფას. თუ დეკარტ-ლოკის დიქტომიაში ერთად იყო მოქცეული,  
 ერთის მხრივ, ვრცეული გარეგანი სამყარო და სხეულებრივი მოქმედება, ხო-  
 ლო, მეორეს მხრივ, შინაგანი მოვლენების სამყარო, ცნობიერების პროცესე-  
 ზი, ლეონტიევი გვთავაზობს ასეთ დაყოფას — საგნობრივი რეალობა, მისი  
 ხატებით (ფსიქიკურით) და ადამიანის საქმიანობა თავისი შინაგანი და გარეგანი  
 პროცესებით. შესაძლებელია ლეონტიევის აზრი არ არის მცდარი, მაგრამ  
 საგნობრივი რეალობისა და მისი გადამუშავებული ფორმების ერთად დასაბე-  
 ლება, მათ შორის კავშირის პირობებისა და ფორმების დადგენის გარეშე. შე-  
 იძლება უშუალობის თვალსაზრისზე დგომას ნიშნავდეს.

ცხადი ხდება, რომ უშუალობის დაძლევა საგანსა და ფსიქიკურს შორის სა-  
 ერთოდ არ დგას პრობლემად ლეონტიევის წინაშე. იქნებ იმიტომ, რომ საქმი-  
 ანობის კატეგორიამ ამ მხრივ თავისი როლი უკვე შეასრულა ლეონტიევის  
 აღრინდელ ნაშრომში „ფსიქიკის განვითარების პრობლემები“ და ახლა საკითხი  
 უფრო მაღალ, საგნისა და ცნობიერების დონეზე წყდება. სინამდვილეში  
 ვითარება სხვაგვარია. ეს შრომა, რომელშიც ლეონტიევი ავითარებს დებულ-  
 ებას ფსიქიკისა და საქმიანობის ერთიანობის შესახებ (მათ ურთიერთკავშირ-  
 ებას და ურთიერთგადასვლებს აღწერს) გარკვეულ წინააღმდეგობებს შეიცავს  
 და მასში განვითარებულ დებულებებზე ლეონტიევი შემდგომში ნაწილობრივ  
 უარს ამბობს.

საქმე იმაშია, რომ დასმული პრობლემის მასშტაბზე თავდაპირველად მოითხოვა საქმიანობის კატეგორიის მაქსიმალური მოცულობის დადგენა (ყველაფერი, რაც კი ხდება ორგანიზმის მხრიდან ენერგეტიკული დანახარჯით — საკვების ასიმილაციიდან მოყოლებული — არის საქმიანობა). შემდგომ ამისა გამოიყო წინარეფსიქიკური საქმიანობა და ფსიქიკური ასახვით გაშუალებული საქმიანობა, რამაც უკვე დამატებითი სიძნელეები დაბადა. აქედან ერთ-ერთია საკითხი სავნის მოცემულობის შესახებ წინარეფსიქიკურ საქმიანობაში. ერთი სიტყვით, ლეონტიევის დებულება, რომ საქმიანობას აუცილებლად აქვს სავანი — გაუგებარი რჩება წინარეფსიქიკური და ფსიქიკური საქმიანობის ცნებებთან მიმართებაში. ზოგადად კი აქედან გამომდინარეობს, რომ ფსიქიკური არ არის საქმიანობის ერთი აუცილებელი მომენტი და სავანთან მისი კავშირის ფორმა დაუდგენელი რჩება.

ამრიგად, ლეონტიევისათვის უშუალოდ თვალსაზრისი დესაძლევია სავანსა და ცნობიერებას შორის და ამისათვის არსებობს საქმიანობის ცნება. ეს ამავე დროს იმას ნიშნავს, რომ საქმიანობა ამხსნელი ცნებაა ცნობიერების მიმართ და ფსიქოლოგიის ამოცანა, ამდენად, არის ცნობიერების ახსნა.

ახლა განვიხილოთ კონკრეტულად რა გააკეთა საქმიანობამ როგორც ამხსნელმა ცნებამ. ითვლება, რომ საქმიანობის ცნების მეშვეობით მოხდა ფსიქიკის ყველა გამოვლინებათა ახლებური გააზრება. ფსიქიკა წარმოდგა საქმიანობის სპეციფიკურ ორგანოდ და თავისი ბუნებით ფუნქციონალურმა ამ ახსნამ ფსიქოლოგიას ფსიქიკური რეალობის მთლიანობისა და მრავალი მისი კონკრეტული გამოვლინების გაგების ახალი შესაძლებლობა შესძინა. ამრიგად, წმინდა მეთოდოლოგიურ ბლანში ვიგოტსკი-ლეონტიევის კულტურულ-ისტორიული კონცეფციის დამსახურებად მიიჩნევენ საქმიანობის კატეგორიის გამოყენებას ფუნქციონალური ახსნის იარაღად და ფსიქოლოგიის სავნის მთლიანობის დასასაბუთებლად [22]. მაგრამ რამდენად ამომწურავი ახსნის მოცემა შეუძლია საქმიანობას? თვითონ ლეონტიევეს შიანია, რომ ეს ახსნა აბსოლუტურია. მასთან საქმიანობა მთელი ფსიქოლოგიური რეალობის ერთიან ამხსნელ საფუძვლად გვევლინება. გავიხსენოთ, რომ ლეონტიევი იმოწმებს ლ. სეგს [20] და მის დაპირისპირებას თეორიებთან, რომლებიც ამოსავალ ცნებად არ იყენებენ საქმიანობას და, ამდენად, შეუძლებელია პიროვნების მეცნიერულ თეორიებად გამოდიოდნენ. საქმიანობა ფსიქოლოგიური ახსნის არა მხოლოდ უმაღლესი, არამედ ერთადერთი პრინციპია.

ეს თეზისი ეჭვს ბადებს. ცნობილი საბჭოთა მეთოდოლოგი ე. იუდინი, მაგალითად, აღიარებს რომ საქმიანობის ცნების სფუქველზე საკმაოდ ეფექტურად მოხდა ფსიქიკის წარმოშობის, არსის, სტრუქტურის, ფორმირების პრინციპული გზების ახსნა, მაგრამ ბევრსაც ეს ცნება ვერ გასწვდა, სახელდობრ პიროვნების გამოვლინებებს, ინდივიდუალურ სხვაობებს. პიროვნება არა მხოლოდ საქმიანობის პროდუქტია, არამედ საქმიანობის პირობადაც უნდა მივიჩნიოთ. თუ ამაზე უარს ვიტყვით მივიღებთ საქმიანობას, რომელშიც პიროვნება გამოდის წმინდა ფუნქციონალური და, მამასადამე, არააუცილებელი დანაშაულის როლში, რაც სულ ცოტა, ფსიქოლოგიის ნიადაგს გვეწყვეტს. ნაკლებ ეფექტურია ეს ახსნა, როდესაც კვლევის სავანად აღებულია უკვე ჩამოყალიბებული საქმიანობა, მით უმეტეს მაშინ, როდესაც შესასწავლი და დასაგეგმია საქმიანობის ახალი სახეები, მაგალითად, საინჟინრო ფსიქოლოგიაში [22] უფრო კრიტიკულად განწყობილი ავტორები თვლიან, რომ საქმიანობის მიდ-



გომამ დაკარგა ფსიქოლოგიისათვის თავისი მეცნიერული ღირებულება იმიტომ, რომ სავსებით გლობალური ხასიათი მიიღო, მასში გაიგივებული აღმოჩნდა ფსიქიკა და პრაქტიკა, საქმიანობა და აქტივობა. ფსიქიკისა და საქმიანობის გაიგივებამ აუცილებლობით გამოიწვია სუბიექტისა და გარეგან სამყაროს შორის დაპირისპირება [9; 17]. საქმიანობა ხან ასახვის არსია, ხან ცნობიერების სტრუქტურა, ხან კი პიროვნების სტრუქტურა. და ბოლოს, რაც მთავარია, საქმიანობა იქცა ფსიქიკის მოდელად. ფსიქიკისა და საქმიანობის კავშირის სახე, რომელიც გასაგები შეიძლება გახდეს მხოლოდ საქმიანობის სუბიექტის პრინციპის საფუძველზე, საერთოდ ამოვარდა ფსიქოლოგიის ამოცანებიდან [8; 18].

დავუსვათ, რომ უშუალოდ თვალსაზრისი დაძლეულია იმ შემთხვევაში, როდესაც ფსიქოლოგია გავებულია როგორც „მეცნიერება რეალობის ფსიქიკური ასახვის შესახებ“ და როდესაც საქმიანობა აშუალებს მიმართებას საგანსა და ცნობიერებას შორის (რადგან მასში შესულია ფსიქიკური ასახვა), რა მდგომარეობაა მაშინ, როდესაც საქმიანობა თვითონ ხდება შესწავლის საგანი. სხვა სიტყვებით, როდესაც საქმიანობა აღარ არის ამხსნელი ცნება რჩება თუ არა მამუალღებელ რგოლად?

ის, რომ საქმიანობის შესწავლა კანონიერ ამოცანად დგას, თვითონ ლეონტიევისათვის სრულიად აშკარაა. საქმიანობის ცნების ამგვარ ბიფუნქციონალობასთან დაკავშირებით მრავალი საკითხი წამოიჭრება [12; 19], რადგან „საქმიანობის კვლევის საგნად გადაქცევის პროცესი მხოლოდ გარკვეულ ფარგლებში შეიძლება ხორციელდებოდეს სპონტანურად, მეთოდოლოგიური რეფლექსიის მხრიდან სისტემატური კონტროლის გარეშე. დგება მთლიანობის ახალი, დამატებითი საფუძვლები ძიების აუცილებლობა“ [22]. ფაქტურად იგივე საკითხი, კიდევ უფრო მკაფიოდ — რა კუთხით, შეისწავლის საქმიანობას ფსიქოლოგია და მხოლოდ ფსიქოლოგია — დასვა ბ. ლომოვმა [15].

ნიშნავს თუ არა გამაშუალებელი რგოლიდან და ამხსნელი ცნებიდან კვლევის ობიექტად გადაქცევა საქმიანობის თეორიის უშუალოდ პოზიციებზე დაყენებას? ამხსნელის დესკრიფციის საკითხი, რომელიც უკავშირდება ახსნის სხვადასხვა დონეების შესახებ თეორიას, საგანგებო განხილვის საგანია ფილოსოფიაში [2], ამიტომ მასზე ლაბარაკი დიდი სიფრთხილით უნდა ხდებოდეს.

საქმიანობის როგორც კვლევის საგნის მეთოდოლოგიური პოზიციების შესახებ შემდგომი მსჯელობისათვის აუცილებლად მივიჩნევთ დ. უზნაძის მიერ გამოკეთილი ბურჟუაზიული ფსიქოლოგიის კიდევ ერთი დოგმატური წანამძღვრის — „ემპირისტული პოსტულატის“ გარჩევას.

თუმცა „განწყობის ფსიქოლოგიის ექსპერიმენტულ საფუძველზე“ დ. უზნაძე ბურჟუაზიული ფსიქოლოგიის დოგმატურ წანამძღვრებად უშუალოდ პოსტულატთან ერთად ასახელებს „ემპირისტულ პოსტულატს“, უშუალოდ პოსტულატის დაძლევის ამოცანა მჭიდროდ დაუკავშირდა დ. უზნაძის სახელს, ხოლო ემპირისტული პოსტულატი ერთგვარად დაიჩრდილა. ექვს გარეშეა, რომ ორივე პოსტულატი დ. უზნაძეს შემთხვევით არ მოუყვანია. ორივე ერთნაირად მიუღებელი და გადასალახავი იყო ფსიქოლოგიის მეცნიერების ახლებური დაფუძნებისათვის.

თუ უშუალოდ პოსტულატის დახასიათებისას დ. უზნაძე განსაკუთრებით ჩერდება გეშტალტფსიქოლოგიაზე, როგორც ამ პოსტულატზე ყველაზე აშკა-



რად დამყარებულ მიმდინარეობაზე, ემპირისტული პოსტულატის გამოყენების თვალნათელ ნიმუშს გვაძლევს ბიპევიორისტული ფსიქოლოგია. „ამ ემპირისტული პრინციპის აზრი შემდეგზე დაიყვანება. ცხოველურ ორგანიზმსა და გარემოს შორის უფსკრული იგულისხმება, რომელიც საშუალებას არ აძლევს ცოცხალ ორგანიზმს გარემოს მონაცემები უშუალოდ გამოიყენოს. რათა მან რისამე მისთვის აუცილებლის გამოყოფა შეძლოს გარემოდან — რისამე მისი მოთხოვნილების დაკმაყოფილებისათვის შესაფერისისა, ე. წ. ცდათა და შეცდომათა რიგს უნდა მიმართოს და ეს ცდები და შეცდომები იქამდე განაგრძოს, სანამ შემთხვევით ისეთი რამ არ ჩაუფარდება ხელთ, რაც სწორედ მოთხოვნილებას შეეფერება“ [5, 52].

„ემპირისტული პოსტულატის ბატონობას ერთგვარად წინ აღუდგა გემტალტეორიის მოძღვრება სინამდვილისადმი ჩვენი შემეცნებითი მიმართების თავისებური ფორმის, ე. წ. წვედომის (Insight) შესახებ“... მაგრამ ეს თავისებური ფორმა მხოლოდ აღწერილია გემტალტეორიაში და არაფერია არსებითად ნათქვამი იმის შესახებ, „რაც აზროვნების ამ თავისებური გზის გაშლის საფუძვლად შეიძლებოდა გვეგულისხმა. ამიტომაც, რომ დღემდე მეცნიერება ამ ცნების მხოლოდ ჩვეულებრივ შემეცნებითი მოვლენების პროცესებზე დაყვანის ცდებით კმაყოფილდება“ [5, 53]. დ. უზნაძე მკაფიოდ გამოთქვამს აზრს, რომ ამ მოვლენის კალიფიცირება შემეცნებით პროცესად შეუძლებელია. „ხოლო თუ ჩვენ ვაღიარებთ, რომ ცნობიერების ჩვეულებრივ მოვლენებს გარდა, ჩვენ კიდევ გვაქვს რაღაც. რაც, თუმცა, ცნობიერების შინაარსი არაა, და საერთოდ მის ფარგლებს გარეშეა საძიებელი, მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ ეს გარეშეა შესაძლებლობას მოგვეცეს ახალი თვალსაზრისით ვიმსჯილოთ Insight-ის მსგავს მოვლენებზე, დავსაბუთოთ მათი არსებობის ფაქტი, და რაც განსაკუთრებით საგულისხმოა, მისი რეალური შინაარსის გამოვლენაც ვცადოთ. თუ ვაღიარებთ, რომ შესაფერის პირობებში ცოცხალ არსებას განწყობის აქტივაციით რეაგირების უნარი აქვს, თუ მივიღებთ, რომ სწორედ ამ განწყობის სახით სინამდვილის თავისებური ასახვის სფეროსთან გვაქვს საქმე, მაშინ გასაგები ხდება, რომ სწორედ ამ მიმართულებით უნდა ვეძიოთ ცოცხალი არსების კავშირის ნამდვილი ბუნება გარემოს იმ პირობებთან, რომლებშიც მას თავისი ცხოვრების წარმართვა უხდება“ [5, 53—54].

Insight-ის (ერთხედვა, წვედომა) ცნებას გემტალტესიქოლოგიამ უნივერსალური მნიშვნელობა მიანიჭა. მის საფუძვლზე ხსნიდნენ ქცევის ადაპტაციურ ფორმებს, რომლებსაც ბიპევიორისტები ცდის, შეცდომასა და შემთხვევითი წარმატების პრინციპით ხსნიდნენ. ლიტერატურაში ხშირად შეგხვდებით აზრს, რომ ბიპევიორიზმისა და გემტალტესიქოლოგიის ამ საკითხში დაპირისპირების არსი მდგომარეობს იმაში, რომ მათ განსხვავებულად ესმით ინტელექტუალური (ან ქცევითი) ამოცანის გადაწყვეტის გზა. თითქოს ბიპევიორიზმი თვლის, რომ ამოცანა თანდათანობით წყდება, ხოლო გემტალტესიქოლოგია უეცარ გადაწყვეტას აღიარებს. სინამდვილეში წინააღმდეგობა უფრო ღრმა და კატეგორიულია. ინსატი გემტალტესიქოლოგიისათვის ნიშნავდა გადასვლას ახალ შემეცნებით — თვლსაჩინო სტრუქტურაზე, რომლის შესაბამისად მაშინვე იცვლებოდა შეგუებითი რეაქციების ბუნება. მისთვის პირველადია გაგება (გარკვეული ძვრები ვიწროულურ ველში), მეორადია ქცევითი (მოძრაობითი) შეგუება. „ცდისა და შეცდომის“ კონცეფცია უარყოფს გაგებას (ქცევის გრძნობად — მორიენტირებულ საფუძ-

ველს) როგორც არ უნდა ყოფილიყო იგი — უცარი თუ თანდათანობითი. გარემოსთან ადაპტაცია ყველა დონეზე მიღწეოდა ერთსა და იმავე მექანიზმებით.

გეშტალტფსიქოლოგიის მისამართით გამოთქმულ კრიტიკაში აღნიშნავდნენ, რომ წარმოდგენა, გრძნობადი მონაცემები გათიშული აღმოჩნდა საკუთარი სტრუქტურისა და მექანიზმების მქონე მოქმედებისგან, საპირისპიროდ ბიპევიორიზმისა, რომელმაც ქცევა გათიშა წარმოდგენისაგან, რომელიც ასევე დაუყვანაღია შეგუებით რეაქციებზე [3, 24]. ეს მოხდა იმის გამო, რომ გრძნობადი წარმოდგენა გეშტალტფსიქოლოგიაში გაგებული იყო როგორც განსაკუთრებული არსის მქონე მოვლენა, დამორჩილებული საკუთარ იმანენტურ კანონებს და მისი კავშირი რეალობასთან, საგნობრივ მოქმედებასთან მეტად გაუგებარი ჩანდა. სწორედ აქ გამოჩნდა ყველაზე ნათლად გეშტალტფსიქოლოგიის არსებითი ნაკლი — უშუალობის პოსტულატის სრულიად ამკარა და დაუფარავი გაზიარება. სწორედ აქედან უნდა იღებდეს, ჩვენი აზრით, სათავეს წარუმატებლობა ემპირისტული პოსტულატის დაძლევაშიც, რადგან ეს პოსტულატები უთუოდ კავშირში იმყოფებიან და ერთის დაუძლეველად მეორის დაძლევა ვერ მოხერხდება.

თუ გავიხსენებთ, რომ გეშტალტფსიქოლოგია და ბიპევიორისტული თეორია ერთდროულად წარმოიშვნენ ფსიქოლოგიის ე. წ. „ღია კრიზისის“ ვითარებაში, მაშინ როდესაც წარმოიშვა ფსიქოლოგიის კიდევ სხვა მიმდინარეობებიც, ერთი, როგორც ცნობიერების თეორია, მეორე — ქცევისა; პირველი — როგორც ტრადიციული ფსიქოლოგიის ატომიზმთან და ასოციაციონისტურ სენსუალიზმთან მეზობლი, მეორე — სუბიექტივიზმთან. მათ თითქოს არც უნდა ჰქონოდათ შეხების მკვეთრი წერტილები. მიუხედავად ამისა ისინი შეხებაში მოვიდნენ სწორედ წვდომის საკითხში, რაც მოწმობს თვით ამ საკითხის პრინციპულობას. საფულისხმოა ისიც, რომ გეშტალტფსიქოლოგიამ თუმცა კი დასვა ეს პრობლემა, იმის გამო, რომ უშუალობის პოზიციაზე იდგა ეგრე მოახერხა მისი გადაჭრა, რაც თავის მხრივ ისევ აყენებს საკითხს უშუალობის პოსტულატისა და ემპირისტული პოსტულატის ურთიერთმიმართების შესახებ.

ცნობილია, რომ ფსიქიკურ პროცესთა დეტერმინაციის საკითხში უშუალობის თვალსაზრისის დაძლევა საბჭოთა ფსიქოლოგიის პრინციპული საფუძვლების ჩამოყალიბებას ემსახურებოდა. საბჭოთა ფსიქოლოგიის ამოსავალი პრინციპი — დეტერმინიზმის პრინციპი სპეციფიკური დაკონკრეტების დროს ასახვის პრინციპში გადადის. თუ რას წარმოადგენენ ფსიქიკური მოვლენები როგორც სუბიექტისა და ობიექტის ურთიერთქმედებით განსაზღვრულნი — ამას ხსნის ასახვის პრინციპი. ამრიგად, ასახვის პრინციპი გარკვეული ასპექტით აკონკრეტებს დეტერმინიზმის პრინციპს და პასუხს სცემს კითხვას — რაში მდგომარეობს ფსიქიკურის არსებითი სპეციფიურობა, განსხვავებით ფიზიკურისაგან და სხვა. თუ გავაღრმავებთ მსჯელობას აქვე დაიბადება საკითხი თუ რას წარმოადგენს ასახვის მექანიზმი, რაშია მისი წყარო — და აღმოჩნდება თუ ფსიქიკისა და მოქმედების ერთიანობის პრინციპის წინაშე [21]. თავის მხრივ ცნობიერებისა და მოქმედების ერთიანობის პრინციპის შინაარსი განსაზღვრულია პიროვნული პრინციპით, რომელიც ამტკიცებს, რომ ცნობიერებისა და საქმიანობის კავშირი გამოუალბებულა პიროვნებით [8, 330]. საბჭოთა ფსიქოლოგიის პრინციპთა სისტემის დამუშავება კვლავაც გრძელდება და

ფსიქოლოგიური ცოდნის მეცნიერულ-კატეგორიული სინთეზის ძირითად პირობას წარმოადგენს.

საგულისხმოა, რომ დ. უზნაძის მსჯელობა ბურჟუაზიული ფსიქოლოგიის ორი მთავარი დოგმატური წინამძღვრის შესახებ გარკვეულ სისტემას წარმოადგენს. ემპირისტული პოსტულატის ირგვლივ გაშლილი მსჯელობა ასახავს პრინციპის დაკონკრეტებას. საპირისპიროდ ემპირისტული პოსტულატისა, რომელიც ამტკიცებს, რომ 1) ცოცხალ ორგანიზმსა და გარემოს შორის უფსკრულია — დ. უზნაძე იმ თვალსაზრისზე დგას, რომ ორგანიზმი და გარემო ერთ მთლიან სისტემას წარმოადგენს; თვით ეს კავშირია ის ფუნდამენტი, რომლის საფუძველზე ჩნდება სასიცოცხლო პროცესები და ინდივიდის ყოველგვარი აქტივობა; 2) ქცევის ორგანიზმულ და საგნობრივ ფაქტორთა კავშირი გარეგნულ, გამოცდილების საფუძველზე დამყარებული კავშირების პროდუქტად არის გამოცხადებული, და ატომარული თვალსაზრისია გატარებული მოთხოვნილებათა და საგნობრივ მონაცემთა ურთიერთობის გაგებაში. აქედან გამომდინარე, ემპირისტული პოსტულატი ამტკიცებს, რომ ცოცხალ არსებას გრძნობად მონაცემებთან აქვს ურთიერთობა და გრძნობადი მონაცემებიდან „აგებს“ საგანს „ცდათა და შეცდომათა“ რიგის საფუძველზე. ამ დებულების საპირისპიროდ დ. უზნაძე ლაპარაკობს გარემოს საგნობრივ მოცემულობაზე.

ასანინშენაია, რომ ემპირისტული პოსტულატის უქუდადებისათვის დ. უზნაძე იპავე ცნებას დაეყრდნო, რომელიც უშუალოდ პოსტულატის გარღვევისთვის დაისაჭიროვა. ეს არის განწყობის, მოთხოვნილებების მატარებელი სუბიექტის ცნება. ამოსავალი არის ის, რომ ურთიერთობას სინამდვილესთან ამყარებს მოთხოვნილების მატარებელი სუბიექტი. განწყობა საგნობრივი ასახვის პირობაა, რადგან სწორედ მოთხოვნილების საგნით არის დაინტერესებული სუბიექტი და არა გრძნობადი მონაცემებით. მოთხოვნილება საგნის ექვივალენტურია, მაშინ როცა ემპირისტულ პოსტულატში წამყვანია მოთხოვნილებისა და მისი დაკმაყოფილებისათვის გამოსადეგი საგნის პრინციპული პეტროგენულობა [1].

უშუალობისა და ემპირისტული პოსტულატების მჭიდრო კავშირი და ის გარემოება, რომ უშუალობის პოსტულატი ლეონტიევმა თავისებურად დანახა და გააანალიზა, ბადებს საკითხს ემპირისტულ პოსტულატთან მისი თეორიის მიმართების შესახებ. თუმცა იგი ამ პოსტულატზე საგანგებოდ არ შეჩერებულა, რადგან პრინციპულად იგი ისევე მიუღებელია, როგორც უშუალობის პოსტულატი—აუცილებლად მიგვაჩინა გავადევნოთ თვალი ამ პოსტულატის გარშემო თავმოყრილ საკითხთა ანალიზს (მით უმეტეს, რომ ბოლო ხანებში წამოიჭრა საკითხი სწორედ ბიპევიორისტულ ფსიქოლოგიასთან ამ თეორიის გარკვეული ანალოგიის შესახებ). შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ როგორია ემპირისტული პოსტულატის კრიტიკის მიმართულება ლეონტიევთან (მკვეთრად განსხვავებული დ. უზნაძისაგან თუ არა) დაგვეზმარება საკითხის გარკვევაში ალტერნატიულია თუ არა განწყობისა და საქმიანობის თეორიები.

განსხვავება ემპირისტული პოსტულატისადმი მიდგომაში უთუოდ თვალში საცემია. ემპირისტული პოსტულატის წინააღმდეგ მიმართულ უზნაძისეულ კრიტიკაში ამოსავალია მოთხოვნილების მატარებელი სუბიექტის გაუთვალისწინებლობა. ხოლო ლეონტიევი პრინციპულად უარყოფს მოთხოვნილების პირველადობას და საქმიანობის პრიორიტეტს სცნობს. ყველა ზემოთყვანილი ციტატი მოთხოვნილებისა და საგნის მიმართების შესახებ გვაძლევს საფუ-

ე. ი. მასში სავანი მოცემულია. მართალია, აქ სხვადასხვა დონის მოთხოვნილებზეა ლაპარაკი და მსჯელობა ამ მხრივ შეიძლება არ იყოს წინააღმდეგობრივი, მაგრამ თუ სავანი ერთგვარად არ არის ასახული მოთხოვნილებაში ვერ გავიგებთ როგორ პოულობს ორგანიზმი შესაბამის სავანს, როგორ ცნობს მას, როგორ ხდება მოთხოვნილება საგნობრივი. მოთხოვნილების გასაგნება აუცილებლად მოითხოვს კიდევ ერთ პირობას — სიტუაციას. აქ მოვიყვანთ დ. უზნაძის სიტყვებს — „რა თქმა უნდა მოთხოვნილება შეიძლება არსებობდეს სიტუაციის გარეშეც, რომელიც მის დაკმაყოფილებას შესაძლებლად გახდის. მაგრამ ასეთ შემთხვევაში მას არ შეიძლება დასრულებული, ინდივიდუალურად განსაზღვრული ხასიათი ჰქონოდა“ [5,60]. სიტუაციის მოცემულობა აკეთებს იმას, რომ გარესინამდვილე მოთხოვნილების სუბიექტის წინაშე დგება არა როგორც ობიექტური სინამდვილის მოვლენათა შემთხვევითი თავყრილობა, არამედ როგორც სიტუაცია იმ ქცევისა, რომელიც მან ახლა უნდა განახორციელოს, რომ მოთხოვნილების დაკმაყოფილება უზრუნველყოს. სხვანაირად რომ ვთქვათ, გარესინამდვილე მოთხოვნილების სუბიექტში ასახება მოქმედების პლანში, რაც იმას ნიშნავს, რომ ინდივიდის ბუნებაში არსებული შესაძლებლობები, ინერტულიდან აქტიურ მდგომარეობაში გადადიან და მოცემული სიტუაციის შესატყვის სტრუქტურას იძენენ [7].

ის გარემოება, რომ საგნობრიობის ფენომენის გარჩევისას ლეონტიევის მსჯელობაში ფარულად შემოიჭრა სიტუაციის ცნების შინაარსი, გარკვეული აზრით მოწმობს ემპირისტული პოსტულატის გადალახვის უზნაძისეული ვზის ძარბებულობას. ხოლო ლეონტიევის თეორიის შესახებ ეს ფაქტი მეტყველებს იმას, რომ იგი შინაგანად წინააღმდეგობრივია — ერთის მხრივ, სახეზეა მოთხოვნილების ცნების ამოსავალ ცნებად კატეგორიული მიუღებლობა, ხოლო, მეორეს მხრივ, საგნობრიობის დახასიათება, მოთხოვნილებისა (დანაკლისის) და სიტუაციის თანხვედრის ტერმინებით.

საბოლოოდ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ა. ნ. ლეონტიევმა ვერ დასახა ემპირისტული პოსტულატის გადალახვის რაიმე ორიგინალური გზა და ნაწილობრივ (თუ ფართულად) უზნაძის გზა გაიმეორა, რაც კიდევ ერთხელ გვაფიქრებინებს, რომ ამ თეორიათა ალტერნატიულ დაპირისპირებას საეპირისა საფუძველი არ გააჩნია.

ყოველივე ამის გათვალისწინებით, ჩვენს მიერ დასმულ კითხვაზე, თუ რა მიმართება არსებობს განწყობის თეორიასა და ლეონტიევის საქმიანობის თეორიებს შორის, რომლებშიც საერთო მეთოდოლოგიური ამოცანა იყო დასახული — უშუალოდის პოსტულატის გადალახვა — შემდეგი დასკვნების გამოტანა შეგვიძლია:

1. ლეონტიევის თეორია ეხება საგნისა და ცნობიერების გაშუალებას საქმიანობით, ფაქტიურად კი საქმიანობა-ფსიქიკით, ხოლო უზნაძის თეორია, თუ შეიძლება ითქვას, არის ორგვარი გაშუალების თეორია — განწყობით გაშუალებულია, ერთის მხრივ, საგნისა და ფსიქიკის (ცნობიერების) ურთიერთობა და, მეორეს მხრივ, ფსიქიკის (ცნობიერების) და ქცევის ურთიერთობა.

2. უზნაძისათვის უშუალოდის პოსტულატის დაძლევა საჭირო იყო ფსიქოლოგიაში სუბიექტის პრობლემის მართებული დაყენებისათვის, ხოლო ლეონტიევს უშუალოდის თვალსაზრისის გადალახვა სჭირდებოდა ცნობიერების ფსიქოლოგიური პრობლემის დაფუძნებისათვის, რაც მეტყველებს ფსიქოლოგიის საგნის განსხვავებულ გაგებაზეც უზნაძისა და ლეონტიევის მიერ.



ე. ი. მასში საგანი მოცემულია. მართალია, აქ სხვადასხვა დონის მოთხოვნილებათა ლაპარაკი და მსჯელობა ამ მხრივ შეიძლება არ იყოს წინააღმდეგობრივი, მაგრამ თუ საგანი ერთგვარად არ არის ასახული მოთხოვნილებათა ვერ გავიგებთ როგორ პოულობს ორგანიზმი შესაბამის საგანს, როგორ ცნობს მას, როგორ ხდება მოთხოვნილება საგნობრივი. მოთხოვნილების გასაგნება აუცილებლად მოითხოვს კიდევ ერთ პირობას — სიტუაციას. აქ მოვიყვანთ დ. უზნაძის სიტყვებს — „რა თქმა უნდა მოთხოვნილება შეიძლება არსებობდეს სიტუაციის გარეშეც, რომელიც მის დაკმაყოფილებას შესაძლებლად გახდიდა. მაგრამ ასეთ შემთხვევაში მას არ შეიძლება დასრულებული, ინდივიდუალურად განსაზღვრული ხასიათი ჰქონოდა“ [5,60]. სიტუაციის მოცემულობა აკეთებს იმას, რომ გარესინამდვილე მოთხოვნილების სუბიექტის წინაშე დგება არა როგორც ობიექტური სინამდვილის მოვლენათა შემთხვევითი თავყრილობა, არამედ როგორც სიტუაცია იმ ქცევისა, რომელიც მან ახლა უნდა განახორციელოს, რომ მოთხოვნილების დაკმაყოფილება უზრუნველყოს. სხვათადაც რომ ვთქვათ, გარესინამდვილე მოთხოვნილების სუბიექტში აისახება მოქმედების პლანში, რაც იმას ნიშნავს, რომ ინდივიდის ბუნებაში არსებული შესაძლებლობები, ინერტულიდან აქტიურ მდგომარეობაში გადადიან და მოცემული სიტუაციის შესატყვის სტრუქტურას იძენენ [7].

ის გარემოება, რომ საგნობრიობის ფენომენის გარჩევისას ლეონტიევის მსჯელობაში ფარულად შემოიჭრა სიტუაციის ცნების შინაარსი, გარკვეულაწარით მოწმობს ემპირისტული პოსტულატის გადალახვის უზნაძისეული გზის მართებულობას. ხოლო ლეონტიევის თეორიის შესახებ ეს ფაქტი მეტყველებს იმას, რომ იგი შინაგანად წინააღმდეგობრივია — ერთის მხრივ, სახეზეა მოთხოვნილების ცნების ამოსავალ ცნებად კატეგორიული მიუღებლობა, ზოლო, მეორეს მხრივ, საგნობრიობის დახასიათება, მოთხოვნილებისა (დანაკლისის) და სიტუაციის თანხვედრის ტერმინებით.

საბოლოოდ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ა. ნ. ლეონტიევმა ვერ დასახა ემპირისტული პოსტულატის გადალახვის რაიმე ორიგინალური გზა და ნაწილობრივ (თუ ფარულად) უზნაძის გზა გაიმეორა, რაც კიდევ ერთხელ გვაფიქრებინებს, რომ ამ თეორიათა ალტერნატიულ დაპირისპირებას საკმარისა საფუძველი არ გააჩნია.

ყოველივე ამის გათვალისწინებით, ჩვენს მიერ დასმულ კითხვაზე, თუ რა მიმართება არსებობს განწყობის თეორიასა და ლეონტიევის საქმიანობის თეორიებს შორის, რომლებშიც საერთო მეთოდოლოგიური ამოცანა იყო დასახული — უშუალოდ პოსტულატის გადალახვა — შემდეგი დასკვნების გამოტანა შეგვიძლია:

1. ლეონტიევის თეორია ეხება საგნისა და ცნობიერების გაშუალებას საქმიანობით, ფაქტიურად კი საქმიანობა-ფსიქიკით, ხოლო უზნაძის თეორია, თუ შეიძლება ითქვას, არის ორგვარი გაშუალების თეორია — განწყობით გაშუალებულია, ერთის მხრივ, საგნისა და ფსიქიკის (ცნობიერების) ურთიერთობა და, მეორეს მხრივ, ფსიქიკის (ცნობიერების) და ქცევის ურთიერთობა.

2. უზნაძისათვის უშუალოდ პოსტულატის დაძლევა საჭირო იყო ფსიქოლოგიაში სუბიექტის პრობლემის მართებულ დაყენებისათვის, ხოლო ლეონტიევს უშუალოდ თვალსაზრისის გადალახვა საჭიროებოდა ცნობიერების ფსიქოლოგიური პრობლემის დაფუძნებისათვის, რაც მეტყველებს ფსიქოლოგიის საგნის განსხვავებულ გაგებაზეც უზნაძისა და ლეონტიევის მიერ.

უზნაძისათვის ფსიქოლოგიის საგანია სუბიექტის აქტივობა, ქცევა, მაშინ, როცა ლეონტიევისათვის იგი არის ცნობიერება.

3. ეს თეორიები არ არიან საპირისპირო თეორიები, რადგან ერთსა და იმავე საკითხზე — მკაცრი მნიშვნელობით — განსხვავებულ პასუხებს არ წარმოადგენენ.

М. С. БАЛИАШВИЛИ

## О ВЗАИМООТНОШЕНИИ ТЕОРИЙ УСТАНОВКИ И ДЕЯТЕЛЬНОСТИ

Резюме

Выдвижение теориями установки и деятельности в качестве среднего звена для преодоления «постулата непосредственности» различных категорий послужило достаточным основанием считать их альтернативными теориями. Однако эта общая по своему характеру методологическая задача в теориях сформулирована различно. Следовательно, эти теории не являются в строгом смысле двумя ответами на один вопрос и не могут считаться альтернативными. Что касается другой догматической посылки буржуазной психологии — «эмпирического постулата», можно считать, что в теории деятельности не дан самостоятельный путь его преодоления и частично повторен путь Д. Н. Узнадзе.

В конечном итоге можно говорить и о разном понимании этими теориями предмета психологии. По теории установки им является поведение, активность, деятельность субъекта, тогда как, согласно теории деятельности, предмет психологии — сознание.

ლიტერატურა

1. ნაღორაშვილი შ. პიროვნების სოციალური ფსიქოლოგია, თბ., 1975.
2. ტაბიძე ო. ქცევამეცნიერების ფილოსოფიური საფუძვლები, თბ., 1974.
3. უზნაძე დ. ადამიანის ქცევის ფორმები, თსუ შრომები, ტ. XVII, თბ., 1941.
4. უზნაძე დ. ზოგადი ფსიქოლოგია, შრომები, ტ. III—IV, თბ., 1964.
5. უზნაძე დ. განწყობის ფსიქოლოგიის ექსპერიმენტული საფუძვლები, შრომები, ტ. VI, თბ., 1977.
6. უზნაძე დ. განწყობის ფსიქოლოგიის ძირითადი დებულებები, შრომები, ტ. VI, თბ., 1977.
7. ჩხარტიშვილი შ. განწყობა და ცნობიერება, თბ., 1975.
8. Абульханова - Славская К. А. Деятельность и психология личности, М., 1980.
9. Абульханова - Славская К. А. Категория деятельности в советской психологии. Психол. журнал, т. I, № 4, 1980.
10. Асмолов А. Г. Деятельность и установка, М., 1979.
11. Асмолов А. Г. Еще раз об исходных принципах теории деятельности. Тезисы VIII Закавказской конференции психологов, Ереван, 1980.
12. Зинченко В. П. Установка и деятельность: нужна ли парадигма? В кн.: «Бессознательное: природа, функции, методы исследования», под общей редакцией А. С. Прангишвили, А. Е. Шерозия, Ф. В. Бассина, т. I, Тб., 1978.

13. Леонтьев А. Н. Деятельность, сознание, личность. М., 1975.
14. Леонтьев А. Н. Проблемы развития психики, М., 1972.
15. Ломов Б. Ф., О состоянии и перспективах развития психологической науки в СССР. Вопросы психологии, 1977, № 5.
16. Миллер Д., Галантер Ю., Прибрам К. Планы и структура поведения, М., 1965.
17. Непомнящая Н. Н. Деятельность, сознание, личность и предмет психологии. В кн.: Проблемы деятельности в советской психологии, М., 1979.
18. Прангишвили А. С. О некоторых актуальных проблемах советской психологии. «Мацне», 1980, № 2.
19. Сакварелидзе Р. Т. К вопросу об объяснительном характере понятия деятельности. Тезисы докладов Всесоюзной конференции «Развитие эргономики в системе дизайна». Боржоми, 1979.
20. Сэв Л., Марксизм и теория личности, М., 1972.
21. Ткаченко А. Н. Взаимосвязь объяснительных принципов психологической науки. Вопр. психологии, 1977, № 4.
22. Юдин Э. Г. Системный подход и принцип деятельности, М., 1978.
23. Ярошевский М. Г. Специфика детерминации психических процессов. Вопросы философии, 1972, № 1.
24. Ярошевский М. Г. История психологии, М., 1976.

წარმოდგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის  
დ. უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტმა

რუსულან ჯვარიშვილი

თარგმნის პროცესში მთარგმნელის პიროვნების ფორმირები  
ფაქტორის საკითხისათვის

თარგმნის მექანიზმის ექსპერიმენტულ-ფსიქოლოგიური კვლევა ძირითადად წარმოებს ზეპირი თანმიმდევრული და სინქრონული თარგმნის მიმართულებით (მინიარ-ბელორუჩევი, ჩერნოვი, ზიმნაია, სლადკოვსკაია და სხვა).

ზეპირი თანმიმდევრული თარგმნის ერთ-ერთ ყველაზე ავტორიტეტულ მკვლევარად ითვლება რ. მინიარ-ბელორუჩევი, რომელიც თვლის, რომ ზეპირად მთარგმნელის მოქმედებაში განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს მთარგმნელის ერთი ენიდან მეორე ენაზე გადართვა შეზღუდული დროის პირობებში, როდესაც მთარგმნელმა უნდა აღიქვას მეტყველების გარკვეული მონაკვეთი ერთ ენაზე და გადათარგმნოს იგი მეორე ენაზე. უნარს, შეზღუდული დროის პირობებში მიიღოს და განახორციელოს გადაწყვეტილება თარგმნისათვის მიღებული მეტყველების ნაწილის კოდირების შესახებ, ავტორი უწოდებს ვადართვის ჩვევას.

დაკვირვება გვიჩვენებს, რომ ორი ენის ფლობა არ იძლევა ვადართვის ჩვევას ფუნქციონირების გარანტიას, აღამიანმა შეიძლება ძალიან კარგად იცოდეს ორივე ენა, მაგრამ უჭირდეს თარგმნა. „ორივე ენის ფლობა, — ამბობს მინიარ-ბელორუჩევი, — წარმოადგენს მხოლოდ იმ წინა აუცილებელ პირობას, რომელიც საჭიროა ვადართვის ჩვევის ჩამოყალიბებისათვის. პირობითად შეიძლება ითქვას, რომ ამ ჩვევის ფლობის საფუძველზე შეიძლება განვასხვაოთ მთარგმნელი ჩვეულებრივი ბილინგვისაგან“ [1]. აქედან, გასაგებია ის დიდი ყურადღება, რომელიც ექცევა თარგმნის თეორიასა და პრაქტიკაში ვადართვის ჩვევის ფორმირებას ერთი ენიდან მეორე ენაზე თარგმნის დროს. მიუხედავად ასეთი დიდი ინტერესისა ამ პროცესის მექანიზმი თითქმის არ არის შესწავლილი.

მინიარ-ბელორუჩევის აზრით, ამ საკითხზე ყველაზე ობიექტური მონაცემები შეიძლება მოგვცეს ფსიქოფიზიოლოგიურმა გამოკვლევებმა, როდესაც ხდებოდა სიტყვებზე სხვადასხვა პირობითი რეაქციების შემუშავება (სისხლძარღვთა, კანის, გალვანური და სხვა). ასეთმა გამოკვლევებმა უჩვენა, რომ სიტყვა როგორც პირობითი სტიმული იწვევს არა მარტივ, არამედ კომპლექსურ რეაქციას გარკვეული კავშირების სისტემის სახით, რომლებშიც დომინირებენ აზრიანი კავშირები. მინიარ-ბელორუჩევი იმოწმებს ლურაის და ვინოგრადოვას შრომებს, სადაც ნაჩვენებია, რომ, მაგალითად, ცდაში რომელშიც გამოყენებული იყო აზრიანი ჭგუფი „მუსიკა“, სპეციფიკურ რეაქციას იწვევდნენ სიტყვები „ვიოლინო“, „სიმ“ და ა. შ. ვინაიდან ისინი შედიოდნენ ბირთვის შემადგენლობაში. არავითარ რეაქციას არ იწვევდნენ ე. წ. ნეიტრალური სიტყვები. მინიარ-ბელორუჩევის აზრით, თარგმნის კანონ-



ზომიერებათა ახსნისათვის ინტერესს მოკლებული არ იქნებოდა ის ფაქტი, რომ ჟღერადობით მსგავსი, ხოლო სხვადასხვა საზრისის მქონე სიტყვები იწვევდნენ რეაქციას მხოლოდ გონებრივად ჩამორჩენილ ან ძალიან დაღლილ ადამიანებში.

როგორ ცდილობს მინიარ-ბელორუჩევი ამ თეორიის გამოყენებას თარგმნის მექანიზმის ასახსნელად? მას მიაჩნია, რომ მითითებული ფიზიოლოგიური კვლევის ობიექტური მონაცემების საფუძველზე შეიძლება გაკეთდეს დასკვნა იმის შესახებ, რომ ორი ენის ფლობა პროფესიონალური მთარგმნელობითი უნარისა და ჩვევის გარეშე გულისხმობს მხოლოდ გარკვეული რაოდენობის დახმობას, რადგანაც თითოეული მათგანი შემოფარგლულია ერთი ენის ნიშნებით. ასეთ შემთხვევაში ვერბალური ან საგნობრივი გამიწიანებლის გამოჩენა იწვევს რეაქციას ერთი სემანტიკური მიკროსისტემის ფარგლებში. სხვანაირად რომ ვთქვათ, როდესაც ადამიანს არ გააჩნია მთარგმნელობითი ჩვევა, ორი ენის სემანტიკური სისტემები ერთი სემანტიკური ველის ფარგლებში ისევე არიან შემოფარგლულნი, როგორც სხვადასხვა სემანტიკური ველის სისტემები ამავე ენის ფარგლებში.

სულ სხვანაირად ფუნქციონირებს, მინიარ-ბელორუჩევის აზრით, პროფესიონალი მთარგმნელის მეტყველების მექანიზმი. სიტყვა ერთ ენაზე იწვევს აზრიან კავშირებს მეორე ენის სისტემაში, თუმცა ერთი თემატური და სტილისტური მიკროსისტემის ფარგლებში. ამაში ადვილად შეიძლება დაერწმუნდეთ თუ ვადევნებთ თვალს ზეპირი და სინქრონული მთარგმნელის მოშაობას. „კარგადაა ცნობილი, — განაგრძობს ავტორი, — თუ როგორ სიმწელეს ვანიცდიან ისინი ერთი თემატიკიდან მეორეზე, ან მეტყველების ერთი სტილიდან სხვა სტილზე გადასვლისას“.

ავტორმა ჩატარა სპეციალური ექსპერიმენტული გამოკვლევა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს თარგმნითი ფაქტორების სტუდენტებმა. ექსპერიმენტი ჩატარდა სინქრონულ თარგმნაში მეცადინეობის პროცესში. წინასინქრონული ვარჯიშის პერიოდში სტუდენტებს ეძლეოდათ თარგმნისათვის სიტყვათა შემდეგი ჯგუფები: რიცხვითი სახელები, ორატორული შტამები (მაგ. „ამ მაღალი ტრიბუნლიდან“, „ნება მომეცით“, „დიდი პატივისცემით“ და სხვა) და ლექსიკა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ თემაზე. გავარჯიშების შემდეგ, როდესაც ყოველი სიტყვათა ჯგუფი ცალ-ცალკე ფიქსირდებოდა, მოსწავლეები ყოველგვარი სიმწელის გარეშე ასრულებდნენ სავარჯიშოებს და თარგმნიდნენ 90-დან 100%-მდე მოწოდებულ სიტყვას.

ვარჯიშის ბოლოს ჩავარდნებს ადგილი ჰქონდა ყველაზე ნელი რეაქციის მქონე მოსწავლეებთან. ვარჯიში ჩატარდა ექვსი მეცადინეობის პროცესში. მეშვიდე მეცადინეობაზე, საზოგადოებრივ-პოლიტიკური ლექსიკის თარგმნის დროს, მათ სათარგმნ ენაზე მიეცათ რიცხვითი სახელები სხვა სემანტიკური სისტემიდან. სხვა ჯგუფის სიტყვების მოულოდნელი მიწოდება ხდებოდა ორატორული შტამების თარგმნის დროსაც. სხვა სისტემის სიტყვების ჩარევის შემთხვევაში ამ სიტყვებს ან არასწორად თარგმნიან, ან საერთოდ ტოვებენ. შესატყვისი გავარჯიშება ამ მიმართულებით თანდათან ამცირებდა შეცდომების რაოდენობას. „მაშასადამე, — დაასკვნის მინიარ-ბელორუჩევი, — ხდებოდა უფრო ფართო სემანტიკური სისტემის ფორმირება. ისეთი ახალი სემანტიკური სისტემის ფორმირება, რომელიც შეიცავს შესატყვის ქვე-



სისტემებს ორ ენაზე — წარმოადგენს გადართვის ჩვევის ჩამოყალიბების პროცესს და ამ პროცესს ეკუთვნის წამყვანი როლი ზეპირად მთარგმნელის მუშაობაში. ძველი სემანტიკური კავშირები ადვილად ირღვევა ახალი სისტემების ჩართვისას იმ შემთხვევაში თუ არ ხდება მათი პერიოდული განმტკიცება შესატყვისი გამეორებების სახით“ [1,99].

კვლევამ ავტორი იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ გადართვის ჩვევის ფუნქციონირებას თავისი შემდეგი კანონზომიერებანი გააჩნია:

1. გადართვის ჩვევის ფუნქციონირება წყდება წინასწარ შემუშავებული სემანტიკური სისტემის ფარგლებს გარეთ (თემატიკური პრინციპი). ეს კი იმას ნიშნავს, რომ ხდება ფორმირება არა საერთოდ გადართვის ჩვევისა, არამედ ფორმირება გადართვის ჩვევისა მოცემული თემატიკის სემანტიკური სისტემის ფარგლებში.

2. გადართვის ჩვევის ფუნქციონირებისას დომინირებს მიმართულება მშობლიური ენიდან უცხო ენაზე.

მინიარ-ბელორუჩევის დაკვირვება და კვლევის პროცედურის ჩატარების შედეგად გამოჩანს დასკვნები საცხებით შეესატყვისება სინამდვილეს. მდარია ის თეორიული პოზიცია, რომლიდანაც იგი გამოდის და რომელზე დაყრდნობითაც ცდილობს ახსნას თავისი შედეგები. ჩვენ ვაულისხმობთ ლუკიას და ვინოგრადოვას ფსიქო-ფიზიოლოგიურ პოზიციას. აზრით კავშირების ფიზიოლოგიურ პროცესებზე დაყვანა ვერ ხსნის ფსიქიკურ მოვლენას, ვინაიდან ფიზიოლოგიური მექანიზმი ვერ ხსნის პროცესის შინაარსობრივ მხარეს. ერთი და იგივე გალვანური ან სხვა ფიზიოლოგიური რეაქცია შეიძლება საფუძვლად დაედოს მრავალ ფსიქოლოგიურ პროცესს და ეს მით უმეტეს შეეხება ისეთ რთულ მოქმედებას როგორცაა თარგმნა.



თარგმნა როგორც ადამიანური მოქმედების ერთ-ერთი სახე შეიძლება განვიხილოთ განწყობის თეორიის პოზიციიდან, ვინაიდან დ. უზნაძის ეს თეორია იძლევა მოქმედების სწორედ ფსიქოლოგიურ ახსნას.

განწყობის თეორიის მიხედვით, ყოველ ადამიანურ მოქმედებას საფუძვლად უდევს განწყობა ანუ მთლიან-პიროვნული მდგომარეობა, რომელიც წინასწარ განსაზღვრავს მის ნებისმიერ მოქმედებას.

თვით უზნაძის მიერ განწყობის ზოგადი ცნების საფუძვლზე გამოყვანილია ენობრივი განწყობის ცნება, როგორც გარკვეული მთლიან-პიროვნული მდგომარეობისა, რომელიც განაპირობებს და საფუძვლად უდევს მეტყველებით პროცესს, აქტუალიზაციაში მოჰყავს გარკვეულ ენაზე მეტყველებისათვის საჭირო საშუალებები და წარმოადგენს მექანიზმს, რომელსაც მიზანშეწონილი სელექციის ფუნქცია აკისრია [2,430].

თუ ენობრივ თარგმნას განვიხილავთ როგორც ადამიანის მოქმედებას, მაშინ შეიძლება ითქვას, რომ თარგმნის დროსაც განწყობა გამოდის როგორც სუბიექტის მათეტივიზირებელი მდგომარეობა, რომელიც საფუძვლად უდევს მის გადასვლას ერთი ენიდან მეორე ენაზე.

უზნაძის მიხედვით, განწყობის მოვლენათა ზოგადფსიქოლოგიური ანალიზი უჩვენებს, რომ საქმე გვაქვს ადამიანის სტრუქტურის განმსაზღვრელ

ფაქტთან. ამასთან ერთად, გვხვდება ისეთი ფაქტებიც რომლებიც მიუთითებენ განწყობის დიფერენციალურ-ფსიქოლოგიურ თვისებებზე. განწყობის მოვლენები არ მიმდინარეობენ ყველგან და ყოველთვის ერთნაირად. ამასთან დაკავშირებით, დ. უზნაძე აყენებს განწყობის დიფერენციალურ-ფსიქოლოგიურ პრობლემას. აქედან გამომდინარე, დგება ადამიანის მოქმედებაში ინდივიდუალური ფაქტორის მნიშვნელობის საკითხი [2, 215].

როგორც თვით განწყობის თეორიის ფუძემდებლის, ასევე შემდგომმა გამოკვლევებმა უჩვენეს, რომ არსებობს განწყობის სხვადასხვა თვისებათა სპეციფიკური ერთიანობა, რომელიც ობიექტივაციასთან ერთად ახასიათებს ამა თუ იმ სუბიექტის განწყობას როგორც განწყობის გარკვეული ტიპის წარმომადგენელს.

ფიქსირებული განწყობის მეთოდის საშუალებით, უზნაძე და მისი მოწაფეები მივიდნენ შემდეგ დასკვნამდე:

1. განწყობა წარმოადგენს ყველაზე მნიშვნელოვან მომენტს ადამიანის მოქმედებაში.

2. არსებობს განწყობის აქტივობის გარკვეული ტიპები, რომლებიც დამოკიდებული არიან სუბიექტის ინდივიდუალურ თვისებებზე.

3. განწყობას გააჩნია თავისი გამოვლენის ტიპოლოგიურად განსხვავებული ფორმები.

4. ფიქსირებული განწყობის თვისებებების თვალსაზრისით, ადამიანები შეიძლება გაიყოს სამ ძირითად ჯგუფად: დინამიკური განწყობის, სტატიკური განწყობის და ვარიაბილური განწყობის მქონე ჯგუფებად.

დინამიკური განწყობის მქონე სუბიექტი ნაკლებად ემორჩილება ფიქსაციის ფაქტორს, ადვილად გადაირთვება ახალ სიტუაციაზე, მას ადვილად უმუშავდება ახალი განწყობები და არ სჭირდება ყოველი ახალი ნაბიჯის გადადგმისა მიმართოს ობიექტივაციის აქტს.

სტატიკური განწყობის სუბიექტი უფრო მეტად ემორჩილება ფიქსაციის ფაქტორს. ის რიგიდულია, უჭირს ადეკვატური განწყობის შემუშავება ახალ სიტუაციაში და ამიტომ იძულებულია ხშირად მიმართოს ობიექტივაციის აქტს.

ყოველივე ამის საფუძველზე დგება საკითხი: როგორია ენობრივი განწყობის ფიქსირების ტიპოლოგიური თვისებებთან ერთი ენიდან მეორე ენაზე გადაართვის პროცესში? იცვლება თუ არა ფიქსირებული განწყობის მოქმედება მიწოდებულ ენობრივი მასალის მიხედვით?

\*  
\*  
\*

ამ კითხვებზე პასუხს დიდი მნიშვნელობა აქვს საერთოდ ენობრივი განწყობის მექანიზმის შესწავლისათვის და, კერძოდ, როგორც თარგმნის მექანიზმის, ასევე მთარგმნელის ტიპოლოგიური თვისებებების შესწავლისათვის, ვინაიდან ამ უკანასკნელს მნიშვნელობა აქვს არა მარტო მეტყველების ფსიქოლოგიისათვის, არამედ პრაქტიკული თვალსაზრისით, მთარგმნელის პროფესიონალური თვისებებების კვლევისათვის.

ზემოთ ჩამოყალიბებული საკითხების ექსპერიმენტული შესწავლისათვის შევიმუშავებ შემდეგი მეთოდოლოგია.

უპირველეს ყოვლისა, გვინდა აღვნიშნოთ, რომ ცდამი გამოყენებული მეთოდის ძირითადი ნაწილი ავაგეთ ორზროვანი სურათის მეთოდის ანალოგიურად. ცდის პირველი ნაწილი კი, ფაქტიურად, წარმოადგენდა ფიქსირებული განწყობის ტიპის დადგენის ცდას ტრადიციული მეთოდის საშუალებით.

განწყობის ტიპის დადგენის შემდეგ გადავდიოდით ცდის ძირითად ნაწილზე, რომელიც შემდეგში მდგომარეობდა: ცდისპირს ვაძლევედით ზეპირად სათარგმნად შემდეგ 25 სიტყვას:

დედა	ვარდი	ვარსკვლავი
მდინარე	თოჯინა	და
დიასახლისი	თევზი	კედელი
ქალი	ძროხა	საწოლი
კოვზი	ია	ფეხი
დედა	ბებია	წიგნი
მიწა	ხელი	კოლოფი
ქათამი	სურათი	მელია
ქალიშვილი		

ყოველი სიტყვა მას გაგონებისთანავე, რაც შეიძლება სწრაფად უნდა გადაეთარგმნა რუსულ ენაზე. ეს სიტყვები წარმოადგენდნენ საგანწყობო სიტყვებს. რუსულ ენაში ყველა ეს სიტყვა მდებარეობდა სქესს მიეკუთვნება. მაშასადამე, ცდისპირს თარგმნის პროცესში უშუაშუავედებოდა განწყობა მდებარეობით სქესზე.

საგანწყობო სიტყვების შემდეგ ცდისპირს ვაწვდიდით კრიტიკულ სიტყვებს:

- მსახობი
- მეზობელი
- გამყიდველი
- მასწავლებელი

ეს სიტყვები რუსულად შეიძლება ითარგმნოს როგორც მდებარეობითი, ისე მამრობითი სქესით. ასე მიმდინარეობდა ცდის პირველი სერიის საქმე-სპერიმენტო ნაწილი: ამ სერიის საკონტროლო ცდამი ცდისპირს არ უტარდებოდა არც ტრადიციული საგანწყობო ცდები და არც ენობრივი საგანწყობო ცდა. მას სათარგმნელად ეძლეოდა მხოლოდ 4 კრიტიკული სიტყვა.

იმისათვის, რომ დაგვედგინა შეიცვლებოდა თუ არა ფიქსირებული განწყობის ეფექტი მიწოდებული მასალის შეცვლასთან ერთად, ჩვენ ჩავატარეთ ცდების მეორე სერია. ამ სერიის მეთოდოლოგია თითქმის იგივე იყო. განსხვავდებოდა მხოლოდ სათარგმნი მასალა, რომელიც, პირველი სერიისაგან განსხვავებით, შედგებოდა არა იზოლირებული სიტყვებისაგან, არამედ შემდეგი 25 სინტაგმისაგან:

ეს განიერი მდინარე  
 კარგი დიასახლისი  
 სველი მიწა  
 დიდი წითელი ვარდი  
 ნათელი ოთახი

ჩემი ალერსიანი დედა  
 ვერცხლის კოვზი  
 პატარა ლამაზი თოჯინა  
 ჩემი ახალგაზრდა დედა  
 ლამაზი ქალიშვილი



ეს პატარა ია  
 ასეთი გამხდარი ხელი  
 დილის ვარსკვლავი  
 მაღალი თეთრი კედელი  
 რბილი საწოლი  
 ავი დედაბერი  
 დიდი სურათი

ახალი ქუჩა  
 შავი ქათამი  
 ეშმაკი მელია  
 ჩემი მოხუცი ბებია  
 მაძლარი ძროხა  
 უფროსი და  
 მზრუნველი ძიძა

საგანწყობო სინტაგმების მიწოდების შემდეგ (რუსულ ენაზე ისინი მდებარეობითი სქესით ითარგმნებოდნენ) ცდისპირს სათარგმნად ეძლეოდა კრიტიკული სინტაგმები:

ჩემი ავი მეზობელი  
 ახალგაზრდა მსახიობი  
 ჩემი პირველი მასწავლებელი  
 ყურადღებიანი გამყიდველი

ეს სინტაგმები შეიძლება ითარგმნოს რუსულად როგორც მდებარეობით, ასევე მამრობით სქესში.

#### პირველი სერიის ცდების ანალიზი.

თავისთავად იგულისხმება, რომ ჩვენ ცდებში მონაწილეობდნენ ისეთი ქართველი ცდისპირები, რომლებიც თავისუფლად ფლობენ რუსულ ენას. განწყობის ტიპის მიხედვით ცდისპირთა მთელი ჯგუფი გაიყო ორ ნაწილად ერთ ჯგუფში შევიდნენ დინამიკური განწყობის მქონე პირები, ხოლო მეორეში სტატიკური ტიპები.

\*  
\*  
\*

ვინაიდან ჩვენ ძირითად ამოცანას ფიქსირებული განწყობის შემუშავების ტიპოლოგიური თავისებურებების ჩვენება შეადგენდა, შედეგების ანალიზი ამ თვალსაზრისით უნდა წარმართოს.

დავიწყით პირველი სერიის ცდების შედეგების ანალიზით. პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ აქ მკვეთრად გამოჩნდა ფიქსირებული განწყობის უდავო ეფექტი დინამიკური განწყობის მქონე ცდისპირებთან, განსაკუთრებით კრიტიკული სიტყვის თარგმნისას. ვინაიდან ცდისპირს უმუშავებოდა განწყობა მდებარეობითი სქესის სიტყვებზე კრიტიკული სიტყვები დინამიკურ ცდისპირთა 52 %-მა თარგმნა მდებარეობით სქესში, მაშინ როდესაც მამრობითში იგივე სიტყვები თარგმნა მხოლოდ ცდისპირთა 22 %-მა. ფიქსირებული განწყობის ეფექტი უფრო ნათელი გახდება, თუ ამ მონაცემებს შევადარებთ საკონტროლო ცდის შედეგებს. ამ ცდაში ეს სიტყვები თარგმნა მამრობით სქესში ცდისპირთა 80 და 92%. ხოლო მდებარეობითში მხოლოდ ცდისპირთა 10 და 3 %-მა.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ის სხვაობა, რომელიც უჩვენებს ამ სერიაში დინამიკურმა და სტატიკურმა ცდისპირებმა. თუ დინამიკური განწყობის ცდისპირებმა აშკარად გვიჩვენეს ფიქსირებული განწყობის ეფექტი, ამას ვერ ვიტყვით სტატიკურ პირებზე. ეს პირები ერთგულნი დარჩნენ მამრობითი სქესში. „მაცნე“, ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის სერია, 1982, № 3

სისადმი. ცდისპირთა 65 %-მა კრიტიკული სიტყვები თარგმნა მამრობით სქესში, მაშინ როდესაც დინამიკურ პირთა მხოლოდ 22%-მა ეს სიტყვები თარგმნა მამრობითით.

მაშასადამე, მიუხედავად იმისა, რომ როგორც ცნობილია, სტატიკურ ტიპს განწყობის ადვილი აგზნებადობა ახასიათებს, ამ ცდებში ისინი გარკვეულ მასალაზე ავლენდნენ შექმნილი განწყობის საწინააღმდეგო შედეგს, ქართულ ენაში მოცემული სოციალური ფაქტორის ზეგავლენის გამო. მაგალითად, ის, რაც ქართველებში უფრო მიეწერება მამაკაცს, რუსულად ითარგმნებოდა მამრობითი ვარიანტით, მიუხედავად იმისა, რომ საგანწყობო ცდებში მდებრობითის გამოყენება იყო ფიქსირებული. საკონტროლო ცდაში, რომელიც ჩატარდა ამა თუ იმ განწყობის შემუშავების გარეშე, კრიტიკული სიტყვები (სიტყვები, რომლებიც შეიძლება ითარგმნოს რუსულად როგორც მამრობით, ასევე მდებრობით სქესში) ცდისპირთა ორივე ტიპის მიერ ძირითადად (90 %, 80 %) ითარგმნა მამრობითში, რაც ისევ მიუთითებს სოციალური ფაქტორით შეპირობებული განწყობის გამოვლენაზე და რაც ადასტურებს საგანწყობო ცდების შედეგს მიღებულს სტატიკურ პირებთან.

მეორე სერიის ცდების ზოგადი შედეგი მდგომარეობს დინამიკური და სტატიკური ცდისპირების მონაცემების იგივეობაში. ორივე ჯგუფის ცდისპირს შეუძლებელია განწყობა მდებრობითი სქესისადმი.

რითია გამოწვეული პირველი და მეორე სერიის ცდების ასეთი სხვაობა? პირველ რიგში, მიწოდებული მასალით. თუ პირველ სერიაში მიწოდებული იყო იზოლირებული სიტყვები, რომლებიც დამოუკიდებელ ერთეულებს წარმოადგენდნენ, მეორე სერიის მასალას სინტაგმები შეადგენდნენ. სინტაგმა კონტექსტის უმარტივეს ფორმას წარმოადგენს, კონტექსტი კი მეტყველების წამყვანი ფორმაა.

Р. Г. ДЖВАРИШВИЛИ

## К ВОПРОСУ О НЕКОТОРЫХ ЛИЧНОСТНЫХ ФАКТОРАХ ПЕРЕВОДЧИКА В ПРОЦЕССЕ ПЕРЕВОДА

Резюме

В работе дана попытка экспериментального исследования индивидуальных особенностей эффекта фиксированной установки в процессе устного перевода. Эксперимент выявил различие в указанном эффекте между динамичными и статичными субъектами; в частности, в то время как у динамичных субъектов на определенном материале легко вырабатывалась соответствующая установка, статичным в выработке фиксированной установки мешал определенный социальный фактор.

ლიტერატურა

1. Миньяр-Белоручев Р. К. О механизме переключения с одного языка на другой в процессе устного перевода. «Вопросы психологии». 1974, № 6.
2. Узиадзе Д. Н. Психологические исследования. М., 1966.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის  
 დ. უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტმა

### 3. აუზიანი, ლ. ხანჩაველი

#### ფიქსირებული განწყობისა და ობიექტივაციის ურთიერთდამოკიდებულება აზროვნების პროცესის დროს

დღესდღეობით საკმაოდ აქტუალურად დგას ის საკითხები, რომლებიც ეხება აზროვნების პროცესს და მის შესაბამის აქტივობას. ეს გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ ხსენებული საკითხები უშუალოდ დაკავშირებულია კიბერ-ნეტიკის როგორც თეორიულ, აგრეთვე გამოყენებით ამოცანებთან. ორივე შემთხვევაში აქ საქმე გვაქვს მართვის პრობლემასთან. ეს პრობლემა ფსიქოლოგიაში, კერძოდ შემეცნების კვლევისას, შესაძლოა გაანალიზებულ იქნეს თვითმართვადი სისტემების ფუნქციონირების თვალთახედვიდან. მართლაც და, აღამიანი და მისი ფსიქიკა შეგვიძლია მივიჩნიოთ ყველაზე სრულყოფილ თვითმართვად სისტემად და ყველაზე ტიპიურ თვითმართვად სისტემად კი ისეთი სისტემა, სადაც მართვის როლს ასრულებს ინფორმაციის გადამუშავების სისტემა და სამართავი ობიექტისას კი ის ობიექტი, რომელსაც, როგორც წესი, უნდა ჰქონდეს ფიზიკური სახე და ექვემდებარებოდეს მართვას.

მაგალითად, მართვად ობიექტად შეგვიძლია მივიღოთ ესა თუ ის სამოქმედო (მოძრაობის) სისტემა, რომლის რეგულირება ხდება ტვინის ქერქის გარკვეული ნაწილის მეშვეობით.

ასეთი თვითმართვადი სისტემა შეიძლება დახასიათებულ იქნეს, როგორც ინფორმაციულ-ფიზიკური სისტემა. მაგრამ უნდა შევნიშნოთ ისიც, რომ ასეთი სქემა არაა საკმარისი ფსიქოლოგიური მოქმედების მართვადი დონეების ანალიზისათვის. ჩვენის აზრით, ფსიქოლოგიისათვის უფრო მეტ ინტერესს უნდა წარმოადგენდეს თვითმართვის ისეთი სტრუქტურა, სადაც როგორც მართვის, აგრეთვე სამართავი ობიექტები წარმოადგენენ ინფორმაციული პროცესების დონეებს. ამგვარ სისტემას კი, რომელიც უკვე სავსებით გამოსადეგია ფსიქოლოგიური კვლევისათვის, შეიძლება დაერქვას მართვის ფსიქოლოგ-ფსიქოლოგიური სისტემა. ორივე ინსტანციის მუშაობა-ფუნქციონირება ამ სისტემაში წარიმართება ფსიქოლოგიის დონეზე.

სწორედ ასეთ წმინდა ფსიქოლოგიურ თვითმართვად ინფორმაციულ სქემას მიაგნო დ. უზნაძემ. განწყობის კონცეფციის ის სახე, რომელიც დამუშავებულია დ. უზნაძისა და მისი მოწაფეების მიერ [6;7;3;4], თავისთავად გულ-ისხმობს ასეთ ფუნქციონალურ დონეებს, რომელიც დაკავშირებულია ერთმანეთთან „მართვადი ობიექტი — მმართველის“ კავშირის სახით. ამ სისტემაში ფსიქოლოგიური მართვის როლს ასრულებს თვით განწყობა, ხოლო სამართავი ობიექტის როლს — ფსიქოლოგიური პროცესების ერთობლიობა, მაგალითად პერცეფცია.

ისეთი მაღალინტელექტუალური პროცესების კვლევისას, რომლებიც აზროვნებითი მოქმედების შინაარსს წარმოადგენენ, შეიძლება გამოყენებულ იქ-

ნეს სწორედ ასეთი სახის სქემა, სადაც გათვალისწინებულია როგორც მართვის, აგრეთვე სამართავი ფსიქოლოგიური დონეები.

როგორც უხნაძეს მიაჩნდა, ჩვეულებრივად, სუბიექტის მთლიანი ფსიქიკის მუშაობა წარმართება იმ განწყობის მეშვეობით, რომელიც შეესაბამება გარკვეულ პირობებს, იქნება ეს გარემო სამყაროსთან მისი ურთიერთობის ხასიათი, თუ მისი შემეცნებისა და მოქმედების აქტების თავისებურებანი. მაგრამ სუბიექტის მოქმედებისას, როგორც წესი, წარმოიქმნება ისეთი სიტუაციებიც რომლებშიც შეუძლებელია ადრე შექმნილი ფიქსირებული განწყობების რეალიზაციის საშუალებით სათანადო მოთხოვნილებების დაკმაყოფილება. ესე იგი, ჩვეულ სიტუაციებში იმპულსურად ხდება ფიქსირებული განწყობის რეალიზაცია, ხოლო მოულოდნელ სიტუაციებში ხდება იმპულსური მოქმედების შეჩერება, ვინაიდან პიროვნების მოქმედებაში იჭრება უცნობი ელემენტები, რომლის მიმართ წარმოიშვება ახალი მოქმედების აუცილებლობა. აქ, ამ ეტაპზე კი უკვე ჩაერთვის ობიექტივაცია, რომლის სპეციალური ანალიზის საგანი ხდება ის უცხო ელემენტები, უცხო კავშირები და მიმართებები, რომლებიც ქმნიან შეფერხებას და თვით სიტუაციასაც [4,7].

თავის დროზე ნ. ელიავამ დასვა საკითხი, ერთის მხრივ, ობიექტივაციის, როგორც სპეციალური გნოსტიკური მოქმედების, რომელიც დეტერმინირებულია თვით შემეცნებითი მოთხოვნილებით, და, მეორეს მხრივ, ფიქსირებული განწყობის ურთიერთობის შესახებ. მან აღმოაჩინა შემეცნების მართვის მნიშვნელოვანი ფსიქოლოგიური კანონზომიერებანი სხვადასხვა დონეებზე გარკვეული ამოცანების გადაწყვეტისას [1].

ნ. ელიავას აზრით, ფიქსირებულ განწყობასა და ობიექტივაციას შორის უნდა არსებობდეს გარკვეული ურთიერთკავშირი, რომელმაც უნდა განაპირობოს ინტელექტუალური აქტივობა. სწორედ ობიექტივაციის დროს ხდება სიტუაციის შემადგენელი ელემენტების იმ ნიშან-თვისებათა გამოყოფა, რის საფუძველზეც არაადექვატური განწყობის ნაცვლად ფორმირდება ახალი აქტუალური სიტუაციის შესატყვისი განწყობების შემუშავება. ამ პროცესს მან დაარქვა განწყობის გადასაცვლება. უნდა ვიგულისხმოთ, რომ განწყობის გადასაცვლება არის გარკვეული სახის ინტელექტუალური აქტივობა. ამგვარი ინტელექტუალური აქტივობის დროს შესაძლებელია ობიექტივაციასა და ფიქსირებულ განწყობას შორის შემდეგი ურთიერთდამოკიდებულების არსებობა: ის კრიტიკული სიტუაცია, რომელიც თავდაპირველად კონფლიქტურად იყო აღქმული სუბიექტის მიერ და არ შეესაბამებოდა იმ ფიქსირებულ განწყობებს, რომლის რეალიზაცია ხდება იმპულსურ დონეზე, შემდგომი ობიექტივაციის პროცესის შედეგად აღიქმება უკვე ადეკვატურად. კონფლიქტი ამ შემთხვევაში წარმოშობილია ფიქსირებული განწყობის არაადექვატური გადატანით.

თავისთავად ობიექტივაციის და ფიქსირებული განწყობის გადასაცვლების სპეციფიკა და ურთიერთმიმართება წარმოადგენს გარკვეულ ინტერესს განწყობის თეორიის თვალსაზრისით. თვით ელიავას შრომებში ობიექტივაციისა და ფიქსირებული განწყობის კვლევა წარმოებს იმ მასალაზე, კერძოდ, იმ ამოცანების მეშვეობით, რომლებსაც შეიძლება პირობითად დაერქვას უწყვეტი სტრუქტურები [2]. აქ შეიძლება დაისვას საკითხი იმის შესახებ, თუ როგორი იქნება შემეცნებითი პროცესის კანონზომიერების სპეციფიკა თუ კი ამოცანის შინაარსი წარმოდგენილია დისკრეტულად, ესე იგი დამოუკიდებელი ელემენტების



გარკვეული ერთობლიობის სახით. ეს საინტერესოა იმიტომაც, რომ სწორედ ასე ხდება პრობლემური სიტუაციის პრეზენტაცია სხვადასხვა სახის ოპერატიული მოქმედების დროს [5].

1. ობიექტივაციის და ფიქსირებული განწყობის ურთიერთდამოკიდებულების კვლევისათვის ერთ-ერთ ასეთ დისკრეტულ ამოცანად შეიძლება მივიჩნიოთ „5“ თამაშის ამოცანები. ეს ამოცანები საინტერესო ექსპერიმენტულ მასალას წარმოადგენენ იმ თვალსაზრისით, რომ ისინი კარგად ესადაგებიან

1	2	3
0	4	5

ნახ. 1.

ჩვენს მიერ გამოყენებულ კვლევის საგანწყობო-კრიტიკულ სქემას. ეს ამოცანები შეიძლება დალაგდეს ისეთი მიმდევრობით, რომ ამ მიმდევრობის ყველა ამოცანას ერთი და იგივე ამოხსნა ჰქონდეს, რის შედეგადაც ცდისპირს უნდა გამოუმუშავდეს და განუმტკიცდეს ამოცანის ამოხსნის წესი ფიქსირებული განწყობის სახით. ეს კი შესაძლებელი იქნება იმ შემთხვევაში, თუკი ამოცანათა მიმდევრობა იქნება ექვივალენტური ე. ი. განურჩევლად საწყისი და სასრული პირობის ცვალებადობისა, ამოცანებს ერთნაირი ამოხსნა უნდა ჰქონდეს. სწორედ ამის შესაძლებლობას გვაძლევს „5“ თამაშის ამოცანები.

ამოცანა წარმოადგენს 2 ექვსჯერდიან ჩარჩოს, სადაც ყველა უჯრედს თავისი ნომერი გააჩნია (ნახ. 1). ნახ მ-ზე მოცემულია საგანწყობო და კრიტიკული ამოცანების ის ექვივალენტობა, რომელიც ჩვენს მიერ იყო აქ გამოყენებული. ასოები შეიძლება წარმოდგენილ იქნეს ნებისმიერი გამოსახულებით, მათ შორის რიცხვებითაც. ჩვენ ვიყენებთ რიცხვებს: 1, 2, 3, 4, 5. ამ რიცხვების განლაგების ცვალებადობას, როგორც ზემოთ იყო ნათქვამი, არ უნდა შეეცვალოს მთელი ამოცანის სტრუქტურა. ამის მიღწევა შეიძლებოდა სხვადასხვა წესით—ან ასოების მნიშვნელობა უნდა შეცვლილიყო ე. ი. ყველა ასოს მიეღო რიცხვების მნიშვნელობა 1-დან 5-მდე, ან კიდევ თითო ექვივალენტური მიმდევრობისათვის ყველა ასოს მუდმივი (უცვლელი) რიცხვითი მნიშვნელობა ჰქონოდა: ჩვენ ავირჩიეთ მეორე ხერხი, რომელიც უფრო მოხდენილი მოგვეჩვენა.




ა)



ბ)

ნახ. 2.

საგანწყობო (ა) და კრიტიკულ (ბ) ამოცანათა ექვივალენტობა




ნახ. 3.

საგანწყობო ამოცანების ექვივალენტური მიმდევრობა  
 (თუ ასოებს არ შეეუცვლით მნიშვნელობას)

როგორც ჩანს ნახ. 3-დან ხუთი ციფრის ნებისმიერი დალაგების მეშვეობით შეიძლება მივიღოთ ხუთი ექვივალენტური ამოცანა ისე, რომ ასოებმა თავისი რიცხვითი მნიშვნელობა არ შეიცვალოს.

ასევე შეიძლება წარმოდგენილი იქნეს კრიტიკული ამოცანების ექვივალენტური მიმდევრობა, რისთვისაც ჩვენ ვიყენებდით საგანწყობო ამოცანების შებრუნებულ ამოცანებს (ნახ. 4). აუცილებელი არ არის ასოებმა თავისი რიცხვითი მნიშვნელობა შეინარჩუნონ ცდის საგანწყობო ნაწილიდან კრიტიკულში გადასვლის დროს, მაგრამ თუ ეს ასე აღმოჩნდება, ეს გარემოება, როგორც წესი, ცდაზე არ იქონიებს გავლენას.



ნახ. 4.

კრიტიკული ამოცანების ექვივალენტური მიმდევრობა  
 (თუ ასოებს არ შეეუცვლით მნიშვნელობას)

ცდისპირს ამოცანა ეძლეოდა შემდეგი ინსტრუქციით: მას ეტლის სვლით, რომელიც გამოირიცხავდა დიაგონალურ სვლებს და გადახტომებს, რიცხვების K განლაგება უნდა გადაეყვანა M განლაგებაში (ნახ. 2 ა.). საგანწყობო ამოცანების ეს ექვივალენტური მიმდევრობა ცდისპირისათვის შეუმჩნეველად იცვ-

ლებოდა კრიტიკული მიმდევრობით, სადაც მას უკვე M სიტუაცია უნდა გადაეყვანა K სიტუაციაში (ნახ. 2 ბ).

მანიპულაცია ხდებოდა ფიქსირების საშუალებით, რომელზედაც ესა თუ ის რიცხვი ეწერა. ოღონდ ეს ფიქსურები აუცილებლად გადაბრუნებული უნდა ყოფილიყო. ესე იგი რიცხვები არ ჩანდა და ფიქსურები კი ზემოდან არაფრით არ განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან: ამიტომ, ცდისპირი ამოცანას რომ გასცნობოდა, ისინი სათითაოდ უნდა ენახა, რის შემდეგ ისევე ისე დაეღაგებინა.

ფიქსურების ასეთი დალაგება თავიდანვე გამორიცხავს სიტუაციის მთლიანობაში აღქმას. ცდისპირი იძულებულია თვითონ შექმნას თავის წარმოდგენაში მოცემული პრობლემური სიტუაცია. ჩვენ კი ეს საშუალებას გვაძლევს, ჯერ ერთი, აღვრიცხოთ და რაოდენობრივად გამოვხატოთ ყველა ასეთი სათითაო მოძრაობა და, მეორეც, გამოვამყლავნოთ თუ რომელ მიმართებას აღმოაჩენს პირველად ცდისპირი და, საერთოდ, რა ძირითადი მიმართებანია ის, რასაც ცდისპირი უნდა დაეყრდნოს ამ ამოცანის ოპტიმალური ამოხსნისათვის.

როგორც ადვილად ირკვევა, თვით ცდის ჩატარების ხასიათი განაპირობებს იმას, რომ ობიექტივაცია არ არის ერთი მთლიანი უწყვეტი აქტი, როგორც ეს შეიძლება ყოფილიყო ნ. ელიავას ექსპერიმენტებში. აქ ობიექტივაცია წარმოგვიდგება როგორც დისკრეტული პრობლემური სიტუაციის გაცნობის პროცესი და რაც უფრო ხშირი იქნება თითოეული ფიქსურის ნახვა, ჩვენ ვიტყვი, რომ მით უფრო ინტენსიურ ობიექტივაციასთან გვექონია საქმე.

გარდა ამისა, ექვივალენტური ამოცანების მიმდევრობითმა ამოხსნამ ხელი უნდა შეუწყოს იმას, რომ ის კონკრეტული მიმართებანი, რომლებიც არსებობენ საწყის და ბოლო სიტუაციების ფიქსურებს, ანუ ელემენტებს შორის და რომელსაც აღმოაჩენს ცდისპირი, უნდა იქნეს გადატანილი ერთი ამოცანიდან მეორეში. ცხადია ეს ეხება ექვივალენტურ ამოცანებს, რომლებსაც ერთნაირი ამოხსნა აქვს.

ამასთანავე ჩვენ შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ის განწყობა, რომელიც ფიქსირდება საგანწყობო ექვივალენტური ამოცანების ამოხსნის დროს, უნდა აუცილებლად შეფერხდეს კრიტიკულ ექვივალენტურ ამოცანებზე გადასვლისას. ამ ამოცანებზე გადასვლისას ცდისპირს უნდა წარმოეშვას კონფლიქტი უკვე დაფიქსირებულ განწყობასა და ახალ სიტუაციას შორის. ასეთმა კონფლიქტმა კი უნდა აიძულოს ცდისპირი ახალი ამოცანის ელემენტების იმ ნიშნისთვისებათა და მიმართულებათა ობიექტივირება, რომელიც მას ხელს უშლის ადეკვატური მოქმედებისას ახალი ამოცანის ამოხსნაში.

მართლაც ჩვენს ექსპერიმენტში შემჩნეულ იქნა სწორედ ისეთი მოვლენა, რომელიც თავისი მახასიათებლებით უნდა შეფასდეს როგორც განწყობის ფენომენი აზროვნების პროცესში. ექვივალენტობის შეცვლისას, ესე იგი ერთი სახის ექვივალენტური ამოცანებიდან მეორე სახის ექვივალენტურ ამოცანებზე გადასვლისას, თვალნათლივ მელავნდება ცდისპირის მოქმედების განწყობისეული ხასიათი — ფიქსირებული განწყობის გავლენა მართვის სახით ექვივალენტობის შეცვლისას ვლინდება როგორც დროის, ასევე ახალი სიტუაციის ობიექტივაციის რაოდენობრივ ზრდაში.

აქაც, ისევე როგორც დ. უზნაძის კლასიკურ ცდებში, ახალ სიტუაციათან შეხვედრისას ხდება მოქმედების ავტომატიზირებული კომპონენტების

შეჩერება, შეფერხება. ამგვარი შეფერხება თითქოსდა მოქმედების კონტროლის უფრო მაღალი დონის, კერძოდ, ობიექტივაციის ჩართვის აუცილებლობებს იწვევს.

ამგვარად, როგორც აღმოჩნდა, აზროვნებით პროცესის დროს შესაძლებელია ინტელექტუალური მოქმედების მართვის ორი დონის მუშაობის გამოყოფა — ფიქსირებული განწყობისა და ობიექტივაციის დონისა.

მართვის ფიქსირებული განწყობის დონე უზრუნველყოფს ავტომატიზირებული მოქმედების განხორციელებას, ჩვევების იმპულსურ რეალიზაციას, ობიექტივაციის მართვის დონე კი იძლევა შესაძლებლობას შეამოწმოს სუბიექტმა თავისი გამოცდილება-შესაძლებლობანი იმ მიზნის მიმართ, რომელსაც მან უნდა მიიღწიოს, ესე იგი კონტროლი გაუწიოს იმას, თუ რატომ წარმოიშვა კონფლიქტი და რა საშუალება შეიძლება არსებობდეს მის მოსახსნელად და გადასალახავად.

უნდა აღვნიშნოთ რომ კონტროლი სუბიექტის მოქმედების მიმართ და კონფლიქტის კონსტატაცია არის თვით ობიექტივაციის ერთ-ერთი აუცილებელი ფუნქცია. ეს ფუნქცია შეიძლება დახასიათებულ იქნეს, როგორც საკონტროლო. ობიექტივაციის ეს ფუნქცია მთავრდება იქ, სადაც ხდება ავტომატიზირებულ მოქმედებათა შეფერხების კონსტატაცია.

ობიექტივაციის მეორე ფუნქცია კი შესაძლოა დახასიათებული იქნეს როგორც გნოსტიკურ-შინაარსობრივი. ახალი სიტუაციის ნიშან-თვისებათა მოძებნის და ერთდროული ანალიზის დროს აღმოცენდება და ყალიბდება ამ სიტუაციის შესატყვისი როგორც ახალი განწყობა, აგრეთვე თვით აზროვნების პროცესის აღმოცენებაც.

სწორედ ინტელექტუალური ანუ აზროვნებითი მოქმედების ეს სპეციფიკური თავისებურებანი შესაძლებლობს იძლევა განვასხვავოთ ის განწყობა, რომელიც ყალიბდება, მაგალითად, არატოლი ბურთების მიწოდებისას, იმ განწყობისაგან რომელიც ფიქსირდება სააზროვნო-თებრათიული ამოცანების ამოხსნისას. შესაძლოა განვაზოგადოთ და ვთქვათ, რომ თვითმართვის ეს სქემა, რომელიც გულისხმობს მართვის და სამართავ ფსიქოლოგიურ დონეებს, სამართლიანია როგორც პირველი, აგრეთვე მეორე შემთხვევისთვისაც. განსხვავება მხოლოდ შინაარსობრივია პერცეპტული და ინტელექტუალური მოქმედების დროს. ესე იგი ჩვენ შეგვიძლია ხაზი გაუვსვათ ფიქსირებულ-განწყობისეული სქემის აბსოლუტურობას და ობიექტივაციის ენის პირობითობას.

ამიტომ ფსიქოლოგიური თვითმართვის დონის დასახასიათებლად აზროვნებით მოქმედებაში მიზანშეწონილია „ინტელექტუალური განწყობის“ ცნების გამოყენება.


ამის შემდეგ უკვე შეიძლება დაისვას იმ ფსიქოლოგიური სტრუქტურის კვლევის ამოცანა, რომელიც წარმოადგენს ობიექტივაციის და ფიქსირებულ-განწყობის შინაარსს პრობლემური სიტუაციების ამოხსნის დროს.

2. როგორც გამოიჩვენა, სააზროვნო-თებრათიული ამოცანის ამოხსნისას უმთავრეს მომენტს წარმოადგენს გადასვლა დანაშრბილი ფიქურების აღქმიდან ამოცანის მიზნის მიმართ ამ ფიქურებს შორის მიმართებების ასახვავზე. ამგვარი კანონზომიერება შენიშნულ იქნა აქ მოყვანილ მეორე ექსპერიმენტში.

ეს ექსპერიმენტი ასე ტარდებოდა: ცდისპირს ეძლეოდა ამოსახსნელად თამაში „5“-ის არა მხოლოდ ერთი ამოცანის ექვევალენტური მიმდევრობა.



რომელიც გარკვეულ ეტაპზე იცვლებოდა მეორე, კრიტიკული ექვივალენტობით, არამედ პირდაპირი და შებრუნებული ამოცანის წყვილ-წყვილი მიმდევრობა. ესე იგი ამ ექსპერიმენტში ჩვენ სპეციალურად გადაუხვებით საგანწყობო-კრიტიკულ სქემას (ნახ. 5).



ნახ. 5.

მეორე ექსპერიმენტის წყვილ ამოცანათა ექვივალენტობის მიმდევრობა

ამოცანათა წყვილში ის სიტუაცია, რომელიც მიზანს წარმოადგენდა პირველი ამოცანისათვის, მეორე ამოცანაში თამაშობდა საწყისი პირობის როლს. გარდა ამისა, პირველი ამოცანის საწყისი პირობა მეორე ამოცანაში უკვე სასრული პირობის როლს თამაშობდა. ესე იგი, პირდაპირი ამოცანის ამოხსნის შემდეგ ცდისპირს მაშინვე მის შებრუნებულ ამოცანაზე უნდა ებრუნა: თუ პირდაპირი ამოცანა მოითხოვდა K სიტუაციიდან M სიტუაციაში გადასვლას, შებრუნებული ამოცანა პირიქით, ცდისპირისაგან მოითხოვდა M სიტუაციიდან K სიტუაციაში გადასვლას.

ამ ექსპერიმენტში ჩვენ შესაძლებლობა გვქონდა თვალყური გვედევნებინა ობიექტივაციის შინაარსის შეცვლისათვის ამოცანების შეცვლასთან დაკავშირებით. ჩვენს მიერ დაშვებულ იქნა შემდეგი სამუშაო ჰიპოთეზა: თუ პირველი, ანუ პირდაპირი ამოცანის ამოხსნის შემდეგ მეორე ამოცანის ამოხსნაზე გადასვლისას წარმოიშვებოდა ის სიძნელეები, რომლებიც დაკავშირებული იყო ფიქურების ურთიერთგანლაგებასთან, მაშინ ეს სიძნელე ანუ ცდისპირის შეფერხება შესაძლებელი იქნებოდა აგვეხსნა იმ ფუნქციონალური სისტემების შეცვლით, რომელიც წარმოშვა სიტუაციის შეცვლამ. ასეთ შემთხვევაში ჩვენ შევძლებდით დაბეჯითებით გვეთქვა რომ ობიექტივაციის შინაარსს წარმოადგენს არა ცალკეული ფიქურები თავისი რიცხვითი მნიშვნელობით, არამედ თვით ფუნქციონალური სისტემის ელემენტები, რომლებშიც აისახება მოცემული ამოცანის საწყის და სასრულ სიტუაციათა ელემენტების ურთიერთმიმართება. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ ცდისპირი შეძლებს თვით ფიქურების განლაგება აღიქვას შეუფერხებლად ამოცანის საწყის და ბოლო სიტუაციებში, მაშინ ჩვენ მიერ დაშვებული ჰიპოთეზა მცდარი ყოფილა და ობიექტივაციის შინაარსად ჩათვლება ცალკეული ფიქურა, ესე იგი ის საგნები, ანუ ელემენტები, რომლისგანაც შედგება პრობლემური ამოცანა საწყისი და ბოლო პირობის ურთიერთმიმართების გარეშე.

ცდის შედეგად აღმოჩნდა, რომ ცდისპირთა უმრავლესობა ვერ მიხვდა ვერც მსგავს სიტუაციათა იგივეობას და ვერც იმას, რომ ისინი პირდაპირ და შებრუნებულ ამოცანას ხსნიან. ამასთან, არც ფიქურების კონკრეტულ მნიშ-

ენელობას უთამაშია რაიმე როლი. ცდისპირების მიერ ისინი განყენებულად აღიქმებოდნენ. ეს ფაქტი კი იმის მანიშნებელია, რომ დისკრეტული ამოცანების ამოხსნისას ასახვის უშუალო ობიექტს ანუ ობიექტივაციის შინაარსს წარმოადგენს არა თვით ფიქსირების განლაგება, როგორც ასეთი, არამედ ამოცანის საწყისი და სასრული სიტუაციების ფიქსირებას, ანუ ელემენტებს შორის მიმართებათ.

Певец, лишенный в лице дирижера — партнера, единомышленника и содруга по труду в искусстве, оказывается в трудном положении, так как последний не помогает ему обрести сценическую свободу, правду чувств. А раз не помогает, то, безусловно, мешает рождению живого музыкально-вокально-сценического действенного образа, скрывая тем самым творческие возможности певца, то есть основу исполнительства как искусства.

Справедливо замечал В. Г. Белинский, что всякое искусство есть творчество. А творчество исполнителя во время публичного выступления вместо того, чтобы быть всецело устремленным на создание правдивого вокально-сценического образа, коему предстоит родиться под

воздействием своеобразного «диалога» с публикой, при ее участии и непосредственном контакте с ней, под «насилением» дирижера-диктатора сводится к чисто формальной заботе о точном выполнении указаний последнего. При таком стремлении к воспроизведению «точного» темпо-ритма тускнеет, а то и вовсе утрачивается то главное в исполнительстве, без чего нет творчества, нет искусства, так сказать, жизненной силы исполнения.

В связи с вышеизложенным представляет большой интерес взаимоотношения Ф. И. Шаляпина с дирижерами, с которыми ему довелось работать.

Дело в том, что идеальный ритмист Шаляпин не выносил дирижерского самомнения и дирижеров, «тактирующих» механически и «чувствующих» только первую сильную долю такта. Он предпочитал скромных рядовых работников этим «тактоведам», и доходил до припадков гнева, когда ощущал на своей гибкой ритмоинтонации вес чужой руки [2].

Каждый, кто хорошо знаком с творчеством Шаляпина, знает, сколько судачили в музыкальных кругах того времени насчет его конфликтов с дирижерами, которые, как пишут современники, были источником ужасающей нервозности артиста. Великий певец спорил и не ладил со многими дирижерами, не исключая и Э. Ф. Направника. Хвалил и почитал только А. Тосканини и отчасти С. В. Рахманинова. Иногда ему нравился Эмиль Купер, но и то относительно. Не особенно признавал он Альберта Коутса. Расположен был к Д. И. Похитонову. Остальных всех почти всегда ругал и часто имел с ними столкновения, ибо не выносил железных оков «математического» ритма, а также механического «метрономного» темпа.

В темповых вариациях, как известно, Ф. И. Шаляпин был далеко не всегда постоянен. Иногда он очень замедлял фразу, давая идеально ровную линию звуков, то есть как бы подчеркивая, что вся нюансировка исчерпывается замедлением темпа. Иногда, наоборот, он вырывал из общего темпа какой-нибудь «кусочек» и уносил его стремительно вперед [6].

Малейшие неожиданные перемены темпа в момент исполнения вызвали гневный протест великого артиста, ибо «мешали» ему свободно творить на сцене — создавать убедительно-правдивый музыкально-сценический образ, встречая «сопротивление» темпо-ритмического пульса его личного темпа.

В результате происходил разлад между поведением и необходимым творческим самочувствием певца, выключая, уводя его из творческого состояния на сцене, от логики существования в образе, что, безусловно, крайне нежелательно. Видимо, поэтому все претензии Шаляпина к Э. Ф. Направнику, У. И. Авранеку и другим дирижерам касались именно темповых градаций, ибо каждая малейшая перемена темпо-ритма была далеко не безразлична артисту.

Справедливо подмечает Лия Ротбаум, певцы трудно переносят смену темпа. «Если темп меняется, — пишет она, — то вместе с этим для актера меняется степень интенсивности его «хотений» и устремленности к своей цели. Поэтому, чем выше актерское мастерство певца, тем труднее он переносит такого рода «землетрясения». Ведь он тогда в своем поведении ощущает явную фальшь, так как это не соответствует исходной мотивировке. Это вышибает его из ритма и порой даже нарушает синхронность исполнения с оркестром» [12].

Итак, все столкновения Шаляпина с дирижерами, отравляющие ему

радость творчества, были, бесспорно, обусловлены его темпо-ритмическими особенностями, в частности, особенностями его личного темпа, требовавшего некоторой свободы действия, т. е. нечто вроде *tempo rubato* для оптимальной творческой продуктивности артиста. Нужно полагать, что магическая сила воздействия искусства Шаляпина на публику объясняется не только его вокально-техническим совершенством, сценическим даром, но и редчайшей способностью исключительно умело находить собственный темпо-ритм исполняемого произведения (этот чрезвычайно важный компонент для создания образа, чего удается найти не каждому) для более гибкого использования его в высоких художественных целях и оправдания намеченных творческих задач. С помощью выработанного певцом идеального ритма в его исполнении чувствовалось то волшебное «чуть-чуть», та грань, которая отделяет подлинного творца-художника от того, что является ординарным и безличным в искусстве.

К счастью, дирижеры бывают разные. Вопреки дирижерам-диктаторам существуют и чуткие дирижеры-партнеры, которые понимают, что главное лицо спектакля — это певец-артист и поэтому дают ему творческую свободу в границах установленной интерпретации.

А когда дирижер и певец понимают друг друга, взаимотяготеют друг к другу, там и творческая дружба неминуема. Естественно, отсюда и «закрепление» совместных выступлений. И когда возникает их союз, то уходят все проблемы певца — дирижера.

Вот что пишет о подобных дирижерах Лия Ротбаум. «Дирижер-отец, не рассматривает себя как главенствующее лицо в спектакле, хотя держит жезл управления. Он понимает, что главным лицом во время представления является актер-певец, который непосредственно выражает мысли и чувства композитора. Такой дирижер отечески относится к певцу, всегда готовый прийти ему на помощь, максимально стимулировать творческую энергию актера. Если необходимо, он поведет оркестр за певцом, конечно, в пределах, допускаемых общей дисциплиной спектакля. Во всяком случае, он оставляет певцу известную свободу в границах установленного толкования, не указывая палочкой всех подробностей исполнения, когда в этом нет необходимости» [12].

И наконец, существует еще один тип, родственный типу дирижера-отца, — дирижер-партнер. «Соблюдая полное совпадение интерпретации каждой фразы с ее психологической мотивировкой, он, ведя спектакль, живет жизнью каждого героя, каждого актера на сцене, нередко случается, что он незаметно для себя самого шепчет текст или беззвучно поет вместе с певцом, синхронно с ним дышит — словом, становится его истинным неразлучным партнером... Таким путем дирижер помогает исполнителю сохранить внутренний драматический ритм образа — неиссякаемый родник актерской воли и энергии» [12].

В связи с вышеизложенным вспоминается интересный разговор Ф. И. Шаляпина с дирижером Мариинского театра Ф. М. Blumenфельдом.

«— Ты, Федя, часто сердись на нас, дирижеров, за то, что мы не додерживаем или передерживаем твои паузы, говорил Blumenфельд Шаляпину.

— А как же угадать длительность этих пауз?

— Очень просто, — отвечал Шаляпин, — переживи их со мной и попадешь в точку» [10].



Подобные «поучения» выслушивал от певца и дирижер Д. И. Похитонов: «Вы, дирижеры, — говорил он, — слишком уж заняты вашими кларнетами и фаготами. Конечно, все это нужно: музыкальная часть должна быть на должной высоте, но необходимо также, чтобы дирижер жил одной жизнью со сценой, с нами, актерами» [10].

И Ф. И. Шалапин был глубоко прав.

Безусловно, для певца наиболее желателен именно дирижер-партнер, отец, наилучшим образом стимулирующий его творческую энергию, который, ведя спектакль, живет одной жизнью с каждым актером — героем на сцене, способствуя максимальной плодотворности поведения исполнителя на сцене.

Итак, как явствует из вышесказанного, в оперном театре некоторые дирижеры не уделяют должного внимания индивидуальным особенностям певца, в частности, особенностям его личного темпа. Кстати сказать, принципы работы оперного дирижера с певцом, к сожалению, по сей день все еще мало разработаны.

А. М. Пазовский оставил нам книгу «Дирижер и певец» — плод его размышлений и опыта. На каждой ее странице чувствуется забота о певце-исполнителе. Однако и его принципы еще далеки от той стройной системы, которой должны следовать дирижеры во взаимоотношениях с певцом в процессе их совместного творчества.

Нам кажется, что учет дирижером особенностей личного темпа исполнителя сыграет положительную роль как в их взаимоотношениях в процессе работы, так и в выявлении художественно-исполнительских качеств певца.

Обобщая все вышесказанное, можно сделать заключение, что музыкант-исполнитель не пассивно воспринимает темпо-ритм музыкального произведения, а является личностью с собственной структурой личного темпа. Последний активно вмешивается в течение процесса восприятия в структуру темпо-ритма музыкального произведения, согласует его с собственными возможностями, изменяет и лишь после этого производит его ассимиляцию.

Исходя из перспективности для музыкально-вокальной педагогики и исполнительства изучения психологических особенностей личного темпа студента-исполнителя, а также влияния его личного темпа на восприятие-репродуцирование музыкального темпо-ритма, считаем необходимым в ближайшее время провести в этом плане широкую сеть экспериментов.

Музыкально-вокальным педагогам, незнакомым с вышесказанными вопросами, трудно самостоятельно провести научные исследования в этом направлении. Поэтому они должны вестись в содружестве с учеными психологами. К сожалению, сегодня все еще отсутствуют нужные условия для совместной работы с ними.

Между тем неизбежность союза музыкального, в частности, вокального искусства и науки в век бурного научно-технического прогресса представляется очевидной и особенно злободневной проблемой.

Ощущается острая необходимость в создании в Тбилисской гос. консерватории им. В. Сараджишвили научно-психологической лаборатории, на базе которой с участием ученых психологов можно будет разработать насущные вопросы музыкально-вокальной педагогики и исполнительства, в частности, проводить как экспериментально-теоретические исследования психологических особенностей личного темпа студентов-исполнителей при восприятии и усвоении музыкального произведения, так и осуществить внедрение полученных результатов в практическую деятельность музыкально-вокальных педагогов.

Основная цель нашего предложения состоит в том, что оно, безусловно, будет способствовать дальнейшему повышению эффективности педагогического воздействия на основе достижений науки, а также претворению в жизнь решений XXVI съезда КПСС о более полном использовании научного потенциала вузов и VI пленума ЦК КП Грузии о практической реализации достижений науки (14—15 мая 1982 г.).

#### ЛИТЕРАТУРА

1. Асафьев Б. Музыкальная форма как процесс, кн. II. Интонация, Л., 1963, с. 299.
2. Асафьев Б., Шаляпин. В кн.: Ф. И. Шаляпин, М., 1960, т. II, с. 141.
3. Беляева-Экземплярская С. Н. Об экспериментальном исследовании субъективного отсчета времени человеком. «Вопросы психологии», 1965, № 5, с. 67.
4. Вальтер Бруно, О музыке и музицировании. В кн.: Исполнительское искусство зарубежных стран, вып. I, М., 1962, с. 14.
5. Гарбузов Н. А. Зонная природа темпа и ритма. М., 1960
6. Левиц С. Ю. Записки оперного певца. М., 1962, с. 498.
7. Lettres de Claude Debussy à son eduteur, Paris, 1927, p. 158.
8. Метнер Н. К. Повседневная работа пианиста и композитора. М., 1963, с. 25.
9. Мюшш Шарль. Я — дирижер. М., 1965, с. 57.
10. Пехитонов Д. Из прошлого русской оперы. В кн.: Ф. И. Шаляпин. М., 1960, т. II, с. 272.
11. Римский-Корсаков Н. А. Летопись моей музыкальной жизни. М., 1928, с. 28, 145, 320, 321.
12. Ротбаум Л. Опера и ее сценическое воплощение. М., 1960, с. 229, 230, 231, 232.
13. Сборник «Воспоминания о Рахманинове», т. I, изд. 2-е. М., 1961, с. 457—458.
14. Чайковский П. И. Полн. собран. соч., т. 32-а. М.—Л., 1951, с. 5.
15. Chavez S. Musikal thought, Cambridge-Mass, 1961, p. 100.
16. Штейман М. О. Ф. И. Шаляпин. Моя совместная работа с ним. См.: Сб.: «Вопросы теории и эстетики музыки», вып. II, Л., 1972, с. 212.
17. Эсебуа Р. Ш. Психологические особенности взаимодействия привычного и связанного темпо-ритма в условиях воздействия функциональной музыки. Диссертация на соиск. уч. степени канд. психол. наук. Тбилиси, 1981.

Представлена Институтом психологии  
им. Д. Н. Узнадзе АН ГССР

## ახალი თარგმანები

რენე ლეპარტი

### მსჯელობა მეთოდის შესახებ

გონების კარგად წარმართვისათვის და მიენიერებაში მუშაობისათვის კიბისათვის\*

#### IV

არც კი ვიცი, უნდა ვილაპარაკო თუ არა ჩემ პირველ მედიტაციებზე ამ სტეროში: რადგან ესენი იმდენად მეტაფიზიკურნი და ნაკლებ საყოველთაოანი არიან, რომ შეიძლება ყველას მოწონება ვერ დაიმსახურონ. და მაინც, იმისთვის, რომ შესაძლებელი იყოს მსჯელობა, თუ რამდენად მყარია ჩემს მიერ მიღებული საფუძვლები, ერთგვარად იძულებულიც ვარ ვილაპარაკო მათ შესახებ. დიდი ხნის წინათვე შევნიშნე, რომ ზნეთა საკითხებში ზოგჯერ საჭიროა უაღრესად არაუეჭველ შეხედულებებს მივყვეთ ისე, თითქოს ისინი უდავოანი იყონ, როგორც უკვე მოგახსენეთ ზემოთ. მაგრამ რადგანაც იმ დროს მე მსურდა დაკავებული ვყოფილიყავი მხოლოდ ჭეშმარიტების ძიებით, ჩავთვალე, რომ პირიქით უნდა მოვქცეულიყავი, ანუ უნდა უკუმეგდო როგორც აბსოლუტურად ყალბი ყოველივე ის, რაშიც თუნდაც უმცირესი დაეჭვება შემქმნო, რათა მენახა, ხომ არ დარჩებოდა ამის შემდეგ ჩემს შეხედულებებში რაიმე საესებით უეჭველი. ასე, მაგალითად, ვინაიდან შეგარძნებები ზოგჯერ გვატყუებენ, მე დავუშვი. რომ არც ერთი სავანი არ არის ისეთი, როგორცაც მას შეგარძნებები წარმოგვადგენინებენ; ვინაიდან არიან ადამიანები, რომლებიც გეომეტრიის უმარტივეს საკითხებშიც კი სცდებიან და პარალოგიზმებს უშვებენ, მე ვთვლიდი, რომ სხვებზე ნაკლებ არც მე შეიძლებოდა შევმცდარიყავი, და ამიტომ უკუვადე, როგორც ყალბი, ყველა ის საფუძველი, რომელზედაც აღრე ვაგებდი ჩემს დასაბუთებებს; და, დასასრულ, მხედველობაში მივიღე რა, რომ იგივე აზრები, რომლებიც ფხიზელ მდგომარეობაში გავაჩნია, შეიძლება ძილშიაც გექონდეს, ისე რომ არც ერთი მათგანი ჭეშმარიტი არ იყოს, გადავწყვიტე წარმოემსახა, რომ ყველაფერი, რაც კი ოდესმე აზრად მომსეღია, არ იყო ჩემი სიზმრების ხილვებზე უფრო ჭეშმარიტი, მაგრამ მაშინვე მივაქციე ყურადღება იმ გარემოებას, რომ, თუმცა ვუშვებდი იმ აზრს, რომ ყოველივე ყალბია, აუცილებლობას წარმოადგენდა ის, რომ მე, რომელიც ამას ვფიქრობდი, ვყოფილიყავი რაღაც. და, ვამჩნევდი რა, რომ ჭეშმარიტება „ვაზროვნებ, მასასადამე ვარ“ — ისე მყარი და ეჭმიუტანელია, რომ სკეპტიკოსთა ყველაზე უფრო ახირებულ დაშვებებსაც (suppositions) კი არ ძალუძთ მისი შერყევა, მე განესაჯე, რომ უშიშრად შემქმნო მისი მიღება ჩემს მიერ ძიებული ფილოსოფიის პირველ პრინციპად.

\* დასაწყისი იხ. „მაცნე“, ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის სერია, 1982, № 2.

შემდეგ, გადავსინჯე რა ყურადღებით, თუ რა ვარ მე, და დავინახე რა, რომ შემიძლია ვიფიქრო, სხეული არა მაქვს-მეთქი და არ არსებობს-მეთქი არავითარი სამყარო და არავითარი ადგილი, სადაც ვიმყოფები, მაგრამ ვერაფრით ვერ წარმომედგინა მე არ ვარ-მეთქი, და რომ პირიქით, იქიდან, რომ ეჭვი მეპარება სხვა საგნების ქეშმარიტობაში, თვალსაჩინოდ და ფრიალ უეჭველად გამომდინარეობს ის, რომ ვარსებობ, მაშინ როცა, თუკი შევწყვეტ აზროვნებას, თუნდაც ყოველივე დანარჩენი, რაც კი წარმომიდგენია, ქეშმარიტი იყოს, მაინც არავითარი საფუძველი აღარ მექნება ვირწმუნო, რომ მიარსებია, აქედან მე შევიცანი, რომ ვყოფილვარ ისეთი სუბსტანცია, რომლის მთელი არსება ანუ ბუნება მხოლოდ და მხოლოდ აზროვნებაში მდგომარეობს და რომელიც არსებობისათვის არ საჭიროებს ადგილს და დამოკიდებული არ არის არავითარ მატერიალურ საგანზე. ამგვარად, ეს მე ვარ ანუ სულია, რაც მე მხდის იმად, რაც ვარ; იგი საგნებით გარჩეულია სხეულისაგან და პირველის შემეცნება უფრო ადვილია, ვიდრე მეორისა. და სხეული რომ სულაც არ არსებობდეს, სული არ შეწყვეტდა ყოველივე იმად ყოფნას, რაც იგი არის.

შემდეგ ზოგადად განვიხილე, თუ რა არის საჭირო ამა თუ იმ დებულების ქეშმარიტობისა და უეჭველობისათვის; რადგან, თუმცა მჭონდა ცოტა ხნის წინ ნაპოვნი ასეთი დებულება, მე მიმაჩნდა, რომ ისიც უნდა მიკონფიდა, თუ რაში მდგომარეობს ეს უეჭველობა; და, შევნიშნე რა, რომ დებულებაში „ვაზროვნებ. მაშასადამე ვარ“ არაფერია ისეთი, რაც დამარწმუნებს იმაში, რომ ქეშმარიტებას ვამბობ, თუ არ ის, რომ ძალიან ნათლად ვხედავ, რომ იმისათვის, რომ იაზროვნო, უნდა იყო, მე განვსაჯე, რომ ზოგად წესად შემიძლია მივიღო შემდეგი: ყოველფერი, რასაც საესებით ნათლად და მკაფიოდ მოვიზრებთ (conceivent) ქეშმარიტია. თუმცა, ერთგვარი სირთულე მდგომარეობს იმის სწორ გარჩევაში, თუ სახელდობრ რისი საესებით მკაფიოდ მოაზრების უნარი შევქვევს.

ამის შემდეგ, მოვხდინე რა რეფლექსია იმაზე, რომ ვეჭვობ და რომ, მაშასადამე, ჩემი არსება არ ყოფილა სრულქმნილი, რადგან ნათლად ვხედავდი, რომ ცოდნა უფრო დიდი სრულყოფილებაა, ვიდრე ეჭვი, დავიწყე ძიება, თუ საიდან ვისწავლე ჩემს საკუთარ თავზე უფრო სრულყოფილის მოაზრება, და ნათლად შევიცანი, რომ ეს შეიძლება მომდინარეობდეს მხოლოდ რაღაც ისეთი ბუნებისაგან, რომელიც მართლაც უფრო სრულყოფილია. რაც შეეხება აზრებს, რომელიც მე მჭონდა ჩემს გარეთ მყოფი მრავალი საგნის შესახებ, როგორცაა ცა, მიწა, სინათლე, სითბო და სხვა მრავალი, ჩემთვის დიდ გასაკვირს არ წარმოადგენდა იმაზე პასუხი, თუ საიდან მომდინარებენ ისინი (ეს აზრები); რადგან, ვერ ვხედავდი რა მათში ისეთ რაიმეს, რაც მათ ჩემზე უპირატესად გახდოდა, მე შემეძლო მეფიქრა, რომ ამ აზრების ქეშმარიტობა ჩემს ბუნებაზეა დამოკიდებული, რამდინადაც მას რაღაც სრულყოფილება გააჩნია, ხოლო თუ ისინი ყალბნი არიან, მაშინ ისინი არარასაგან წარმოსდგებიან. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ისინი ჩემში არიან რაღაც ისეთი ნაკლის გამო, რომელიც მე გამაჩნია. მაგრამ ყველივე ეს ვერ შეეხება ჩემზე უფრო სრულყოფილი არსების იდეას, რადგან მისი მიღება არარასაგან აშკარად შეუძლებელი რამ არის. და ვინაიდან არანაკლებ შეუძლებელია, რომ უფრო სრულყოფილი ნაკლებ სრულყოფილის შედეგი იყოს ან დამოკიდებული იყოს მასზე, ვიდრე ის, რომ არარასაგან წარმოიშობოდეს რაღაცა, მე ამ იდეას ვერც ჩემი თავიდან გამოვიყვანდი. ამგვარად, სხვა გამოსავალი აღარ მჩეხებოდა, თუ არ იმის აღიარება, რომ ეს



იდეა ჩემში ჩადებული ყოფილა რაღაც მართლაც ჩემზე უფრო სრულყოფილი ბუნების მიერ, რომელიც თავისთავში აერთიანებს ყველა სრულყოფილებებს, რომელთა იდეაც კი შეიძლება მქონდეს. ანუ, ერთი სიტყვით რომ ვთქვათ, ღმერთის მიერ. ამას დავმატებ, რომ, რამდენადაც მი ვციც ზოგიერთი სრულყოფა, რომელიც თვითონ არ გამაჩნია, მე არ ვყოფილვარ ერთადერთი არსება, რომელიც ვარსებობ (თუ ნებას დამრთავთ, თავისუფლად გამოვიყენებ სქოლასტიკოსთა ამ ტერმინს), არამედ აუცილებელია არსებობდეს რაღაც სხვა უფრო სრულყოფილი არსებაც, რომელზედაც დამოკიდებული ვარ და რომლისგანაც მივიღე ყველაფერი, რაც გამაჩნია: რადგან, რომ ვიყო ერთადერთი და ყოველივე სხვისგან დამოუკიდებელი, ისე რომ ჩემით გამაჩნდეს მთელი ის მცირედი, რითაც ზიარი ვარ სრულყოფილი არსებისა, მაშინ ამავე მიზეზით შეიმძებოდა ჩემით მქონოდა ყოველივე ისიც, რაც ვიცი, რომ მაქვია, და, ამგვარად, მი თვითონ ვყოფილიყავი უსასრულო, მარადიული, უქცეველი, ყოველისმცოდნე, ყოველისმემძლე და, დასასრულ, მქონოდა ყველა ის სრულყოფა, რომელსაც ღმერთში ვხედავ; რადგან ამ მსჯელობის მიხედვით, რომელიც ახლა წარმოვადგინე ღვთის ბუნების შემეცნებისათვის, რამდენადაც ასეთი შემეცნება ძლიმიძს, მე სხვა არა მჩებოდა რა გარდა იმისა, რომ განმეხრლა ყველაფერი, რისი იდეაც კი გამაჩნდა, იმ თვალსაზრისით, წარმოადგენს თუ არა სრულყოფილებას ამ თვისებების ქონა, და ამით დავაწმუნებელიყავი, რომ არაფერი, რასაც კი რაიმე არასრულყოფილების ნიშან-წყალი აქვს, მასში (ღმერთში) არაა, ხოლო ყოველივე სხვა მასშია. ამგვარად, მასში არ შეიძლება იყოს ეჭვი, მერყეობა, სეჟდა და სხვა ამგვარები, რამდენადაც მათი უქონლობა მე თვითონ გამახარებდა. ვარდა ამისა, მრავალი ვრძნობადი და ზორციელი საგნის იდეა მქონდა; რადგან, თუმცა ვუშვებდი, რომ სიზმარში ვარ და ყველაფერი ჩემს მიერ ხილული და წარმოსახვითი ყალბია, მე მაინც ვერ ურყეოვდი, რომ ეს იდეები მართლაც არიან ჩემს აზროვნებაში. მას შემდეგ, რაც ძალიან ნათლად შევიცანი, რომ ჩემში გონიერი (intelligente) ბუნება ვანსხვადგება ზორციელისაგან, და გავითვალისწინე, რომ ყოველრეე შეერთებულობა მოწმობს დამოკიდებულებას, ხოლო დამოკიდებულობა აშკარა ნაკლს წარმოადგენს, აქედან დავასკვენი, რომ ამ ორი ბუნებისაგან შეიღვარება ვერ იქნებოდა სრულყოფილება ღმერთისათვის და რომ, მამასაღამე; იგი არც შეიღვება ამ ორი ბუნებისაგან. მაგრამ თუ სამყაროში მიანივ არსებობენ რაღაც სხეულები ან რაღაც გონებანი თუ სხვა ბუნებანი, რომლებიც არ არიან სასებოთ სრულყოფილნი, მათი არსებობა დამოკიდებული უნდა იყოს მის (ღმერთის) ძლიერებაზე იმგვარად, რომ მის გარეშე ისინი ერთ წუთსაც კი ვერ უნდა მყოფობდნენ (subsister).

ამის შემდეგ მოვინდომე სხვა ქეშმარიტებათა მაგალითი მომენახა. შეეჩერდი გეომეტრების საგანზე, რომელიც წარმოემდგინა უწყვეტ სხეულად ანუ სივრცესა, სივრცესა და სიმაღლეში, ან კიდევ სიღრმეში უსასრულოდ განფენილ სივრცედ. ეს სივრცე გაყოფადია სხვადასხვა ნაწილებად, რომელთაც შეიძლება სხვადასხვა მოყვანილობა და სიდიდე მქონდეთ და შეიძლება გადაადგილებულ იქნენ ყოველნაირად, რადგან გეომეტრები ყოველივე ამას ვარაუდობენ თავის საგანში; გადავხედე მათს ზოგიერთ უმარტივეს დასაბუთებებს და, მივიღე რა მხედველობაში, რომ ის დიდი უეჭველობა, რასაც ყველანი ამ დასაბუთებებს მიაწერენ, მხოლოდ იმას ეფუძნება, რომ ამ დასაბუთებებს ცხადად ვიზარებთ, მე, — გავყევი რა ჩემს ზემოთ უკვე მოხსენებულ წესს,—

სიფრთხილე გამოვიჩინე და ისიც გავითვალისწინე, რომ მათში არაფერი ისეთი არ არის, რაც დამარწმუნებდა გეომეტრთა ამ საგნის არსებობაში; რადგან, მაგალითად, კარგად ვხედავდი, რომ, თუ დავუშვებთ სამკუთხედის არსებობას, აუცილებელია რომ მის კუთხეთა ჯამი ორ მართს უდრიდეს, მაგრამ მიუხედავად ამისა ვერაფერი ვხედავდი ისეთს, რაც დამარწმუნებდა ქვეყნად თუნდაც ერთი რომელიმე სამკუთხედის არსებობაში; ხოლო როცა დავუბრუნდებოდი სრულყოფილი არსების იმ იდეის განხილვას, რომელიც გამაჩნდა, ვხედავდი, რომ ეს იდეა არსებობას შეიცავდა იმგვარადვე, როგორც სამკუთხედის იდეა შეიცავს მის კუთხეთა ტოლობას ორი მართი კუთხისათვის, ან სფეროს იდეა მისი ყველა წერტილის თანაბარ დაშორებას ცენტრისაგან, და, შესაძლებელია, უფრო ცხადადაც კი; ხოლო აქედან გამომდინარე, სულ ცოტა, იმდენადვე უეჭველი მანც არის, რომ ღმერთი, ესოდენ სრულყოფილი არსება, არის ანუ არსებობს, რამდენადაც შეიძლება უეჭველი იყოს გეომეტრიის ნებისმიერი დასაბუთება. მაგრამ იმის მიზეზი, რომ ბევრნი თავს ირწმუნებენ, ძნელია ღმერთის შემეცნება,\* უფრო, მეტიც — ძნელია იმის შემეცნება, თუ რა არის ჩვენი სული, იმაში მდგომარეობს, რომ ისინი თავისი გონებით ვერასოდეს ვერ მაღლებიან გრძნობად საგნებს ზემოთ და ისე არიან მიჩვეულნი, არაფერი არ განიხილონ სხვაგვარად, თუ არ მისი წარმოსახვის გზით (რაც მოაზრების მხოლოდ ერთი კერძო სახეა, მატერიალური საგნებისათვის განკუთვნილი), რომ ყოველივე წარმოუსახედავს მათ მოუაზრებადადაც ეჩვენებათ: ეს იქიდანაცაა საკმარისად ნათელი, რომ ზოგი ფილოსოფოსებიც კი თავიანთ სკოლებს საფუძვლად უდებენ დებულებას, არაფერი არაა გონებაში, რაც მანამდე არ ყოფილა შეგარძნებაში, თუმცა უეჭველია, რომ ღმერთსა და სულის იდეები იქ არასდროს არ ყოფილა. ვფიქრობთ, რომ ისინი, ვისაც მსურთ წარმოსახვით ისარგებლონ რათა გაიგონ ეს იდეები, ისევე იქცევიან, როგორც ისინი, ვინც მოიწადინებს თვალების გამოყენებას ბევრათა გასაგონად ან სუნის შესაგრძნობად, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ მხედველობის შეგარძნება არანაკლებ გვარწმუნებს საგანთა ჭეშმარიტობაში, ვიდრე ყნოსვისა ან სმენისა, მაშინ როდესაც ვერც ჩვენი წარმოსახვა, ვერც ჩვენი შეგარძნებები ვერასოდეს ვერ დავგარწმუნებენ რაიმეში, თუ საქმეში არ ჩაერია ჩვენი გონება.

და ბოლოს, თუ მაინც კიდევ არსებობენ აღმანიები, რომელთაც აქ მოყვანილი საბუთები საკმარისად ვერ დაარწმუნებენ ღმერთისა და მათი სულის არსებობაში, მაშინ მათ უნდა შეიგონონ, რომ სხვა ყველაფერი, რაშიც ისინი, შესაძლებელია, უფრო დარწმუნებულნი არიან — ის, რომ აქვთ სხეული, არსებობენ ვარსკვლავები, დედამიწა და სხვა ამგვარი — ნაკლებ უეჭველია; რადგან გარდა იმისა, რომ გვაქვს მორალური დარწმუნებულობა ამ საგანთა (ღმერთი და სული) არსებობისა, რომელიც იმგვარია, რომ, სულ ცოტა, ახირებულობად მაინც გამოიყურება მათში შეეჭვება, ამასთანავე — როცა საქმე მეტაფიზიკურ უეჭველობას ეხება — შეუძლებელია ლოგიკური თანმიმდევრობიდან ვადაჩრის გარეშე იმას უარყოფა, რომ იმისათვის, რათა სასებით დარწმუნებულნი ვერ ვიყოთ ჩვენი სხეულის, ვარსკვლავებისა და დედამიწის არსებობაში, საკმარისია გავითვალისწინოთ შემდეგი: შესაძლებელია ასევე წარმოვიდგინოთ ძილში, რომ სხვა სხეული გვაქვს, ან რომ სხვა ვარსკვლავებს და სხვა დედამიწას ვხედავთ, მაშინ როცა სინამდვილეში მსგავსი არაფერი არსებობს. რადგან საიდან ვიცით, რომ სიზმარში მოსული აზრები უფრო ყალბია, ვიდრე სხვები, თუკი სწორად ისინი ასევე ცხოველნი და

მეტყველნი არიან? დაე, საუკეთესო გონებებმა ირკვიონ ეს, რამდენიც შესურთ; არა მგონია, რომ მათ შეძლონ რაიმე საკმარისი საფუძვლის მოყვანა ამ ეჭვის დასაბამილგზად, იუჟი არ დაუშვეს ღმერთის არსებობა; რადგან, ჯერ ერთი, თვითონ ჩემს მიერ მიღებულ წესს, სახელობრ, იმას, რომ საგნები, რომელთაც ჩვენ ძალიან ნათლად და მკაფიოდ ვიპოვებთ, საესებით ჰქვამარიტია, ძალია აქვს მხოლოდ იმის წყალობით, რომ ღმერთი არის ანუ არსებობს და რომ იგი სრულყოფილი არსებია, რომლისგანაც მომდინარეობს ყველაფერი, რაც კი არის ჩვენში; შემდეგ, თქმულიდან გამომდინარეობს ის, რომ ჩვენი იდეები ანუ ცნებები, არიან რა რეალური საგნები, რომლებიც ღმერთისაგან მომდინარეობენ, ყოველივე იმაში, რაც კი მათში ნათელი და მკაფიოა, მხოლოდ ჰქვამარიტნი ყოფიან. ასე რომ, თუ საკმაოდ ხშირად გვაქვს სიყალბის შემცველი იდეები და ცნებები, ეს მხოლოდ ისეთი იდეები და ცნებები შეიძლება იყოს, რომლებიც შეიცავენ რაღაცა აღრეტლსა (confus) და ბუნღოვანს (obscur) იმის გამო, რომ ისინი ზიარნი არიან არარასი. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ისინი ჩვენში არიან მხოლოდ იმის გამო, რომ თვით ჩვენ არა ვართ საესებით სრულყოფილნი. ცხადია, რომ ისევე მიუღებელია სიყალბე და არასრულყოფილება, როგორც ასეთები, ღვთისაგან მომდინარეად ჩავთვალოთ, როგორც ის, რომ ჰქვამარიტება ან სრულყოფილება არარასაგან მომდინარეად მივიჩნოთ, მაგრამ რომ არ ვიცოდეთ, რომ ყველაფერი, რაც ჩვენში არს რეალური და ჰქვმარიტი, მომდინარეობს სრულყოფილი და უსასრულო არსებისაგან, რაც უნდა ნათელი და მკაფიო ყოფილიყო ჩვენი იდეები, მაინც არავითარი საფუძვლი არ გვექნებოდა დავრწმუნებულიყავით, რომ მათ გააჩნით ის სრულყოფილება, რომ ჰქვმარიტნი არიან.

მას შემდეგ, რაც ღმერთისა და სულის შემეცნებამ ჩვენთვის ამგვარად უეჭველი გახადა ხსენებული წესი, ადვილი მისახვედრია, რომ სიზმრებმა არავითარ შემთხვევაში არ უნდა გვაიძულონ ეჭვი შეგვეპაროს იმ აზრთა ჰქვმარიტობაში, რომლებიც ცხადში გავაეჩინია. რადგან, თუნდაც ისე მოხდეს, რომ საესებით მკაფიო რაღაც იდეა ძილში მოგვივიდეს, მაგალითად, გეომეტრმა აღმოაჩინოს რაღაც ახალი დასაბუთება, მისი სიზმრობა ხელს ვერ შეუშლის ამ დასაბუთების ჰქვმარიტობას. რაც შეეხება ყველაზე ჩვეულებრივ შეცდომას, გამოწვეულს ჩვენი სიზმრებით, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ სიზმრები ჩვენ წარმოგვიდგენენ სხვადასხვა საგნებს ზუსტად ისევე, როგორც მათ წარმოგვიდგენენ ჩვენი გარეგანი შეგრძნებები, აქ არა აქვს მნიშვნელობა იმას, რომ ეს სიყალბე საბაზს ვეაძლევს დავეჭვდეთ ამგვარ იდეათა ჰქვმარიტობაში. რადგან მათ სიზმრის გარეშეც შეუძლიათ ჩვენი მოტყუება. ასე მაგალითად, სიყვითლით დაავადებულნი ყველაფერს ყვითლად ხედავენ; ვარსკვლავები და სხვა შორეული საგნები ბევრად უფრო მცირედ გვეჩვენება, ვიდრე სინამდვილეშია. რადგან, ბოლოს და ბოლოს, ვეძინავს თუ ვფხიზლობთ, არაფერს არ უნდა დავარწმუნებინოთ თავი სხვაგვარად, თუ არ ჩვენი გონებისეული სიცხადის მოწმობით. საყურადღებოა, რომ მე ვამბობ, ჩვენი გონებისეულის-მეთქი და არა ჩვენი წარმოსახვის ან ჩვენი შეგრძნებებისეულის-მეთქი. თუმცა მზეს ძალიან ნათლად ვხედავთ, მაინც არ უნდა ვიფიქროთ, რომ იგი იმ ზომისაა, როგორადაც მას ვხედავთ. შეიძლება ასევე მკაფიოდ წარმოვისახოთ ლომის თავი თხის ტანზე, მაგრამ აქედან არ უნდა დავასკვნათ, რომ ქვეყნად არსებობს ქიმერა; რადგან ვინება სრულებითაც არ ითხოვს, რომ ყველაფერი, ჩვენ მიერ ამგვარად დანახული ან წარმოსახული, ჰქვმარიტი იყოს, სამაგიეროდ

იგი გვიკარნახებს, რომ ყველა ჩვენს იდეებს ან ცნებებს ჭეშმარიტების რაღაც საფუძველი უნდა ჰქონდეს, რადგან შეუძლებელია, რომ ღმერთს — ყოვლად სრულყოფილსა და ყოვლად ჭეშმარიტს, — ჩაედოს ისინი ჩვენში ასეთი საფუძვლის გარეშე. და თუმცა ჩვენი მსჯელობები ძილის დროს არასოდეს არ არიან არც ისე ცხადი, არც ისე მთლიანი, როგორც ლეიბნიცისა, მიუხედავად იმისა, რომ წარმოსახული სახეები ზოგჯერ იმდენადვე ან კიდევ უფრო ცოცხალი და მეტყველია, ვიდრე ნამდვილად აღქმული. მაინც გონება გვიკარნახებს იმასაც, რომ, თუმცა ჩვენი აზრები ვერ იქნება საესებით ჭეშმარიტი იმის გამო, რომ ჩვენ თვითონ საესებით სრულყოფილნი არა ვართ; ის, რაც მათში ჭეშმარიტია, უსათუოდ უფრო ხშირად უნდა გვხვდებოდეს იმ აზრებში, რომლებიც ღვიძლში გვაქვს, ვიდრე იმაში, რომლებიც ძილში გვაქვს.

## V

აქ მე ვისურვებდი მეჩვენებინა მთელი ჯაჭვი სხვა ჭეშმარიტებებისა, რომლებიც გამოვიყვანე ამ პირველთაგან. მაგრამ იმის გამო, რომ ამისთვის ერთბაშად დამჭირდებოდა საუბარი ბევრ საკითხზე, რომლებიც დავის საგანია მეცნიერთა შორის, ხოლო ამ უკანასკნელებთან მე ურთიერთობის წახდენას არ ვისურვებდი, ვამჯობინე თავის შეკავება და მხოლოდ მივუთითებ, თუ რომლებია საერთოდ ეს საკითხები; უფრო გონიერთათვის მიმინდვია, განსაჯონ, სასარგებლოა თუ არა მათი დაწვრილებით გაცნობა საზოგადოებისათვის. ყოველთვის მტკიცედ ვადექი ჩემს გადაწყვეტილებას, რომ არ ამოვსულიყავი არც ერთი სხვა პრინციპიდან გარდა იმისა, რომლითაც ვისარგებლე ღმერთისა და სულის არსებობის დასამტკიცებლად, და არაფერი არ ჩამეთვალა ჭეშმარიტად, რაც კი არ მომეჩვენებოდა უფრო ნათლად და უმჯობლად, ვიდრე ადრე მეჩვენებოდა გეომეტრიული დასაბუთებები; და, ამის მიუხედავად, ვბედავ იმის თქმას, რომ უმოკლეს დროში არა მარტო ვიპოვე საშუალება, დამაკმაყოფილებლად გადამიწყვიტა მთავარი სიმწელებები, რომლებზეც საერთოდ მსჯელობენ ხოლმე ფილოსოფიაში, არამედ ზოგიერთი კანონებიც აღმოვაჩინე, რომლებიც ღმერთმა იმგვარად დაადგინა ბუნებაში და რომელთა შესახებაც იმგვარი ცნებები აღბეჭდა ჩვენს სულებში, რომ ცოტაოდენი განსჯის შემდეგ ველარ შეგვეპარება ეჭვი იმაში, რომ ამ კანონებს ზუსტად იცავს ყველაფერი, რაც კი არის და ხდება სამყაროში. შემდეგ, ვითვალისწინებ რა ამ კანონებს, მე მგონია, რომ აღმოვაჩინე რამდენიმე ჭეშმარიტება, უფრო სასარგებლო და უფრო მნიშვნელოვანი, ვიდრე ყველა ის, რაც აქამდე გამოიგია ან რისი გავების იმედიც მქონია.

მაგრამ ვინაიდან შევეცადე მათ შორის უმთავრესები ამეხსნა ტრაქტატში, რომლის გამოცემისაგანაც თავს მაკავებინებდა ზოგი მოსაზრება<sup>1</sup>, მე ვთვლი, რომ ყველაზე უკეთ შევძლებ მათ გაცნობას საზოგადოებისათვის, თუკი აქ მოკლედ გადმოვცემ მათ შინაარსს. განზრახული მქონდა მასში ჩამერთო ყველაფერი, რასაც ვთვლიდი ჩემთვის ცნობილად მატერიალური საკნების შესახებ; მაგრამ, მსგავსად მხატვრებისა, რომელთაც საშუალება არ აქვთ ბრტყელ სურათზე გამოსახონ მყარი სხეულის ყველა მხარე და ამიტომ ირჩევენ ერთ-ერთ მთავარს,

<sup>1</sup> ტრაქტატი სამყაროს და სინათლის შესახებ, რომელშიც დეკარტე უშვებდა დედამიწის მოძრაობას, გამოქვეყნებული იქნა ავტორის სიცილიიდან 17 წლის შემდეგ კლერსელის მიერ.





რომელსაც გამოსახავენ ნათლად, სხვებს კი ჩრდილში მოაქცევენ და მხოლოდ იმდენად გვიჩვენებენ, რომ შეეძლოთ მათი დანახვა, მეც, ვშიშობდი რა, რომ ვერ მოვაქცევდი ჩემს ტრაქტატში ყველაფერ იმას, რაც გონებაში მქონდა, გადავწყვიტე დაწერილებით გადმომეცა მხოლოდ ის, რაც ვიცოდი სინათლის შესახებ, შემიღეე ამ საბაბით მიმემატებინა ზოგი რამ მზისა და უძრავ ვარსკვლავთა შესახებ, საიდანაც ძირითადად წარმოიშობა სინათლე, ცათა შესახებ, რომლებშიც სინათლე გამოდის, პლანეტების, კომეტებისა და დედამიწის შესახებ, რომლებიც მას აირეკლავენ, განსაკუთრებით კი მიწიერ სხეულთა შესახებ — რადგან ისინი ან ფერადნი ან გამჭირვალენი, ან მანათობელნი არიან — და, დასასრულ, აღამიანის შესახებ, რომელიც ყოველივე ამის მასურებელია, მაგრამ იმისათვის, რომ ცოტათი დამეჩრდილა ყველაფერი ეს და შესაძლებლობა მქონოდა უფრო თავისუფლად წარმომედგინა ჩემი შეხედულებები, ისე რომ იძულებული არ გამხდარიყავი მიმეღო ან უარმეყო მეცნიერთა აზრები, გადავწყვიტე მთელი ეს სამყარო მიმეწოდ მათთვის საკმაოდ და მელაპარაკა მხოლოდ იმაზე, თუ რა მოხდებოდა ახალ სამყაროში, ღმერთს რომ შეექმნა დღესდღეობით სადმე წარმოსახეთის სივრცეებში საკმარისი მასალა (matiere) მის შესადგინად და რომ უწყსრიგო მოძრაობაში მოეყვანა ამ მასალის სხვადასხვა ნაწილები, ისე რომ წარმოქმნილიყო ქაოსი, — ისეთი ადრეული, როგორის წარმოსახვაც კი პოეტებს ძალუძთ, — ხოლო შემდეგ დასჯერებოდა თავის ჩვეულებრივ შემწეობას ბუნებისადმი და მიეშვა იგი სამოქმედოდ იმ კანონების მიხედვით, რომლებიც დაუდგინა. ამგვარად, პირველ რიგში მე აღვწერე ეს ნივთიერება (matiere), შევეცადე ისე წარმომედგინა იგი, რომ, ჩემის აზრით, ქვეყნად ან დალაგებულ უფრო ნათელი და გასაგები, გარდა იმისა, რაც უკვე ვთქვი ღმერთისა და სულის შესახებ, არა არის რა, რადგან უყოყმანოდ მიმაჩნდა, რომ ამ ნივთიერებას არ ვაჩინია არც ერთი იმ ფორმათა ან თვისებათაგანი, რომლებზედაც კამათობენ ხოლმე სქოლასტიკები, და არც, საერთოდ, ისეთი რამე, რისი შემეცნებაც არ იქნებოდა ისე ბუნებრივი ჩვენი სულითათვის, რომ ჩვენ ვერანახოდ ვერ მივაწერთ ჩვენს თავს მის არცოდნას. გარდა ამისა, მკითხველს დაევაჩნებ, რომელია ბუნების კანონები, და, არ დავყრდნობივარ რა ჩემს საბუთებში არავითარ სხვა პრინციპს, გარდა ღვთის უსასრულო სრულყოფილებისა, შეგვიკადე დამემტკიცებინა ყველა ეს კანონები, რომელთა მიმართაც შესაძლებელი იყო ეჭვის აღძვრა, და მეჩვენებინა, რომ ღმერთს მრავალი სამყაროც რომ შეექმნა, მათ შორის არ იქნებოდა არც ერთი ისეთი, სადაც ეს კანონები არ იქნებოდა დაცული. შემდეგ ვაჩვენე, თუ ამ კანონების მიხედვით ქაოსის მასალის დიდი ნაწილი როგორ უნდა განლაგებულიყო იმგვარად, რომ შეექმნა რაღაც ჩვენ ცათა მაგვარი და თუ როგორ უნდა შეექმნათ ამ დროს მის ზოგ ნაწილებს რაღაცა დედამიწა, სხვებს — რაღაცა პლანეტები და კომეტები, ხოლო კიდევ სხვას — რაღაც მზე და უძრავი ვარსკვლავები; და აქ, ვრცლად შევიჩრდი რა სინათლეზე, დაწერილებით ავხსენი, როგორია სანახლე, რომელიც უნდა იყოს მზესა და ვარსკვლავებში, როგორ კვეთს იგი ერთ წაშში ცათა უზარმაზარ სივრცეებს და როგორ აირეკლება პლანეტებიდან და კომეტებიდან დედამიწისაკენ. ამას დავუმატე ზოგი მოსაზრება, რომლებიც ეჩიბოდა ამ ზეცათა და ვარსკვლავთა შემადგენელ ნივთიერებას (substance), მათ მდგომარეობას, მოძრაობას და მათ ყველა სხვადასხვანაირ თვისებებს. ყოველივე ეს აღვწერე იმგვარად, რომ, ჩემის აზრით, საკმარისი ვთქვი ამის ცხადყოფისათვის, მათში არაფერი შეიმჩნევა-მეთ-

ქი ისეთი, რაც აუცილებლად არ იქნებოდა ან ვერ იქნებოდა ჩემს მიერ აღწერილი სამყაროს მსგავსი. შემდეგ შევჩერდი, კერძოდ, დედამიწაზე, — იმაზე, თუ როგორაა, რომ, თუნდაც ვარკვევით დავვეშვა, რომ ღმერთმა არ ჩაღო არავითარი მიზიდულობის ძალა მის შემადგენელ მატერიაში, მისი ყველა ნაწილაკები მაინც მისწრაფებულნი იქნებოდნენ ზუსტად მისი ცენტრისაკენ; როგორ ხდება, რომ, რაკილა მის ზედაპირზე არსებობს წყალი და ჰაერი, ცთა და ვარსკვლავთა განლაგებამ, განსაკუთრებით კი მთავრის მდებარეობამ უნდა გამოიწვიოს დედამიწაზე მოქცევები და უკუქცევები მსგავსად იმ მოქცევა-უკუქცევებისა, რომლებიც იმავე ვითარებაში შეინიშნება ჩვენს ზღვებში, ასევე წყლისა და ჰაერის რაღაც განსაკუთრებული დინება აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ, როგორიც შეინიშნება ტროპიკების ქვეყანაში; როგორ ხდება, რომ ბუნებრივი გზით იქმნება მთები, ზღვები, წყაროები და მდინარეები; როგორ წარმოიშობა ლითონები მიწის წიაღში, როგორ იზრდება მცენარეები მიწისფერებში და, საერთოდ, როგორ წარმოიშობიან ყველა სხეულები, რომელთაც უწოდებენ შერეულს ან რთულს; და, ვინაიდან ციურ მნათობთა გამოკლებით ქვეყნად არაფერი შეგულებოდა, რაც სინათლეს წარმოშობს, გარდა ცეცხლისა, შევეცადე რაც შეიძლება გასაგებად ამეხსნა ყველაფერი, რაც ამ უკანასკნელის ბუნებას ეკუთვნის: როგორ წარმოიშობა იგი, როგორ იკვებება, როგორ აქვს მას ზოგჯერ სითბო სინათლის გარეშე და ზოგჯერ სინათლე სითბოს გარეშე, როგორ შეუძლია მას მიანიჭოს სხვადასხვა სხეულებს ფერები და მრავალი სხვა თვისება; როგორ აღნობს იგი ზოგ სხეულს და ამყარებს სხვებს. როგორ სწვავს იგი თითქმის ყველა სხეულს ანუ გარდაქმნის კვამლად და ფერთლად და, ბოლოს, როგორ წარმოიშობა ნაცრიდან მხოლოდ და მხოლოდ მისი ძალის ზემოქმედებით მინა, რადგან, რაკილა ნაცრის გარდაქმნა მინად ბუნების ერთ-ერთ ყველაზე უფრო დიდ საოცრებად მეჩვენებოდა, განსაკუთრებით სასიამოვნოდ მეჩვენა მისი აღწერა.

მიუხედავად ამისა, არ მინდოდა, რომ ყოველივე ამისგან დამესკვნა, ჩვენი სამყარო ჩემს მიერ აღწერილი წესით შეიქმნა-მითქი, რადგან უფრო საგარაუდებელია (vraisemblable), რომ ღმერთმა დასაბამიდანვე ისეთად შექმნა იგი, როგორიც იგი არ შეიძლებოდა რომ არ ყოფილიყო. მაგრამ უშეველია — და ეს აზრი საყოველთაოდ მიღებული განსლავთ თეოლოგებს შორის, — რომ ქმედება, რომლითაც იგი ახლა ინახავს სამყაროს, იგივეა, რაც ის, რომლითაც მან იგი შექმნა: ასე რომ ღმერთს რომ არც მიეცა სამყაროსათვის პირველყოფილი ფორმა ქალისა, მაინც, დაადგებოდა რა ბუნების კანონებს, იგი ამით ხელს შეუწყობდა მის ისეთ განვითარებას, რომელსაც ჩვეულებრივ ვართ. შეიძლება დავუშვათ (ისე, რომ ამით ზიანს არ მივაყენებთ სამყაროს შექმნის სასწაულს), რომ მხოლოდ ამ ერთის (ამ კანონთა. მთარგმნელის შენიშვნა) ძალით ყველა საგნებს, რომლებიც მხოლოდ მატერიალურნი არიან დროთა მსვლელობაში შეიძლებოდათ გამხდარიყვნენ ისეთნი, როგორსაც ჩვენ მათ ახლა ვხედავთ; ამასთანავე, მათი ბუნება უფრო ადვილად შეიცნობა მაშინ, როცა ჩვენ მათ თანდათანობით შობას ვხედავთ, ვიდრე მაშინ, როცა მათ განვიხილავთ უკვე საცხებით ჩამოყალიბებულთ.

უსულთა საგანთა და მცენარეთა აღწერის შემდეგ გადავედი ცხოველთა აღწერაზე, განსაკუთრებით კი ადამიანისაზე<sup>2</sup>. მაგრამ ვინაიდან ჯერ კიდევ არ მქონდა საკმაო ცოდნა, რათა მათზე ისევე

<sup>2</sup> იხილეთ ტრაქტატი ადამიანის შესახებ და ტრაქტატი ჩანასხის წარმოქმნის შესახებ.



მელაპარაკა, როგორც ყოველივე დანარჩენზე, ანუ მიზეზიდან გამომეყვანა შედეგი და მეჩვენებინა, თუ როგორ და რა ჩანასახიდან უნდა წარმოქმნა ისინი ბუნებას, მე დავკამყოფილი ვარაუდით, რომ ღმერთმა შექმნა ადამიანის სხეული საფესვით რომელიმე ჩვენგანის სხეულის მსგავსი როგორც მის ასოთა გარეგანი აღნაგობის მხრივ, ისე მის ორგანოთა შინაგანი წყობის მხრივ და არ გამოუყენებია ამაში სხვა რამ მასალა გარდა იმისა, რაც ზემოთ აღწერიე, და თავდაპირველად მასში არ ჩაუღდეს არც გონიერი სული და არც სხვა რამ, რაც ამ სხეულს გამოადგებოდა მცენარეულ ან მგარბობელ სულად. მან მხოლოდ აღძრა მის გულში ერთ-ერთი იმ უსინათლო ცეცხლთაგანი, რომელიც ზემოთ ვახსენე და რომელიც მე ვერ მომიპოვებია სხვა ბუნებისად, თუ არ იმისად, რაც ახურებს ნელ თევსა, თუ მას ვახმობამდე ჩავეკეტ, ან რაც ადუღებს ქაჭაზე დატოვებულ ახალ ღვინოს. რადგან, განვიხილე რა ფუნქციები, რომლებიც ამის შედეგად შეიძლებოდა ჰქონოდა ჩვენ სხეულს, აღმოვაჩინე ზუსტად ის ფუნქციები, რომლებიც შეიძლება ჩვენში იყონ, თუნდაც არ ვიფიქროთ მათზე, მაშასადამე, იყონ ისე, რომ მათში წვლილი არ შემოჰქონდეს ჩვენს სულს ანუ ჩვენი სხეულის იმ გამორჩეულ ნაწილს, რომელზედაც ზემოთ ითქვა, მის ბუნებას აზროვნება შეადგენსო. ეს ის ფუნქციებია, რომლებიც, შეიძლება ითქვას, საერთო ჩვენთვის და გონების არმქონე ცხოველებსათვის; მაგრამ ვერ ვიპოვე ვერც ერთი იმ ფუნქქციათაგანი, რომლებიც, იქნებთან რა დამოკიდებულნი აზროვნებაზე, ერთადერთნი არიან, ჩვენ რომ გვეკუთვნიან როგორც ადამიანებს. სამაგიეროდ ყველა ესენი დავინახე შემდეგში, როცა დავეუფლი, რომ ღმერთმა შექმნა გონიერი სული და შეუერთა იმ სხეულს გარკვეული წესით, რომელიც მე აღწერიე<sup>3</sup>.

მაგრამ იმისთვის, რომ შესაძლებელი იყოს გარკვეულ დონემდე დავინახოთ, თუ როგორ განვიხილავედი ამ საკითხს, მსურს აქ ჩაუერთო გულისა და არტერიების მოძრაობის განმარტება, რომლის მიხედვითაც — რამდენადაც ესაა უპირველესი და ყველაზე უფრო საყოველთაო, რაც კი ცხოველებში შეიმჩნევა — ადვილად შეიძლება ვიმსჯელოთ ყოველივე დანარჩენის შესახებ; და, დასასრულ, იმისთვის, რომ უფრო ადვილად გაიგოთ ჩემ მიერ გადმოცემული, ჩემი სურვილი იქნებოდა, ანატომიაში ჩაუხედავმა ადამიანებმა ამის წაკითხვამდე თავი შეიწყობონ და თავის თვალწინ გააკვეთინონ რომელიმე დიდი ფილტვებიანი ცხოველის გული, რადგან იგი საკლებით მსგავსია ადამიანის გულისა, და ყურადღება მიაქციონ მასში მდებარე ორ პარკულს ანუ ღრმულს: ჯერ იმას, რომელიც მარჯვნივა და რომელსაც შეესატყვისება ორი საკმაოდ განიერი მილი, სახელდობრ, დრუ ვენა, სისხლის მთავარი მიმღები, მსგავსი ხის ღეროსი, რომლის ტოტებსაც შეადგენენ სხეულის ყველა დანარჩენი ვენები, და არტერიული ვენა. ამ უკანასკნელს ეს სახელი არასწორად ეწოდება, რადგან ეს არის გულიდან გამომდინარე, ბევრ ტოტად გაყოფილი არტერია, რომლის ტოტებიც გულიდან გამოსვლის შემდეგ ფილტვებში იშლებიან; შემდეგ კი მეორე პარკულის მარცხენა მხარეს, რომელსაც ასევე შეესატყვისება ორი იმავე სიგანის ან ზემოხსენებულზე უფრო ფართო მილი, სახელდობრ, ვენური არტერია, რომელსაც ეს სახელი აგრეთვე არასწორად ეწოდება, რადგან იგი სხვა არაფერია თუ არა ვენა, რომელიც გამოდის ფილტვებიდან, სადაც იგი დაყოფილია რამდენიმე ტოტად. ესენი გადახლართულნი არიან არტერიული ვე-

<sup>3</sup> იხილეთ ტრაქტატი ადამიანის სუესახებ.

ნის ტოტებთან და გასასვლელის ტოტებთან, რომელსაც ეწოდება ყელი, აქედან შესისუნთქება ჰაერი; მეორეა დიდი არტერია, რომელიც გულიდან გამოსვლისას მთელ სხეულში შედის თავისი ტოტებით. ასევე ვისურვებდი, რომ მკითხველებს გულდასმით აჩვენონ თერთმეტი პატარა აპკი, რომლებიც პატარა კარების მსგავსად აღებენ და ხურავენ ოთხ ხერხელს ამ ორ პარკუჭში, სახელდობრ, სამი აპკი ღრუ ვენის შესასვლელთან, რომლებიც ისე არიან განლაგებული, რომ ვერ აფერხებენ მათში მყოფი სისხლის ჩადენას გულის მარჯვენა ღრუში, მაგრამ იქიდან გამოსვლის საშუალებას არ აძლევენ; სამი აპკი არტერიული ვენის შესასვლელთან, მოპირდაპირე მხარესაა განლაგებული, ესენი საშუალებას აძლევენ ამ ღრუში მყოფ სისხლს გადავიდეს ფილტვებში, მაგრამ ფილტვებში მყოფ სისხლს გულში გადადენის საშუალებას არ აძლევენ; აგრეთვე, ორი აპკი ვენტური არტერიის შესასვლელთან უშვებს სისხლს ფილტვებიდან გულის მარცხენა ღრუში, მაგრამ ხელს უშლის მის უკან დაბრუნებას, და სამიც — დიდი არტერიის შესასვლელთან — საშუალებას აძლევს სისხლს გულიდან გამოვიდეს, მაგრამ ხელს უშლის მის უკან დაბრუნებას. საჭიროებას არ წარმოადგენს სხვა საფუძვლის ძებნა ამ აპკების რაოდენობისათვის გარდა იმისა, რომ, ვენტური არტერიის ხერხელი ოვალურია იმ ადგილის წყალობით, სადაც იგი მდებარეობს, და ადვილად შეუძლია დაიხუროს ორი აპკით, მაშინ როცა ხერხელები მრგვალია და უფრო მოხერხებულად დაიხურება სამით. გარდა ამისა, ჩემი სურვილი იქნებოდა, მკითხველებისათვის გაეცნობიერებინათ, რომ დიდი არტერია და არტერიული ვენა უფრო მყარი და მაგარი შემადგენლობისაა, ვიდრე ვენტური არტერია და ღრუ ვენაა, და რომ ეს ორი უკანასკნელი ფართოვდება გულში შესვლამდე და თითქოს ორ ტომარას ქმნის, რომლებიც ვენტის ყურებად არიან წოდებული და გულის ქსოვილის მსგავსი ქსოვილისაგან შედგებიან; და რომ გულში ყოველთვის უფრო მჭიდრობოა, ვიდრე სხეულის რომელიმე ნაწილში; და, დასასრულ, რომ ამ სითბოს გულის ღრუებში სისხლის წვეთის შესვლისთანავე შეუძლია გამოიწვიოს მისი მყისვე გაბერვა და გაფართოება, როგორც ეს საერთოდ ხდება ხოლმე, როცა რაიმე სითხე წვეთობით ჩაედინება ცხელ ქურჭელში.

ამის შემდეგ გულის მოძრაობის ასახსნელად სხვა არაფრის თქმა აღარ მჭირდება გარდა იმისა, რომ, როცა მის ღრუებში სისხლი არ არის, იგი აუცილებლად უნდა გადავიდინებოდეს ღრუ ვენიდან მარჯვენა, ხოლო ვენტური არტერიიდან მარცხენა ღრუში, რადგან ეს ორი სისხლის ჭურჭელი ყოველთვის სავსეა სისხლით, ხოლო გულის მხარეს მოთავსებული ხერხელები ამ დროს არ შეიძლება იყვნენ დაკობილნი. მაგრამ როგორც კი აქ შემოვა სისხლის ორი წვეთი, თითო ღრუში თითო, ეს წვეთები, რომლებიც უსათუოდ კარგა მსხვილი იქნება, რადგან მათი შემომშვები ხერხელები და საცაეები, საიდანაც გამოდიან, კარგა დიდი, გათხელდება და გაფართოვდება სითბოს გამო, რომელსაც იქ ხვდება, ამის შედეგად ისინი ბერავენ მთელ გულს, აღებენ და ხურავენ ხუთ პატარა კარებს, რომლებიც იმყოფება იმ ორი საცაეის შესასვლელთან, საიდანაც ისინი მოდიან, და ამგვარად აფერხებენ სისხლის შემდგომ შეღწევას გულში. თხელდება იმ რა კიდევ და კიდევ, ისინი უბიძგებენ და აღებენ ექვს: დანარჩენ პატარა კარსაც, რომლებიც იმყოფება ორი სხვა საცაეის შესასვლელთან, საიდანაც ისინი ვადიან და თითქმის გულის თანადროულად ბერავენ არტერიული ვენისა და დიდი არტერიის განშტოებებს. შემდეგ გული და არტერიები მყისვე ცხრებიან და იტუმრე-



ბიან იმის გამო, რომ არტერიში შესული სისხლი ცივდება; ექვსი პატარა კარი იხტრება, ხოლო ხუთი — ორუ ვენისა და ვენტრი არტერიისა — იღება, რითაც შესვლის საშუალება ეძლევა სისხლის ორ ახალ წვეთს, რომლებიც კვლავ ბერავენ გულს და არტერიას წინამორბედი სისხლის წვეთების მსგავსად. და იმის გამო, რომ გულში შემავალი სისხლი გადის ორ ტომარას, რომელთაც გულის ყურებს უწოდებენ, მათი მოძრაობა გულის მოძრაობის საპირისპიროა და ისინი მაშინ იკუმშებიან, როცა გული იხრება. მაგრამ რათა იმათ, ვინც არ იციან მათემატიკური მტკიცებების ძალა და ჩვევად არ აქვთ ჰემმარტი საბუთები (raisons) გაარჩიონ სავარაუდებლისაგან, არ იჩქარონ ზემოთ თქმულის უარყოფა მისი განხილვის გარეშე. მე მსურს ისინი ვავადროხილო, რომ ჩემს მიერ ახსნილი მოძრაობა ისეთივე აუცილებლობით გამომდინარეობს მხოლოდ და მხოლოდ ორ განთა განლაგებიდანაც, რასაც გულში თვალთ გამჩნევთ, და სითბოდან, რომელიც თითებით იგრძნობა, და სისხლის ბუნებიდან, რაც ცდით ვიცით, როგორც საათის მოძრაობა გამომდინარეობს მისი საწონებისა და თვლების ძალის, განლაგებისა და მოყვანილობისაგან.

მაგრამ თუ იკითხავთ, რატომ არ იღვევა ვენტრი სისხლი, რომელიც გამოდმებით მოედინება გულში, და რატომ არ ივსება პირთამდე სისხლით არტერიები, სადაც მიემართება მთელ გულში გავლილი სისხლი, შემოძლია პასუხად გავიმეორო მსკელობა ერთ-ერთი ინგლისელი ექიმის თხზულებიდან, რომელიც ხოტბის ღირსია იმის გამო, რომ მან პირველმა გაჭრა ყინული ამ დარგში და გვიჩვენა, რომ არტერიების დაბოლოებებთან იწყობება მრავალი პატარა გასასვლელი, საიდანაც მათ მიერ გულიდან მიღებული სისხლი ავადის ვენების პატარა განშტოებებში, აქედან კი კვლავ მიემართება გულისაკენ, ასე რომ მისი მოძრაობა სხვა არაფერია, თუ არა უწყვეტი მიმოქცევა. ამას ის ძალიან კარგად ამტკიცებს ქირურგთა ჩვეულებრივი გამოცდილებით, რომლებიც, საშუალო სიძლიერით შეკრავენ რა მკლავს იმ ადგილის ცოტა ზემოთ, სადაც ვენას ხსნიან, იმას აღწევენ, რომ აქ სისხლი უფრო ჭარბად გამოდის, ვიდრე ვენის გადაუკრავად იდენდა. მაგრამ პირიქით მოხდებოდა, თუ მკლავს შეკრავდნენ ქვევით მტევანსა და გაჭრილს შორის ან თუ ძალიან მაგარად შეკრავდნენ განაჭურის ზემოთ: ცხადია, რომ საშუალო ძალით შეკრული ლახტი აბრკოლებს ხელში მყოფი სისხლის გულში დაბრუნებას ვენებით, მაგრამ არ უშლის ახალი სისხლის დენას არტერიებით, რადგან ისინი ვენებზე ღრმად არიან, უფრო მაგარი კედლები აქვთ და ისე ადვილად არ იკუმშებიან. ამიტომ სისხლი, რომელიც გულიდან მოედინება, უფრო მეტი ძალით იღრტის არტერიებიდან ხელის მტევნისაკენ, ვიდრე ვენებიდან გულში უკან დაბრუნებისას, და ვინაიდან ეს სისხლი მკლავიდან გამოდის ერთ-ერთი ვენის განაჭურით, ამიტომ აუცილებლად უნდა არსებობდეს რომელიღაც სადინარი გადაბმის ქვევით, ე. ი. ხელის დაბოლოებისაკენ, რომლითაც მას შეეძლება გადმოვიდეს არტერიებიდან. ის ასევე ამტკიცებს ამ სისხლის მოძრაობას პატარა აკეების არსებობით, რომლებიც სხვადასხვა ადგილას არიან განლაგებული ვენების გასწვრივ და საშუალებას არ აძლევენ სისხლს სხეულის შუა ნაწილიდან იდინოს ბოლოებისაკენ, არამედ აიძულებენ მას მხოლოდ დაბრუნდეს კიდურებიდან გულისაკენ; და ასევე ცდით გვიჩვენა, რომ მთელი სისხლი შეიძლება გამოდენილ იქნეს სხეულიდან ძალიან მოკლე დროში მხოლოდ ერთი არტერიით, თუ იგი ვადაჭრილია, თუნდაც იგი ძალიან მაგარად იყოს გადაჭერილი გულთან ახლოს, მაგრამ გადაჭრილი იყოს გულსა და გადაჭერილ შორის. ასე

რომ არავითარი საფუძველი არ არის დაეუშვათ, რომ იქიდან გამოსული სისხლი სხვა რამ ადგილიდან მოედინება.

მაგრამ არის მრავალი სხვა საფუძველი, რომელიც მოწმობს, რომ სისხლის მოძრაობის ნამდვილი მიზეზი არის სწორედ ის, რომელიც მე აღვნიშნე: ვერ ერთი, სხვაობას ვენიდან გამოსულ და არტერიიდან გამოსულ სისხლს შორის ვერ გამოიწვევს სხვა ვერაფერი თუ არ ის, რომ, გათხლდება და თითქოს გამოიხდება რა გულში გავლისას, სისხლი არტერიებში უფრო მსუბუქი, უფრო ცხოველი და უფრო ცხელი ხდება ვიდრე ვენებში იყო გულში შესვლამდე. თუ ყურადღებით დავეუკვირდებით, შევნიშნავთ, რომ ეს სხვაობა კარგად შეინიშნება მხოლოდ გულთან ახლოს, და არა მისგან დაცილებულ ადგილებში. შემდეგ, არტერიული ვენის და დიდი არტერიის კედლების სიმაგრე გვიჩვენებს, რომ სისხლი მათ უფრო ძლიერად სცემს, ვიდრე ვენების კედლებს, და გვიჩვენებს, თუ რატომაა, რომ გულის მარცხენა ღრუ და დიდი არტერია უფრო ტვეადი და განიერია, ვიდრე მარჯვენა ღრუ, ხოლო არტერიის სისხლი, რომელიც მხოლოდ ფილტვებს გაივლის, გულიდან გამოსვლისას უფრო მსუბუქია და უფრო ძლიერ და უფრო ადვილად თხევადდება, ვიდრე უშუალოდ ღრუ ვენიდან გამომდინარე სისხლი. და რას გაიგებენ ექიმები პულისის გასინჯვისას, თუ არ ეცოდინებათ, რომ სისხლი თავისი ბუნების ცვალებადობის გამო შეიძლება გულის სითბოთი უწინდელზე უფრო მეტად ან ნაკლებად, უფრო ჩქარა ან ნელა გაფართოვდეს? ხოლო თუ განვიხილავთ, როგორ გადაეცემა სითბო სხვა ორგანოებს, განა არ უნდა ვაღიაროთ, რომ ეს ხდება სისხლის მეშვეობით, რომელიც, გაივლის რა გულს, ცხელდება იქ და გულიდან ვრცელდება მთელ სხეულში? აქედან გამომდინარეობს, რომ თუ სხეულის რომელიმე ნაწილს შევუწყვეტთ სისხლს, მას სითბო წაერთმევა. თვითონ გული გამდნარ რკინასავით რომ იყოს გავარგარებული, ეს არ იქნებოდა საკმარისი ხელების და ფეხების ისე გასათბობად, როგორც სინამდვილეში თბებიან, აქ ახალ-ახალი სისხლის მიწოდება რომ არ ხდებოდეს. აქედან იმასაც ვიგებთ, რომ სუნთქვის ნამდვილი დანიშნულებაა მიიტანოს ფილტვებში სუფთა ჰაერის საკმარისი რაოდენობა, რათა სისხლი, რომელიც ფილტვებში გადადის გულის მარჯვენა ღრუდან, სადაც იგი გათხევადდა და თითქოს ორთქლად იქცა, კვლავ გარდაიქმნას ორთქლიდან სისხლად მანამ, სანამ მარცხენა ღრუში გადავიდოდეს. ამის გარეშე იგი ვერ შეძლებდა იქ გაეწია ცეცხლის საკვების როლი. ეს იმიტაც დასტურდება, რომ ცხოველებს, რომელთაც ფილტვები არ გააჩნიათ, მხოლოდ ერთი ღრუ აქვთ გულში, აგრეთვე იმით, რომ დედის წიაღში მყოფი ბავშვები ვერ სარგებლობენ ფილტვებით. მათ ერთი ხვრელი აქვთ, რომლითაც სისხლი ღრუ ვენიდან გადადის გულის მარცხენა ღრუში, და ერთი სადინარი, რომლითაც სისხლი არტერიული ვენიდან გადადის დიდ არტერიაში ფილტვების გაუვლელად. შემდეგ, როგორ შეიძლება მომხდარიყო საჭმლის მონელება ყუჭში, გული რომ არ აწვდიდეს იქ სითბოს არტერიების მეშვეობით და სისხლთან ერთად — სისხლის ყველაზე უფრო დენად ნაწილებსაც, რომლებიც ხელს უწყობენ საჭმლის მონელებას? და პროცესი, რომელიც საკვების წვენს გარდაქმნის სისხლად, ნუთუ იმით არ აიხსნება, რომ სისხლი კვლავ და კვლავ დესტილირდება გულში გავლისას — იქნებ ასჯერ და ორასჯერაც დღე-ღამის განმავლობაში? და სხვა რა გვეკირდება ორგანიზმში სხვადასხვა სითხეთა წარმოშობის ასახნელად გარდა იმის თქმისა, რომ იგივე ძალა, რომელიც აიძულებს სისხლს, თხევადდება რა, გაიაროს გულიდან არტერიების დაბოლოებე-

ბისაყენ, იმას იწვევს, რომ სისხლის ზოგი ნაწილაკები ხედებიან ორგანოებში სადაც იმყოფებიან, იკავებენ იქ სხვა ნაწილაკების ადგილს, რომლებსაც გამოდევნიან, და, იმ ფორების განლაგების მოყვანილობის და სიდიდისდა მიხედვით, რომლებიც წინ ხედება, ერთნი ერთ ადგილას შედიან, სხვანი სხვა ადგილას, ისევე როგორც ერთმანეთისგან იყოფიან მარცვლები სხვადასხვა ნახურების მქონე ცხავზე გაცრისას, რასაც ყოველ ჩვენგანს შეუძლია დააკვირდეს. და, დასასრულ, ყველაზე უფრო ღირსშესანიშნავია ყოველივე ამაში ცხოველური გონის წარმოქმნა, რომელიც, მსგავსად სუსტი ქროლისა ან, უკეთ რომ ვთქვათ, უაღრესად წმინდა და მხურვალე ალისა, დიდი რაოდენობით განუწყვეტლივ ადის გულიდან ტვინში, ტვინიდან კი ნერვების საშუალებით კუნთებში გადადის და მოძრაობაში მოჰყავს სხეულის ნაწილები. ამასთან, არაა საჭირო თქმულის გარდა მოვიფიქროთ რაიმე სხვა მიზეზი იმის ასახსნელად, რომ სისხლის ყველაზე უფრო მოძრავი და ადვილად შემღწევი ნაწილაკები ყველაზე უფრო შესაფერისნი არიან, რომ გონი შეადგინონ და ისინი გულიდან უმალ ტვინში მიემართებიან, ვიდრე სხვაგან, ხოლო არტერიები, რომლებსაც ეს ნაწილაკები ტვინთან მიჰქვთ, სწორედ ისინია, გულიდან ყველაზე სწორი ხაზით რომ მიემართებიან, და რომ მექანიკის კანონთა თანახმად, რომლებიც იდენტურია ბუნების კანონებისა, როცა რაოდენიმე სხეული ერთად ილტვის ერთი მიმართულებით, სადაც ადგილი არ არის ყველასათვის — ისე როგორც გულის მარცხენა ღრუდან გამომავალი სისხლის ნაწილაკები ილტვიან ტვინისაკენ — სუსტნი და ნაკლებ მოძრავნი იდევნებიან უფრო ძლიერთა მიერ და ეს უკანასკნელნი მარტონი გადიან.

მე საკმაოდ დაწვრილებით განმარტე ყოველივე ის ტრაქტატში, რომლის გამოცემაც აღრა მქონდა განზრახული. ამავე თხზულებაში ვაჩვენე თუ როგორი უნდა იყოს ადამიანის ნერვების და კუნთების აგებულება, რათა მის სასიცოცხლო სულს (animal) ჰქონდეს მათში ძალა ამოძრავს კიდურები ისევე, როგორც ახლადმოკვეთილი თავები ცოტა ხანს კიდევ მოძრაობენ და კბენენ მიწას, თუმცა უკვე უსულონი არიან. ასევე ვაჩვენე, თუ როგორი ცვლილებები უნდა ხდებოდეს ტვინში, რომ გამოიწვიოს ღვიძილი, ძილი და სიზმარი; თუ სინათლეს, ბგერებს, სუნს, გემოს, სითბოს და გარეგან საგანთა ყველა სხვა თვისებებს როგორ შეუძლიათ მასზე აღბეჭდონ სხვადასხვა იდიობი შეგრძნებათა საშუალებით; თუ შიმშილს, წყურვილს და სხვა შინაგან ენებებს თავის მხრივ როგორ შესწავთ უნარი გადასცენ იდეები ტვინს; ასევე გავარკვიე თუ რა უნდა ჩაითვალოს ტვინში ზოგად გრძნობად (sens commun), რომელშიც ეს იდეები მიიღებიან; მენსიერებად, სადაც ისინი ინახებიან; და ფანტაზიად, რომელსაც შეუძლია ისინი სხვადასხვაგვარად ცვალოს და მათგან ახალი იდიობი შექმნას; ვაჩვენე, თუ ამავე წესით როგორ ხდება ცხოველური სულის განაწილება კუნთებში, რაც სხიულის ნაწილებს ამოძრავებს ამდენი სხვადასხვა წესით და ამდენი შესაბამისობით იმ ობიექტებისადმი, რომლებიც ამ შეგრძნებებს წინ წარმოუდგება, და შინაგანი ენებებისადმი, როგორც ამას ვხედავთ ჩვენი სხეულის ნაწილთა მოძრაობაში, როცა მას ჩვენი ნიბა არ წარმართავს. ეს არ მოეჩვენება უცნაურად იმათ, ვინც იცის, რამდენი სხვადასხვა ავტომატი ანუ მოძრავი მანქანის შექმნა შეუძლია ადამიანის ოსტატობას, გამოიყენებს რა ამაში ძალიან მცირერიცხოვან ნაწილებს ძვლების, კუნთების, ნერვების, არტერიების, ვენების და დანარჩენი ნაწილების იმ დიდ რაოდენობასთან შედარებით, რომელიც გვხვდება ყველა ცხოველის სხეულში; ისინი განიხი-

ლავენ ამ სხელს როგორც მანქანას, რომელიც, შეიქმნა რა ღვიის ხელით, შეუ-  
დარებლად უკითხა მოწყობილი და უფრო საოცარი ზოძრავობები გააჩნია, ვიდრე  
შეიძლება ჰქონდეს ადამიანის მიერ შექმნილ მანქანებს.

განსაკუთრებით შევეცადე აქ მეჩვენებინა, რომ, თუ იარსებებდნენ ასეთი  
მანქანები, რომლებსაც მაიმუნის ან სხვა რომელიმე არაგონიერი ცხოველის  
ორგანოები და აღნაგობა ექნებოდათ, ჩვენ არავითარი საშუალება არ აღმოგვა-  
ჩნდებოდა ხელთ იმის გასარკვევად, რომ მანქანები და ეს ცხოველები ერთი  
ბუნებისანი არ არიან. მაგრამ თუ შევექმნით ისეთ მანქანებს, რომელთაც მსგავს-  
ება ექნებათ ჩვენს სხეულთან და მიჰბაძავენ ჩვენს მოქმედებებს, რამდენადაც  
კი ეს შესაძლებელია მორალურად, მაინც გვექნებოდა ორი უტყუარი საშუალე-  
ბა იმის შეტყობისა, რომ ეს ნამდვილი ადამიანები არ არიან. ჯერ ერთი, ასეთი  
მანქანა ვერასოდეს ვერ შეძლებდა სიტყვებით ან სხვა ნიშნებით სარგებლო-  
ბას, მათ ისე შეერთებას, როგორც ჩვენ ვერთობთ, რათა სხვებს გადაეცეთ  
ჩვენი აზრები. რა თქმა უნდა, შესაძლებელია წარმოვიდგინოთ, რომ მანქანა  
ისეა მოწყობილი (გაკეთებული), რომ წარმოთქვამს რაღაც სიტყვებს (და ზო-  
გაერთ მათგანს წარმოთქვამს სხეულგებრივი ზემოქმედების შედეგადაც), რომ-  
ლებიც გამოიწვევენ ამა თუ იმ ცვლილებებს მის ორგანოებში — ასე, მაგალი-  
თად, თუ შევეხებით მას რომელიმე ადგილას, ის შეგვეკითხება, რა გვსურს  
მისგან, თუ შევეხებით სხვა ადგილას — დაიყვირებს, რომ სტივია და სხვა მის-  
თანანი. მაგრამ შეუძლებელია წარმოვიდგინოთ, რომ იგი დააწყობს სიტყვებს  
სხვადასხვანაირად, რათა უბასუხოს აზრიანად იმას, რაც მის თანდასწრებით  
ითქმის, რისი უნარიც ყველაზე გონებაჩაღუნვ ადამიანსაც კი შესწევს. მეორეც,  
თუმცა ასეთი მანქანა ისევე კარგად მოახერხებდა ზოგ რასმე, როგორც ჩვენ,  
და, შესაძლოა, ჩვენზე უკეთესადაც, იგი უსათუოდ უნარმოკლებული აღმო-  
ჩნდებოდა ზოგი სხვა რამის გასაკეთებლად, რითაც შევიტოდოდით, რომ იგი  
მოქმედებს არა შეგნებულად, არამედ მხოლოდ ორგანოების განლაგების შე-  
დეგად; რადგან თუ გონება უნივერსალური იარაღია, რომელსაც შეუძლია  
სამსახურის გაწევა სხვადასხვა განსხვავებულ შემთხვევებში, მანქანის ორგა-  
ნოები საჭიროებენ რაღაც განსაკუთრებულ განლაგებას ყოველი ცალკეული  
მოქმედებისათვის. აქედან გამომდინარეობს, რომ მორალურად შეუძლებელია  
მანქანაში იყოს იმდენი სხვადასხვა განლაგება, რომ მას შეეძლოს მოქმედება  
ყველა ცხოვრებისეულ შემთხვევაში ისე, როგორც ჩვენ შეგვიძლია ჩვენი ვო-  
ნების წყალობით.

ამავე ორი საშუალებით შევიძლია გავიგოთ განსხვავებაც ადამიანსა და  
ცხოველს შორის. რადგან საყურადღებოა, რომ არ არსებობს ისეთი გონებაჩაღუნ-  
ვი და სულიერი ადამიანი, თვით შეშლილიც კი, რომელსაც არ შესწევს უნარი რომ-  
ღენიმე სიტყვა დააკვიროს და მათგან წინადადება (discours) შეადგინოს თავისი  
აზრების გადმოსაცემად; და პირიქით—არც ერთი ცხოველი, როგორი სრულქმნი-  
ლიც არ უნდა იყოს იგი და რაც არ უნდა ბედნიერ პირობებში იყოს შობილი, ვერ  
იზამს ამის მსგავსს. ეს ხდება არა ორგანოთა უქონლობის გამო — ვინაიდან  
კაჭკაჭებს და თუთიყუშებს შეუძლიათ ჩვენსავე მეტყველება, და მაინც არ შე-  
უძლიათ ჩვენსავით მეტყველება ანუ ისეთი მეტყველება, რომელიც მოწმობს,  
რომ ფიქრობენ იმას, რასაც ამბობენ. დაბადებით ყრუ-მუნჯი ადამიანები კი,  
რომლებიც ცხოველებივით ან მათზე კიდევ უფრო მეტად მოკლებულნი არიან  
იმ ორგანოებს, რასაც სხვა ადამიანები სამეტყველოდ იყენებენ, ჩვეულებრივ  
თვითონ იგონებენ ხოლმე რაღაც ნიშნებს, რომლებითაც კომუნიკაციას ამაყ-



რებენ მათ ახლომყოფებთან, თუკი ამ უკანასკნელთ მათი ენის შესწავლისათვის სკალათ. ეს მოწმობს არა მარტო იმას, რომ ცხოველები ადამიანებზე ნაკლებად არიან დაჯილდოებულინი გონებით, არამედ იმასაც, რომ მათ სრულებით არ გააჩნიათ გონება. რადგან ჩვენ ვხედავთ, რომ ძალიან ცოტა გონებაა საქაბო იმისათვის, რომ შეეძლოთ მეტყველება; რამდენადაც შეინიშნება გარკვეული უთანაბრობა ერთი სახეობის ცხოველებს შორის, ისევე როგორც ადამიანებს შორის, და ერთნი უფრო ადვილად სწავლობენ ვიდრე მეორენი, ამდენად წარმოუდგენელი არ იქნებოდა, რომ რომელიმე მიამუნი ან თუთიყუში, ყველაზე უფრო სრულყოფილი თავის მოდგმაში, ვერ გაუტოლდებოდა ამაში ყველაზე უფრო სულელ ბავშვს ან კიდევ ტვინშერყულ ბავშვსაც კი, მათი სული ჩვენი სულისაგან სავსებით განსხვავებული ბუნებისა რომ არ იყოს. არ უნდა აფრთხილდეთ: ერთმანეთში სიტყვები და ბუნებრივი მოძრაობები, რომლებიც ვნების არსებობას მოწმობენ და რომელთა მიბაძვაც მანქანას ისევე შეუძლია, როგორც ცხოველებს; არც, მსგავსად ზოგი ძველი ავტორისა, უნდა ვიფიქროთ, რომ ცხოველები ლაბარაკობენ, თუმცა მათი ენა ჩვეუარ გვესმის; რადგან ეს რომ მართალი იყოს, მაშინ ცხოველები — გააჩნიათ რა ჩვენ ორგანოთა შესაბამისი ორგანოები — ისევე შეძლებდნენ ჩვენთვის რალაციის გაგებინებას, როგორც თავის მსგავსებს აგებინებენ. აღსანიშნავია ისიც, რომ თუმცა ბევრი ცხოველი ავლენს ჩვენზე უფრო მიტოსტატობას ზოგ მოქმედებაში, სხვა მოქმედებებში ისინი სრულებით ვერაერთარ ოსტატობას ვერ ავლენენ. ამიტომ ის, რომ ისინი ჩვენზე უკეთ მოქმედებენ ზოგჯერ, არ მოწმობს, რომ ვინაა აქეთ, რადგან ასეთ შემთხვევაში მათ ვინაა ჩვენზე მიტი უნდა ჰქონდოდათ და ყოველივე სხვაც ჩვენზე უკეთ უნდა ეკეთებინათ. სწორედ ეს მოწმობს, რომ მათ არ გააჩნიათ გონება, რომ ბუნება მათში მოქმედებს მათი ორგანოების განლაგების ძალით, მსგავსად საათისა, რომელიც შედგება მხოლოდ თვლებისა და ზამბარებისაგან, მაგრამ უფრო ზუსტად ითვლის და ზომავს დროს, ვიდრე ჩვენ მთელი ჩვენი სიბრძნით.

შემდეგ მე აღწერიე აონიერი სული და ვჩვენე, რომ არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება მისი გამოყვანა მატერიის ძალიდან, ისე როგორც სხვა რამეებისა, რაზედაც მქონდა ლაბარაკი, არამედ იგი მხოლოდ და მხოლოდ შექმნილი შეიძლება იყოს, და რომ საქმარისი არაა, იგი მოთავსებული იყოს ადამიანის სხეულში, ისევე, როგორც ლოცმანი (pilote) თავის ხომალდში, თუნდაც მისი დანიშნულება ის იყოს, რომ სხეულის ნაწილები ამოძრავოს, არამედ აუცილებელია, რომ იგი უფრო მჭიდროდ იყოს შეერთებული და დაკავშირებული სხეულთან, რათა ამის ვარდა ვაჩნდის ჩვენი მსგავსი გრძობები და გულისთქმანი და ამგვარად ქმნილის ნამდვილ ადამიანს. მართალია, აქ ცოტა ვრცლად შევიხე სულს იმ მიზეზით, რომ ეს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხია; რადგან, თუ არ ჩავთვლით იმ ცდომილებას, რომელიც ღმერთს უარყოფს და რომელიც, ჩემი აზრით, უკვე საქმარისად ვაგმტყუნი, არაფერი ისე არ ამორებს სუსტ ვონებებს ქველობის სწორი გზისაგან, როგორც ის აზრი, რომ ცხოველთა სული და ჩვენი სული ერთი ბუნებისანი არიან და რომ, მაშასადამე, ჩვენ, ბუნებასავე და ჭინჭველებსავე ერთი არც რამისა უნდა გვეშინოდეს და არც რამის იმედ უნდა გვექონდეს ამ ცხოველების შემდეგ, ხოლო თუ ვიცით, რამდენად განსხვავდება ჩვენი სული ცხოველთა სულისაგან, მაშინ ბევრად უფრო ადვილი გასაგებია საფუძვლები, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ჩვენი სული თავისი ბუნებით სავსებით დამოუკიდებელია სხეულისაგან და, მაშასადამე, არ ექვემდებარება სიკვდილს მასთან (სხეულთან) ერთად; ხოლო ვინაიდან არ ჩანს სხვა რამ მიზეზები, რომელთაც შეეძლოთ მისი განადგურება, ბუნებრივია, რომ აქედან ვამომდინარეობს მისი უკვდავება.

(ვაგრძელება იქნება)



## კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

ზნეობრივი ღირებულების თავისებურების სერიოზული გამოკვლევა<sup>1</sup>

ფილოსოფიური კვლევა დღეს, განსაკუთრებით ეთიკისა და ესთეტიკის დარგებში, წარმოდგენილია ღირებულების ცნების გამოყენების გარეშე. ძნელია დაიჯერო, რომ სულ ორიოდ ათეული წლის წინ საბჭოთა ფილოსოფოსების დიდი ნაწილი თავგამოდებით უარყოფდა ღირებულების პრობლემის დასმის უფლებამოსილებას მარქსისტული ფილოსოფიის ფარგლებში. ეს მცირე დრო საქმარისი აღმოჩნდა აქსიოლოგიური პრობლემატიკის მნიშვნელობის აღიარებისათვის, მაგრამ არასაკმარისი — აქსიოლოგიის ადგილის გასარკვევად. აქსიოლოგიას ფილოსოფიის ერთ-ერთ დარგად მიიჩნევენ ონტოლოგიის, გნოსეოლოგიის, ეთიკის, ესთეტიკისა და სხვ. გვერდით, იმას კი არ ითვალისწინებენ, რომ ეს „დარგები“ სულაც არ არიან ერთი ყაიღისა: ეთიკა და ესთეტიკა, მაგალითად, ცალკე ფილოსოფიური დისციპლინებია, ონტოლოგია და გნოსეოლოგია კი ფილოსოფიის ასპექტებია, რომელთაც არცა აქვთ აზრი ერთმანეთთან მიმართების გარეშე. უნდა ვიფიქროთ, რომ ასეთსავე ვითარებაშია აქსიოლოგიაც. ყოველ შემთხვევაში ის, რომ დღემდე არავის დაუდგენია, არ განუსაზღვრია აქსიოლოგიის როგორც მეცნიერების საგანი, კატეგორიების სისტემა და კვლევის მეთოდები, არ უშლის იმას ხელს, რომ იქმნებოდეს ცალკეული სერიოზული გამოკვლევები ღირებულების ბუნების, მეცნიერების ღირებულებითი ასპექტების, ეთიკური და ესთეტიკური ღირებულებების და სხვ. შესახებ. ამგვარ გამოკვლევებს მიეკუთვნება სწორედ სარკეცნზიო ნაშრომი. უშუალოდ ის ზნეობრივი ღირებულების სპეციფიკის გარკვევას ისახავს მიზნად, მაგრამ ჩვენში ღირებულებითი ასპექტის სიახლის გამო წიგნში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა ღირებულების ზოგადი თეორიის საკითხების განხილვას.

სარკეცნზიო ნაშრომი არ არის დიდი მოცულობის, მაგრამ ის იმდენად ლაკონიურად გადმოსცემს ღირებულების პრობლემის ძირითად საკითხებს, რომ მკითხველს შეიძლება გაუკვირდეს, როგორ მოახერხა ავტორმა მთელი ამ შინაარსის დატევა ოთხ „საადრიცხო-საგამომცემლო“ თაბახში. ეს ლაკონიურობა აძნელებს ნაშრომის შინაარსის მოკლედ გადმოცემას. ასეთი გადმოცემა შეიძლება არც იყოს საჭირო, რამდენადაც დაინტერესებული მკითხველი უთუოდ თვით ნაშრომს გაეცნობა, მაგრამ რადგან ზოგიერთი საკითხის გადაწყვეტაში უნდა შევეყამათთ ავტორს, კამათის საგანი რომ გასაგები იყოს, აუცილებელია მოკლედ მაინც გადმოვცეთ ავტორის თვალსაზრისი.

ნაშრომის ერთ-ერთი დიდი ღირსებაა მისი მკაცრი ლოგიკურ-თანმიმდევრული ხასიათი. იგი იწყება ღირებულების რაობის დახასიათებით და ყოველი შემდეგი პარაგრაფი ახსენებს ამ დახასიათებას და ასაბუთებს წინა ნაწილში გამოთქმულ თეზისს.

ღირებულების უპირველეს ნიშნებს ავტორი იდეალურობასა და ტელეოლოგიურობაში ხედავს (გვ. 13—14). იდეალური და ტელეოლოგიური კი შე-

<sup>1</sup> გერონტი უშუანაშვილი. ზნეობრივი ღირებულების სპეციფიკა. „მეცნიერება“, თბილისი, 1980.

იძლება სუბიექტურიც იყოს და ობიექტურიც. ამიტომ აუცილებელი ხდება ღირებულების ობიექტურობის დახასიათება და დაფუძნება. ღირებულების ობიექტურობას ავტორი ახასიათებს ნ. ჰარტმანისეული ტერმინით „დამოუკიდებელი დამოკიდებულებაში“. ღირებულების ობიექტურობა თავისებურია და ამ თავისებურებას ავტორი არკვევს ჰეშმარტივების ობიექტურობასთან შეპირისპირებაში. ღირებულების შემეცნების ერთ-ერთი განსხვავება თეორიული შემეცნებისაგან იმაში მდგომარობს, რომ პირველი ვერ უგულებელყოფს გრძნობას, მეორე კი აუცილებლად ახდენს მისგან განყენებას. ღირებულებითი შემეცნება არჩევანს—მოწონებას ან დაწონებას—გულისხმობს, რაც ადამიანის გარკვეულ მიზნებს ემყარება. ამიტომ ღირებულების ობიექტურობის დასასაბუთებლად ადამიანისა და პიროვნების ანალიზია აუცილებელი. მაგრამ ადამიანისა და პიროვნების ანალიზს ზნობასა და ზნობრივ ღირებულებასთან მიეყვარათ. ამდენად, ნაშრომის მეორე თავი, რომელიც ზნობრივი ღირებულებისა და მისი თავისებურების დახასიათებას ეძღვნება, ღირებულების ზოგადი ბუნების გარკვევასაც ემსახურება.

ავტორი სავსებით სამართლიანად შენიშნავს იმას, რომ თუმცა მარქსისტულ-ლენინურ ეთიკაში ზნობრივი ღირებულების საკითხმა უკანასკნელ წლებში წამოიწია წინ, ზნობრივი ღირებულების საკითხი ყოველი დროის ეთიკაში ყოველთვის აქტუალური იყო. ამიტომ საკითხი არ შეიძლება იმას ეხებოდეს, გამოვიყენოთ თუ არა ღირებულების პრინციპი ეთიკაში. საკითხი იმას ეხება, არის თუ არა ღირებულებითი თვალსაზრისი ზნობის არსის გამოჩატველი (გვ. 38). ზნობრივი ღირებულების სპეციფიკის საკითხის განხილვა ავტორს საშუალებას აძლევს დაუბრუნდეს ღირებულების ბუნების ზოგად საკითხს, სახელდობრ იმას, ემთხვევა თუ არა ღირებულებითი ცნობიერება მორალურ ცნობიერებას, და იგი სავსებით სამართლიანად ამტკიცებს ამგვარი დამთხვევის შესახებ თვალსაზრისის უმართებულობას (გვ. 44). ავტორი ასევე უარყოფს თვალსაზრისს, რომელიც, ამის საწინააღმდეგოდ, ძალზე აფართოებს ღირებულებით შეფასებას და მასაც ასახვად მიიჩნევს (გვ. 45—46). ნაშრომში კი ის აზრია ვატარებელი, რომ ღირებულებითი შემეცნება არ შეიძლება იყოს ასახვა, ვინაიდან, მაგალითად, ხელოვნების ნაწარმოებში ვერ ვნახავთ ვერც ერთ „ნამცეცს“, რომელსაც შეფასება „ასახავდეს“ როგორც ობიექტურად არსებულს. ღირებულებითი, კერძოდ მორალურ-ღირებულებითი, შემეცნების სუბიექტი ვერ მოახდენს განყენებას სხვა სუბიექტების ინტერესებისაგან. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ზნობრივი ღირებულება მხოლოდ სუბიექტური ასპექტით შემოვზღუდოთ. ზნობრივი ღირებულება არ შეიძლება დავიყვანოთ ადამიანური მოთხოვნილებებითა და ინტერესებით განსაზღვრულობაზე, თუმცა ისინი თავიანთი წარმოშობით მითთან არიან დაკავშირებული (გვ. 57). „თუკი ზნობრივი ღირებულების სპეციფიკის ნახვა და გავება გვინდა, მაშინ საჭიროა მოთხოვნილებებს განვეყენოთ და ცნობიერების ფიქსაცია მოვახდინოთ იმ შეგნებულ მიზანზე, რომელიც, კ. მარქსის თქმით, როგორც კანონი, ადამიანის მოქმედების წესსა და ხასიათს განსაზღვრავს და მის ნებისყოფას იქვემდებარებს. ზნობრივ ღირებულებათა უსაკუთრივეის სფერო შეგნებულ მიზანთა სფეროა“ (გვ. 58).

ზნობრივი ღირებულების სპეციფიკის პრობლემა, ავტორის აზრით, ზნობის არსის პრობლემა და საბოლოოდ ასე ჩამოყალიბდება: რა არის ზნობა — ჭერარსისადმი მორჩილება თუ ღირებულებით განსაზღვრული მისწრაფება



სიკეთისაკენ (გვ. 60). პირველი გადაწყვეტა ავტორს არ მიაჩნია მართებულად, რადგან, ჯერ ერთი, ასეთ შემთხვევაში ადამიანის ბუნებრივი მისწრაფება სიამოვნებისაკენ უნდა შეფასდეს როგორც არაზნეობრივი და, მეორეც, მოვალეობის იდეით ხელმძღვანელობისას ზშირად (!) მისი კრიტიკული შეფასება არ ხდება (გვ. 61). „საბოლოო პასუხი იმაზე, თუ რა აიძულებს ადამიანს ზნეობრიობა ამჯობინოს უზნეობას, — ასკენის ავტორი, — ... შეგვიძლია ადამიანურ ყოფიერებაში ვნახოთ. ზნეობრივად ღირებულება ის, რაც ხელს უწყობს ადამიანის არსობრივ ძალთა ... განვითარებას; ზნეობრივი თვალსაზრისით უარყოფითად ღირებულება ის, რაც ხელს უშლის ან ამახინჯებს ადამიანის არსობრივი ძალების განვითარებას“ (გვ. 62). ავტორი აკრიტიკებს თვალსაზრისს, რომლის მიხედვითაც ზნეობრივი მოთხოვნა, უწინარეს ყოვლისა, გამოდის როგორც ჯერარსი, იგი სამართლიანად შენიშნავს, რომ ჯერარსი და ღირებულება ერთმანეთზე მიმთითებელი ფენომენია (გვ. 64). მაგრამ რადგან, ავტორის აზრით, განხორციელებული ჯერარსი წყვეტს ჯერარსად არსებობას, უპირატესი მომენტი ზნეობრივ ყოფიერებაში არის ღირებულება (გვ. 65).

ზნეობრივი ღირებულების სპეციფიკის გამოკვლევა არსებითად აქ მთავრდება, მაგრამ პეტორი ჰიპოთეტურად მაინც ცდილობს ღირებულების შემდგომ, ონტოლოგიურ დაფუძნებას. იგი ამტკიცებს, რომ ზნეობრივ ღირებულებაში შეიძლება გამოვყოთ სამი განზომილება: 1. კონკრეტულ-ისტორიული, 2. საკაცობრიო, 3. სამყაროული (გვ. 65—66). პიროვნებისა და საზოგადოების ურთიერთდამოკიდებულება არ არის ზნეობრივი ღირებულების ერთადერთი განზომილება; ზნეობრივი ღირებულების მნიშვნელობა უფრო მაღალ დონეზე დადგინდება იმით, რომ პიროვნებას შეუძლია „ჩადგეს“ საკაცობრიო თუ სამყაროსეულ განზომილებაში (გვ. 69). სხვანაირად: პიროვნებისა შეუძლია ზნეობრივი ღირებულებები განიხილოს არა მარტო პიროვნებისა და საზოგადოების ურთიერთობის თვალსაზრისით, არამედ კაცობრიობის, სამყაროს ინტერესების თვალსაზრისითაც (გვ. 77).

ასეთია სარეცენზიო ნაშრომის ძირითადი დებულებები. ნაშრომი უშუკველად არის ჩვენი ფილოსოფიური ლიტერატურის კარგი შენაძენი. მასში ყველაზე სრულად არის გამოკვლეული და გადმოცემული ზნეობრივი ღირებულების ბუნების ძირითადი საკითხები. ბევრი მისი ძირითადი დებულება კარგად არის დასაბუთებული და მისაღები იქნება ამ პრობლემათიკის შემდგომი მკვლევარებისათვის, ზოგიერთი დებულება კი დავას გამოიწვევს და ამითაც შეუწყობს ხელს მის შემდგომ დამუშავებას. რაც შეეხება ნაშრომის სტილს (ესეც მეტად მნიშვნელოვანია, იმიტომაც, რომ ფილოსოფიურ, მით უფრო ეთიკურ, ლიტერატურას ფართო მკითხველი ჰყავს), იგი ძირითადად დაწერილია ტრადიციული ფილოსოფიური გამოკვლევების კარგი ნიმუშების მიხედვით, უმთავრესად კატეგორიული ანალიზის მომარჯვებით, თუმცა მისთვის უცხო არ არის, აგრეთვე, თანამედროვე ფილოსოფიური გამოკვლევებისათვის უფრო მეტად დამახასიათებელი ცოცხალი წერის მანერა, რომელიც უფრო ახლო მიდის რეალურ-კონკრეტულ სინამდვილესთან. აი, ამის მხოლოდ ერთი ნიმუში: „ღირებულების, კერძოდ ზნეობრივი ღირებულების, თავისთავადობა ნიშნავს, რომ ამ ფენომენს არ შეუძლია ადამიანებს პრაქტიკული სარგებლობა მოუტანოს, მას არ შეუძლია უქონელი მქონებლად აქციოს, საზოგადოებაში აღიარება,



წარმატება და კარიერა მოუტანოს თავის მატარებელს. ამგვარი „რეზულტატები“ ზნობრივ ღირებულებასთან აუცილებლობით არ არიან დაკავშირებული. შეიძლება უფრო პირიქით მოხდეს: საზოგადოებრივი კეთილდღეობა, აღიარება, კარიერა და სხვა მიიღოს იმან, ვინც ზნობრივ ღირებულებას ნაკლებად არის მასწავრობი. ამაში მდგომარეობს ზნობრივი ღირებულების უძღვრება; მას ძალა არ შესწევს მოცემულ საზოგადოებრივ სინამდვილეში უდავოდ გაბატონებისა. ამგვარ გაბატონებას შეიძლება წინ ეღობებოდეს მრავალი დაბრკოლება: ოფიციალური მორალი, ტრადიციების ძალა, სამართლებრივი ნორმები და სხვა დიდი თუ მცირე მნიშვნელობის მქონე დეტერმინები, მაგრამ ძალის ქონაც ხომ იმას ნიშნავს, რომ დაბრკოლებები დალიო, გადალახო“ (გვ. 68—69).

გადმოცემის მეცნიერული სტილის თვალსაზრისით მხოლოდ ერთი ადგილი არღვევს ნაშრომისათვის ჩვეულ ლოგიკურ ობიექტურობას — როცა ავტორი წერს: „ეთიკური აზროვნების დასახელებული სამი ტიპიდან ზოგი საბჭოთა ეთიკოსი სიკეთის ეთიკასა და ღირებულების ეთიკას ერთიმეორესთან აიგივებს. ამ საკითხთან დაკავშირებით ჩვენი შეხედულება ასეთია...“ (გვ. 59). ცხადია, უმჯობესი იქნებოდა ავტორს თავისი შეხედულება გამოეთქვა ლოგიკური მსჯელობის საშუალებით და არა მისი „გამოცხადების“ გზით.

დავუბრუნდეთ შრომის შინაარსს, მის ძირითად დებულებებს, კერძოდ იმათ, რომლებიც დავას იწვევენ. ავტორის მსჯელობა ძირითადად დასაბუთებული და დამაჩერებელი ჩანს მანამ, ვიდრე ის რჩება ადამიანის ყოფიერების ანალიზის დონეზე, მაგრამ ამგვარი დამაჩერებლობა მას აკლდება, როდესაც ის ცდილობს ღირებულების ობიექტურობა სამყაროულ ტენდენციებზე დამყარებით გაამართლოს. რა თქმა უნდა, აქ ავტორი მართლ არ არის, რადგან ძალზე მომგებელი ჩანს ღირებულების დაფუძნება სამყაროს განვითარების ტენდენციებზე დამყარებით: ღირებულად მივიჩნით ის, რაც შეესაბამება ამ ტენდენციას, და არა-ღირებულად ის, რაც მას ეწინააღმდეგება. ზოგჯერ ფიქრობენ, რომ ღირებულების ამგვარი დაფუძნებით თავიდან ავიცილებთ დუალიზმს არსსა და ჯერ-არსს, არსებულსა და ღირებულს შორის. მაგრამ დუალიზმის ამგვარი დაძლევა ისევე მოჩვენებითია, როგორც თვით დუალიზმის არსებობის ფაქტი ამ შემთხვევაში. როდესაც საზოგადოებრივი პროგრესის კრიტერიუმად შრომის ნაყოფიერებას მიიჩნევენ, არავინ არ ცდილობს ამ კრიტერიუმის ობიექტურობა იმით დააფუძნოს, რომ სამყაროს განვითარების ტენდენციას შეუსაბამოს ის, თუმცა ამ შემთხვევაშიც ღირებულებით მიდგომასთან ვვაქვს საქმე. ღირებულების ობიექტურობის დასამტკიცებლად კი ამგვარი ოპერაცია აუცილებლად მიაჩნიათ, თუმცა აქაც ისევე არ არის აუცილებელი (და შესაძლებელი) ღირებულების ობიექტურობის დამყარება სამყაროს ტენდენციასზე, როგორც საზოგადოების პროგრესის კრიტერიუმის დადგენის დროს. ღირებულების სპეციფიკური ობიექტურობა სავსებით ფუძნდება იმით, თუკი მოვახერხეთ ადამიანის გვარობითი არსების დახასიათება. რა თქმა უნდა, შეიძლება გარკვეული მიმართება დავამყაროთ ღირებულებასა და სამყაროს ტენდენციას შორის, მაგრამ ეს არ იქნება ღირებულების ობიექტურობის დაფუძნება, — რადგან ღირებულების სფეროში დაფუძნება ისევე და ისევე ღირებულებითი უნდა იყოს. პირდაპირი ლოგიკური გზა არსიდან ჯერარსზე გადასვლისათვის არ არსებობს, მაგრამ ამ ვითარებას დუალიზმთან საერთო არაფერი აქვს. დუალიზმი მაშინ

გვექნებოდა, არსიცა და ჭერარსიც არსის სახეები რომ იყოს და ამავე დროს ჭერარსის საფუძველი არ იყოს ის, რაც არსის საფუძველია.

ღირებულების ობიექტურობის დასაბუთების დროს ავტორი იხილავს, აგრეთვე, შედარებით უფრო კერძო საკითხებს — მოვალეობისა და ღირებულების, ჭერარსისა და ღირებულების ურთიერთობის საკითხებს. ავტორისეული დასაბუთება ბლომდე დამაჯერებელი არც აქ არის. „ღირებულებისა და ჭერარსის გაიგივება საფუძველად უდევს მორალური ცნობიერებისა და ღირებულებათა ცნობიერების გაიგივებას“, — წერს ავტორი (გვ. 42). შესაძლებელია ასეთი კავშირი არსებობს რომელიმე თვალსაზრისში, რომელსაც კრიტიკულად განიხილავს ნაშრომის ავტორი, მაგრამ გაუგებარია, რატომ უნდა იყოს საერთოდ აუცილებლობით დაკავშირებული ღირებულებისა და ჭერარსობის გაიგივება მორალური ცნობიერებისა და ღირებულებათა ცნობიერების გაიგივებასთან. „განხორციელებული ჭერარსი... ჭერარსად ყოფნას წყვეტს“, — ნათქვამია ნაშრომში (გვ. 65). ესეც არ არის ნათელი: ყველა ადამიანი რომ პატიოსანი იყოს, რატომ გააუქმებს ეს იმ მოთხოვნას, რომ ადამიანი პატიოსანი უნდა იყოს? სხვა საქმეა, ღირებულება ბუნებრივი აუცილებლობით რომ ხორციელდებოდეს. ასევე არ არის სავესებით დამაჯერებელი ავტორის მიერ ღირებულების ეთიკის უპირატესობის დასაბუთება მოვალეობის ეთიკის წინაშე. ნაშრომში ნათქვამია, რომ მოვალეობის ეთიკას ადამიანის ბუნებრივი მისწრაფება სიამოვნებისაკენ არაზნებრივად მიაჩნია და რომ მოვალეობის ეთიკა „ხშირად“ მოვალეობის კრიტიკულ შეფასებას არ ახდენს (გვ. 60—61). მკითხველი, ბუნებრივია, იფიქრებს. რომ ავტორი ნაჩქარევ ვანზოვადებას ახდენს: იქიდან, რომ ამგვარი იყო კანტისეული მოვალეობის ეთიკა, იგი ასკვნის, რომ ყოველი მოვალეობის ეთიკა ბუნებრივი მისწრაფების საწინააღმდეგო უნდა იყოს; ან იქიდან, რომ მოვალეობის იდენით ხელმძღვანელობისას ხშირად მოვალეობის შეფასება არ ხდება, ის ასკვნის, რომ ყოველთვის ასე უნდა იყოს.

კიდევ ერთი კერძო ხასიათის შენიშვნა: არ არსებობს ორი ერთნაირად მნიშვნელოვანი ღირებულებათა სისტემა. ყოველთვის ან ერთია უფრო მაღალი ან მეორე, წინააღმდეგ შემთხვევაში ერთი ღირებულებათა სისტემა იქნებოდა და არა ორი, ამტკიცებს ავტორი (გვ. 24—25). ამ დებულებასაც დაკონკრეტება და გარკვეული შეზღუდვა სჭირდება. განა ის გავრცელდება ისეთ ვითარებაზე, როცა ერთმანეთს ვაღარებთ, მაგალითად, ღირებულებათა სისტემას, რომელშიც უმაღლესად ესთეტიკური ღირებულებანია მიჩნეული, და სისტემას, რომლის მიხედვითაც შემეცნებითი ღირებულებებია სისტემის სათავეში?

უფრო მნიშვნელოვანია პიროვნების არსისა და მისი როგორც ფილოსოფიის საგნის შესახებ საკითხები, რომელთა გადაწყვეტა ნაშრომში ასევე დავას იწვევს. წიგნში ნათქვამია, რომ, მარქსიზმის მიხედვით, პიროვნების, ისევე როგორც ადამიანის გავებაში, ამოსავალია სოციალურობა, მაგრამ სოციალურობა ჭერ კიდევ არ ნიშნავს ადამიანის პიროვნებად ყოფნას; პიროვნებას სოციალურობაზე უფრო ღრმა საფუძველი აქვს და ეს საფუძველია „ადამიანის გვარეობითი არსება“, რომელიც თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას გულისხმობს და, მაშასადამე, პიროვნების არსი უნდა ვეძიოთ თავისუფლებაში, სინამდვილესთან შემოქმედებით დამოკიდებულებაში (გვ. 28—29). აქ ავტორი ვერ ამჩნევს წინააღმდეგობას: სოციალურობა თურმე არ ნიშნავს ადამიანის პიროვნებად ყოფნას, ხოლო სოციალურობაზე უფრო ღრმა საფუძველი, რასაც პიროვნება შეიძლება დაემყაროს, ადამიანის გვარეობითი არსება ყოფილა ან

მასთან მაინც არის დაკავშირებული. თუ ეს ასეა, მაშინ ავტორს უნდა ეთქვა არა მარტო ის, რომ სოციალურობა არ ნიშნავს ადამიანის პიროვნებად ყოფნას, არამედ ისიც, რომ სოციალურობა არ ნიშნავს ადამიანის ადამიანად ყოფნასაც. რაც შეეხება შემოქმედებით დამოკიდებულებასა და თავისუფლებას, ერთი-და-მეორეც ღირებულების გაჩემე მოუაზრებელია, ღირებულებას კი ისევ სოციალურობასთან მიეყავართ. ავტორის მთელი ეს მსჯელობა „სოციალურობის“ ვიწრო გაგებაზეა დამყარებული, გაგებაზე, რომელსაც სოციალურობა კონკრეტულ-სოციალური ურთიერთობებით განსაზღვრულობაზე დაჰყავს. სინამდვილეში მე-ს შენ-თან მიმართების გონითი აქტი, რასთანაც ავტორი პიროვნებას აკავშირებს, აგრეთვე ადამიანის სოციალურობის გამოვლენაა.

პიროვნების შესახებ მეორე საკითხი ფილოსოფიის ბუნებასა და კერძო მეცნიერებასთან მისი დამოკიდებულების საკითხთან არის დაკავშირებული. ავტორი იმ თვალსაზრისს იცავს, რომ პიროვნების შემსწავლელ მეცნიერებათა შორის ფილოსოფიას განსაკუთრებული ადგილი უკავია, რადგან მხოლოდ ის არის პიროვნების არსის ცოდნა. ამ ცოდნას კერძო მეცნიერებანი და სახელმძღვანელო ფსიქოლოგია ფილოსოფიისაგან სესხულობენ (გვ. 30). უფრო მეტიც, ავტორის შემდგომი მსჯელობიდან იმ დასკვნის გაკეთებაც შეიძლება, რომ ფსიქოლოგია ვერც გამოიყენებს ფილოსოფიისაგან მიღებულ ცოდნას პიროვნების არსის შესახებ, რადგან „პიროვნების გაგება, როგორც ღირებულებითი არსებისა, ყველაზე მეტად მიუღებელი ჩანს ფსიქოლოგიისათვის“ (იქვე). აქ, ერთი მხრივ, გაუგებარია, რატომ არის ფსიქოლოგიისათვის მიუღებელი პიროვნების როგორც ღირებულებითი არსების გაგება, რატომ არ შეიძლება ფსიქოლოგია არ იდგეს ღირებულების პოზიციაზე, მაგრამ დაინახოს, რომ პიროვნება ღირებულებათა გამრჩევი არსებაა, ხოლო, მეორე მხრივ, ვანა ფილოსოფია პიროვნების ღირებულებით ბუნებას რომ აღიარებს, ამით ღირებულებით პოზიციაში დგება მის მიმართ?

უფრო მნიშვნელოვანია და მეტ დაფიქრებას მოითხოვს პიროვნების როგორც ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის საგნის საკითხი. ერთი შეხედვით, მართლაც, ფილოსოფია უფრო ზოგადი ხასიათის ცოდნას იძლევა და ამიტომ ამ ცოდნით უნდა ისარგებლოს ფსიქოლოგიამაც. ეს შეიძლება ვიარქუმოთ. საეჭვო ის არის, თითქოს ის, რასაც ფსიქოლოგია მოიპოვებს პიროვნების შესახებ, არ იყოს პიროვნების არსის დახასიათება. ვანა არსება მხოლოდ ზოგადია? ვანა ფილოსოფიასა და კერძო მეცნიერებას შორის გვარისა და სახის ურთიერთობა არსებობს? თუ, მაგალითად, ფილოსოფია ცნობიერების სხვა ფორმებთან ერთად ხელოვნებასაც შეისწავლის, და იმასვე იკვლევს ესთეტიკა ან ხელოვნების თეორია, ვანა შეიძლება ვამტკიცოთ, რომ ხელოვნების არსს ფილოსოფია ადგენს, ხოლო ესთეტიკა ან ხელოვნების თეორია მხოლოდ სესხულობენ ამ არსის ცოდნას ფილოსოფიისაგან?

ფილოსოფიისა და კერძო მეცნიერების ურთიერთობა ცალკე პრობლემაა და იქნებ სხვა დროს მოგვეცეს შემთხვევა მისი საგანგებო განხილვისათვის, მით უფრო, რომ ჩვენში მეტად განსხვავებული და, მეტი რომ არა ვთქვათ, სადავო თვალსაზრისები არსებობს მის თაობაზე. ახლა კი სარეცენზიო ნაშრომის შეფასებას დაუბრუნდეთ. ნაშრომის როგორც ძირითადი დებულებების გადმოცემა, ისე მისი სადავო მხარეების გაცნობა ადასტურებს იმას, თუ რა მნიშვნელოვან საკითხებს იკვლევს ავტორი და რამდენად მნიშვნელოვანია მისი მოსაზრებები. ისიც უნდა ითქვას, რომ თვით გ. შუშანაშვილი ბევრ თვალსა-

ზრისს განიხილავს კრიტიკულად. სამწუხაროდ, ამ თვალსაზრისების ავტორებს უმრავლეს შემთხვევაში არაფერი ეცოდინებათ ამ კრიტიკის შესახებ. არადა არც თუ ისე ძნელი იქნება, თუნდაც ჩვენი ჟურნალის საშუალებით, სარეცენზიო ნაშრომის ავტორმა თავისი კრიტიკული მოსაზრებები რომ ადრესატებს მიაწვდინოს. მით უფრო, რომ ნაშრომის პოზიტიური დებულებებიც უეჭველად დააინტერესებს სპეციალისტების ფართო წრეს. დაბოლოს, ალბათ ისიც არის სასურველი, რომ გ. შუშანაშვილის ამ ნაშრომმა, შეიძლება რამდენადმე გადამუშავებული და შეესებულებული სახით, მიაღწიოს მკითხველთა უფრო ფართო წრემდე, ვიდრე ამას ჩვენი აკადემიური გამოცემები გულისხმობენ უმრავლეს შემთხვევაში. ჩვენი მკითხველი ხომ არც ისეა განუბივრებელი მეცნიერულად არგუმენტირებული წიგნებით ეთიკის დარგში.

ოთარ ჯიოაძი

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის  
ფილოსოფიის ინსტიტუტმა



ანანია გომორიშვილი



გარდაცვალა გამოჩენილი ქართველი ფილოსოფოსი და ფსიქოლოგი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტის ფილოსოფიური ანთროპოლოგიის განყოფილების ხელმძღვანელი, სსრ კავშირის ფილოსოფოსთა საზოგადოების საქართველოს განყოფილების საპატიო თავმჯდომარე ანანია თადეოზის ძე გომორიშვილი. ჩვენგან წავიდა ღვაწლმოსილი ადამიანი, რომელმაც დიდი წვლილი შეიტანა ქართული მეცნიერებისა და კულტურის განვითარებაში, მეცნიერული ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის საფუძვლების დაცვისა და განმტკიცების საქმეში.

ა. ბოქორიშვილი დაიბადა 1902 წელს სოფ. ლახამულაში (მესტიის რაიონი). 1924 წელს დაამთავრა თბილისის უნივერსიტეტი და ცნობილი ქართველი მეცნიერების შ. ნუცუბიძისა და დ. უზნაძის რეკომენდაციით დატოვებულ იქნა უნივერსიტეტში სამეცნიერო მუშაობისათვის მოსამზადებლად. აქ მას ხელმძღვანელობდა დ. უზნაძე, ამავე პერიოდში მიემგზავრება ქ. ლენინგრადს, სადაც ცნობილი რუსი ფიზიოლოგი ვ. ბებტერევი მას აცნობს პირობითი რეფლექსების კვლევის საფუძვლებს. 1928—1933 წლებში ა. ბოქორიშვილი ლექციებს კითხულობს თბილისის უნივერსიტეტში. 1933 წელს, ქუთაისში პედაგოგიური ინსტიტუტის გახსნასთან დაკავშირებით, იგი სამუშაოდ გადააქვთ ამ ქალაქში, სადაც მუშაობს 1957 წლამდე და ხელმძღვანელობს პედაგოგიკა-ფსიქოლოგიის კათედრას, არის ინსტიტუტის პრორექტორი სასწავლო-სამეცნიერო დარგში. 1939 წელს ა. ბოქორიშვილმა დაიცვა სადოქტორო დისერტაცია ფსიქოლოგიაში. 1941 წელს მას მიენიჭა პროფესორის სამეცნიერო წოდება, 1961 წელს — საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება.

1955 წ. ა. ბოქორიშვილი აირჩიეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსად. მან მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა აკადემიის შემოქმედებით და ორგანიზაციული მუშაობის განვითარებაში. 1955—1957 წლებში იგი ხელმძღვანელობდა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილებას, 1957—1960 წლებში იყო აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი. 1960—1968 წლებში ა. ბოქორიშვილი მისივე ინიციატივით დაარსებული ბექდვითი ორგანოს „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების მოამბის“ (შემდეგში — „მაცნეს“) მთავარი რედაქტორია.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფსიქოლოგიის ინსტიტუტის დაარსების დღიდან ა. ბოქორიშვილი მისი თანამშრომელი იყო, 1960—1962 წლებში კი იგი აქ ხელმძღვანელობდა ფსიქოლოგიის ისტორიის განყოფილებას. აქედან 1962 წელს ა. ბოქორიშვილი თავის მოწაფეთა ჭკუფთან ერთად გადადის საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტში, სადაც მუშაობდა სიცოცხლის ბოლომდე. აქ იგი აყალიბებს ბუნებისმეტყველების ფილოსოფიის განყოფილებას, სადაც, უმთავრესად, ფსიქოლოგიის ფილოსოფიური პრობლემების კვლევა წარმოებს. ამ კვლევის განვითარება ბუნებრივად მივიდა ალა-

მიანის ფილოსოფიურ პრობლემამდე და სამქოთა მეცნიერების ისტორიაში პირველად ა. ბოქორიშვილის ხელმძღვანელობით საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტში 1967 წელს შეიქმნა ფილოსოფიური ანთროპოლოგიის განყოფილება. ამ განყოფილებაში, რომელიც დღემდე განაგრძობს ნაყოფიერ მუშაობას, დამუშავდა ადამიანის ფილოსოფიის ბევრი მნიშვნელოვანი პრობლემა. ამ კვლევის შედეგები ასახულია ბევრ მონოგრაფიაშია და სპეციალურ კრებულში „ფილოსოფიური ანთროპოლოგიის საკითხები“ (1970 წლიდან გამოვიდა ექვსი წიგნი), რომლებიც ა. ბოქორიშვილის ხელმძღვანელობით გამოვიდა.

სხვადასხვა დროს ა. ბოქორიშვილი იყო რესპუბლიკის საზოგადოება „ოქონის“, საქართველოს ფსიქოლოგთა და ფილოსოფოსთა საზოგადოების თავმჯდომარე.

ა. ბოქორიშვილის მეცნიერული კვლევა პრობლემათა ვრცელ სფეროს მოიცავდა, და ამავე დროს გამოირჩეოდა სისტემატურობით. მის ნაწერებში გამოსწვევის ავტორის დიდი გრუნდიცია, ღრმა ანალიზის უნარი, მეცნიერული შემართება. ა. ბოქორიშვილის კალამზე ეკუთვნის ასზე მეტი მეცნიერული ნაშრომი ფსიქოლოგიის, ლოგიკის, მეცნიერების მეთოდოლოგიის, შემეცნების თეორიის, ენისა და კულტურის ფილოსოფიის, ესთეტიკის, ფილოსოფიური ანთროპოლოგიის საკითხებზე, ბურჟუაზიული ფსიქოლოგიისა და ფილოსოფიის კრიტიკის დარგში და სხვა. ა. ბოქორიშვილის კვლევის ძირითადი შედეგები აისახა მის ფუნდამენტურ მონოგრაფიებში: „ფსიქოლოგიის პრინციპული საკითხები“ (სამბომეული, 1955—1962 წწ.), „ფსიქოლოგიაში და ანტიფსიქოლოგიაში ფსიქოლოგიაში“ (1965), „ფსიქოლოგიის მეთოდოლოგიისათვის“ (1966), „კანტის ესთეტიკა“ (1967), „ფილოსოფიური ანთროპოლოგიის თეორიული საფუძვლები“ (1976 წ.), „ფილოსოფია, ფსიქოლოგია, ესთეტიკა“ (1979), „რას ამბობენ ფილოსოფოსები ადამიანის არსის შესახებ“ (1980) და სხვ. თავის ნაშრომებში ა. ბოქორიშვილმა კრიტიკულად განიხილა და შეაფასა ახალი ფილოსოფიური კონცეფციები ფსიქოლოგიის საგნისა და მეთოდის შესახებ. ფსიქოლოგიის მეცნიერების არამეცნიერული ხელყოფის წინააღმდეგ ა. ბოქორიშვილი შემართებით იბრძოდა. ამ მხრივ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ფსიქოლოგიაში კრიტიკის, სვდაც ავტორი ავითარებს ფსიქოლოგიის მეცნიერების შესახებ რაციონალისტური და ემპირისტული შეზღუდულობებისაგან თავისუფალ კონცეფციას. ა. ბოქორიშვილი დიდი ენერჯით ებრძოდა ნიჰილიზმსა და რელატივიზმს შემეცნების თეორიაში, ამ მხრივ აღსანიშნავია მისი რიგი ნაშრომები, რომლებშიც წარმოადგენილია ჰუსერლის ფენომენოლოგიის ღრმა და მრავალმხრივი კრიტიკული ანალიზი. ა. ბოქორიშვილმა საბჭოთა ფილოსოფოსთა შორის ერთ-ერთმა პირველმა გამოიკვლია კრიტიკულად აგრეთვე ისეთი გავლენიანი ბურჟუაზიული ფილოსოფიური მიმდინარეობანი, როგორცაა ნეოკანტიანელობა, სიცოცხლის ფილოსოფია, ექსისტენციალიზმი და სხვ.

ა. ბოქორიშვილი შესანიშნავი ლექტორი იყო, მისი ლექციები ბევრ მსმენელს იზიდავდა და აქადობდა არა გარეგნული ბრწყინვალეობით, არამედ შინაარსული სიღრმით და მკაცრი ლოგიკის ძალით.

როდესაც ა. ბოქორიშვილი ადამიანის ცხოვრების საზრისსა და იდეალს იკვლევდა, იგი თვითონვე განასახიერებდა ასეთ იდეალს. მისი ცხოვრების უმაღლეს მიზანს წარმოადგენდა მაღალი ღირებულებების სამსახური, ამ ღირებულებებს, ზნეობის, აზროვნების და მშვენიერების სამსაჯვროს იგი თვითონაც უმორჩილებდა მთელ თავის ცხოვრებას და თავის მოწაფეებისაგანაც მკაცრად მოითხოვდა ამას. მისი ხელმძღვანელობით მომზადდა ბევრი მაღალკვალიფიციური სპეციალისტი ფსიქოლოგიაში და ფილოსოფიაში.

ა. ბოქორიშვილის მეცნიერულმა გამოკვლევებმა დიდი გავლენა მოახდინეს ქართული ფილოსოფიური და ფსიქოლოგიური აზრის განვითარებაზე და ფართო საკავშირო და საერთაშორისო რეზონანსი ჰპოვეს.

ა. ბოქორიშვილის როგორც დიდი მეცნიერის და შესანიშნავი მოქალაქისა და აღმზრდელის ნათელი სახე წარუშლელი დარჩება ქართული სულიერი კულტურის ისტორიაში.

საქართველოს ფილოსოფოსთა საზოგადოება  
 საქართველოს ფსიქოლოგთა საზოგადოება  
 საქართველოს სსრ მცენიერებათა აკადემიის  
 ფილოსოფიის ინსტიტუტი  
 საქართველოს სსრ მცენიერებათა აკადემიის  
 დ. უზნაძის სახ. ფსიქოლოგიის ინსტიტუტი  
 თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილო-  
 სოფიისა და ფსიქოლოგიის ფაკულტეტი

სოსლან გაბარაევი



გარდაიცვალა გამოჩენილი ოსი მეცნიერი, ფილოსოფიის პრობლემების ნიჭიერი მკვლევარი, სკკპ წევრი, ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფ. ს. გაბარაევი.

სოსლან შალვას ძე გაბარაევი დაიბადა 1925 წ. სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ზნაურის რაიონის ს. ქვათეთრში. 1946 წ. დაამთავრა სამხრეთ-ოსეთის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ფილოლოგიური ფაკულტეტი და დაიწყო სწავლა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტის ასპირანტურაში. აქ, ცნობილი ქართველი მეცნიერების, და უწინარეს ყოვლისა პროფესორ სერგი დანელიას, ხელმძღვანელობით ის საფუძვლიანად ეუფლება ფილოსოფიურ მეცნიერებას, იცავს საკანდიდატო დისერტაციას და მუშაობს მეცნიერ თანამშრომლად. მისი საკანდიდატო დისერტაციის საფუძველზე შექმნილმა მონოგრაფიამ „ფიციერბაზის მატერიალიზმი“ (1955) მეცნიერული საზოგადოებრიობის მაღალი შეფასება დაიმსახურა და საზღვარგარეთულ ენაზეც ითარგმნა. 1952 წლიდან ს. გაბარაევი მუშაობდა ჩრდილოეთ-ოსეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ხოლო 1954 წლიდან 1962 წლამდე იყო საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამხრეთ-ოსეთის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, შემდეგ კი აქვე ხელმძღვანელობდა ისტორიის განყოფილებას.

ს. გაბარაევი ინტენსიურ კვლევით მუშაობას ეწეოდა. იგი სიყვარულითა და დიდი გულმოდგინებით იკვლევდა რუსული და დასავლეთ-ევროპული კლასიკური ფილოსოფიის მდიდარ მემკვიდრეობას, მაგრამ მისი მეცნიერული ინტერესების უმთავრესი საგანი იყო ოსი ხალხის საზოგადოებრივი აზრის ისტორია. ს. გაბარაევი ასზე მეტი მეცნიერული სტატია და რიგი მონოგრაფიული ნაშრომი დაწერა: „კოსტა ხეთაგუროვის მსოფლმხედველობა“ (მოსკოვი, 1959), „ინალ კანუკოვი“ (ცხინვალი, 1960), „გიორგი ცაგოლოვი“ (ცხინვალი, 1962), „ნართების ეპოსის მითოლოგია“ (მოსკოვი, 1969), „ათანახე გასიევის ათეოზმი“ (ცხინვალი, 1969) და სხვა. ოსეთის საზოგადოებრივი აზრის ისტორიას მიეძღვნა მისი ყველაზე მნიშვნელოვანი ნაშრომი, რომელიც მან წარმატებით დაიცვა როგორც სადოქტორო დისერტაცია.

მეცნიერულ მუშაობასთან ერთად ს. გაბარაევი პედაგოგიურ მოღვაწეობასაც ეწეოდა. ის იყო ნიჭიერი ლექტორი და დიდი წვლილი შეიტანა მოსახლეობის ფართო ფენებში ფილოსოფიური ცოდნის გავრცელების საქმეში. დიდი ხნის განმავლობაში ის საზოგადოება „ცოდნის“ საოლქო განყოფილებას ხელმძღვანელობდა. ს. გაბარაევი არაერთხელ უოფილა არ-

ჩელი საქართველოს კომუნისტური პარტიის სამხრეთ-ოსეთის საოლქო კომიტეტისა და მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს დეპუტატად და დამსახურებული ავტორიტეტი ჰქონდა მოპოვებული პარტიული და მეცნიერულ-მედაგოგიური ინტელიგენციის წარმომადგენელთა შორის.

ნიჭიერი მკვლევარი, მეცნიერული შრომისათვის თავდადებული მუშაკი, მარქსისტულ-ლენინური იდეების დაუღალავი პროპაგანდისტი, თავმდაბალი და კეთილშობილი ყოველდღიურ ცხოვრებაში და მეგობრებთან ურთიერთობაში, მუდამ კეთილმოსურნე, გულისხმიერი ამხანაგი — ასეთი იყო და ასეთი დარჩება სოსლან გაბარაევის საზე იმათ სსოვნაში, ვინც მას იცნობდა.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კრედიტში  
 სპ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილება.

სპ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამხრეთ-ოსეთის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტი



## აბტორია საყურადღებოდ

ჟურნალში გამოქვეყნებული მასალა წარმოდგენილი უნდა იყოს ორ ცალად, ქართულ ან რუსულ ენაზე. ქართულ ტექსტს უნდა ახლდეს რუსული რეზიუმე არა უმეტეს მანქანაზე დაბეჭდილი ერთი გვერდისა. წერილის მოცულობა, რეზიუმეს ჩათვლით, არ უნდა აღემატებოდეს ერთ სააუტორო თაბახს (40 ათასი ასო ნიშანი); დაბეჭდილი უნდა იყოს სტანდარტის დაცვით.

წერილში გამოყენებული ნაშრომების სია დაერთოს ბიბლიოტექსტში კი მიეთითოს რიგითი ნომერი კუთხოვან ფრჩხილებში. აკტორისეული შენიშვნები მიეთითება გვერდების მიხედვით.

სარედაქციო კოლეგია ნაშრომებს მიიღებს მეცნიერებათა აკადემიის შესაბამისი დაწესებულებების ან ამ დარგის აკადემიის ნამდვილი წევრებისა და წევრ-კორესპონდენტების წარდგინებით.

ჩვენი მისამართია: 380008, თბილისი 8, რუსთაველის 29,  
საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის

ფილოსოფიის ინსტიტუტი  
(ჟურნალ „მაცნესათვის“)

სარედაქციო კოლეგია

663/183



დანი 85 კაბ.

ინდექსი 76195